



ქართული
პოლიტიკა და სამართალი

165 ნომერი 2015

1737
2015

„რუსთავი 2“ პოლიტიკა და სამართალი

33. 22


13

ISSN 1987-7528



9 771987 752008

ფასი 5 ლარი





WWW.LIBERALI.GE



ლიბერალი

№ 165 / ნოემბერი 2016

თრნალის რადაქტორი

ზურაბ ვარდიაშვილი

მედიის რადაქტორი

ლუკა ზაკაშვილი

საქმი აგაპის რადაქტორი

დათო გამისონია

მომრედაქტორი

ლევან ხერხეულიძე

მრნალისტაძი

ზურაბ ვარდიაშვილი, ლიკა ზაკაშვილი, ქეთევან ღვედაშვილი, თათია ხალიანი, ეკა მაღალდაძე, სოფო აფციაური, თეი კანაშვილი, დათო ფარულავა, ნათია ამირანაშვილი, დათო გამისონია

მომრედაქტორი

ლევან ახალაია, დავით ბუხრიკიძე, ერეკლე ურუშაძე, პაატა ქურდაძე, მანდრო ერადე, გიორგი კეკელიძე, რაკლი ხვადაგიანი

მომრნალი დოზანიანი

მომრნალი ლორთქიფანიძე

რადაქტორ-სტილისტი/კომრედაქტორი

ნინო კალატოზიშვილი

მომრნალისმომრედაქტორის მონაშარი

ქეთევან ქვეთარაძე

მომრნალისმომრედაქტორი

ლევან ხარაზაშვილი

მომრნალისმომრედაქტორი

მზია კუბლაშვილი

მომრნალისმომრედაქტორი

გიგი ნაზარაშვილი

მომრნალის გამომრნალის მსურველები

მომრნალისმომრედაქტორი: 247 02 46

მომრნალისმომრედაქტორი:

მოს „ლიბერალი“

მოსამრნალი: თბილისი, რუსთაველის

მომრნალი: (995 32) 2470246

მომრნალისმომრედაქტორი: info@liberali.ge

მომრნალისმომრედაქტორი: www.liberali.ge

მომრნალისმომრედაქტორი უფლებები დაცულია.

მომრნალისმომრედაქტორი გამომრნალისმომრედაქტორი

მომრნალისმომრედაქტორი ნაწილობრივ და/ან

მომრნალისმომრედაქტორი გამოყენება რედაქციის

მომრნალისმომრედაქტორი მონაშარის გარეშე აკრძალულია.

მომრნალი:

მოს „სეზანი“

მოსამრნალი: თბილისი, ნერეთლის

მომრნალი: 140. ტელ.: (995 32) 235 70 02.

მომრნალის თემატიკა ერთხელ, ყოველ

მომრნალი რიცხვში. პირველი ნომერი

მომრნალისმომრედაქტორი გამოცემულია 2009 წლის მაისში.

მომრნალისმომრედაქტორი საცალო ფასი 5 ლარი.

www.liberali.ge

არც ისე ტკბილი ნომბერი

მობდა ისე, რომ ნომბერი ქართული მედიისთვის საბედისწერო თვედ იქცა.

2007 წლის 7 ნომბერი და 2015 წლის 5 ნომბერი კიდევ ჰგავს და კიდევ განსხვავდება ერთმანეთისგან, თუმცა ერთი რამ ნათელია – არც ერთ ამ დღეთაგანს ქართული მედიისთვის, დემოკრატიისთვის, სიკეთე არ მოუტანია.

იურისტები კამათობენ განჩინების მართლზომიერებაზე, ზოგი კონსტიტუციის გადმოსახედიდან, ზოგიც სამოქალაქო კოდექსის დამონშებით. იურისტები კამათობდნენ მაშინაც, ამტკიცებდნენ ტელეკომპანია „იმედიდან“ მომდინარე მყისიერი საფრთხის აღკვეთის აუცილებლობას და ასე შემდეგ, და ასე შემდეგ.

ჩვენ ვიცით, რომ „რუსთავი 2“ უკანონოდ წართვეს მფლობელებს, რომ მათ აქვთ სამართლის მოთხოვნის უფლება, თუმცა საქმე ისაა, რამდენად ნაადგება მყიფე ქართულ დემოკრატიას, არც ისე პლურალისტურ მედიაგარემოს, უკანონობის უკანონობით დათრგუნვა, წართმეულის წართმევით წართმევა, კანონიერი მფლობელების მიმართ „კეთილი ნების გამოჩენა“; გავითვალისწინოთ, რომ ახლოვდება არჩევნები, რომლის წინაშეც ხელისუფლება თავს მოუსვენრად გრძნობს; მისი შიში არც არის უსაფუძვლო.

იმ ადამიანთა მოლოდინი, ვისაც დავით დვალთან და ჯარჯი აქიმიძესთან



უმუშავია, ვინც პირადად იცნობს მათ, გამოცდის წინაშე დგას. ერთი მხრივ, ბევრი არ მინახავს, ვისაც დვალსა და აქიმიძეზე ძვირი დასცდენია, მეორე მხრივ კი ვაწყდებით ლოგიკას, რომელიც მკაცრია – რატომ დაუშვებს ხელისუფლება, დაადუმოს თუნდაც ყველაზე კრიტიკული ტელევიზია, იმ მოცემულობით, რომ აღარ შეეძლოს „ნაციონალურ მოძრაობასთან“ აფილაციაზე მუდმივი მითითება (არა უსაფუძვლოდ) და მის ნაცვლად შექმნას მიუკერძოებელი, პოლიტიკური პარტიის საფარველიდან გამოსული არხი, რომელიც დამოუკიდებლობის პირობებში მძაფრად კრიტიკული იქნება? ჩვენი ხელისუფლება არ ჰგავს ამგვარი გადაწყვეტილებებისკენ მიდრეკილს.

და რა გვრჩება ალტერნატივად? ხელისუფლებისადმი ლოიალურად განწყობილი მედიების ჯარს შეერთებული კიდევ ერთი რიგითი ჯარისკაცი „რუსთავი 2“? არჩევნები ახლოვდება, ზამთარიც.

ზურაბ ვარდიაშვილი, ურნალის რედაქტორი



საპარტამენტო აარლაგომრის
ეროვნული ბიბლიოთეკა

- 04 ავტორები
უცხოეთი
- 06 ერდოღანის გამბიტი
ავტორი: ლევან ახალაია
თვალსაზრისი
- 12 გამოტოვებული გაკვეთილები
ავტორი: პაატა ქურდაძე
ინტერვიუ
- 18 გამოწვევა – თავისუფლება
ავტორი: ზურაბ ვარდიაშვილი
პოლიტიკა
- 22 „რუსთავი 2“ – პოლიტიკა და
სამართალი
ავტორი: დათო გამისონია
ეკონომიკა
- 32 სესხში დაკარგული სახლი
ავტორი: თათია ხალიანი
- 36 მომავლის ფული – ეკონომიკა
სახელმწიფოს გარეშე
ავტორი: სოფო გოგიშვილი
სამართალი
- 40 პატიმრობა წინასწარ
ავტორი: ქეთევან ლვედაშვილი
განათლება
- 44 თსუ-ს სამი წელი
ავტორი: სალომე გორგოძე
საზოგადოება
- 50 სათამაშოები ნარჩენებით
ავტორი: სოფო აფციაური
ფოტოპროექტი
- 56 ურბანული მეტაფიზიკა
ავტორი: ანდრო ვრადე
კულტურა
- 66 24 დღე და 8 საათი
ფესტივალის ცხოვრებიდან
ავტორი: დავით ბუხრიკიძე
ქალაქი
- 74 საბჭოთა ნემესისის ფარი და
მახვილი
ავტორი: ირაკლი ხვადაგიანი
ბიბლიოთეკა
- 78 ანთიმოზის ხიდი
გიორგი კეკელიძე
ფოტოამბავი
- 80 წართმეული ტროტუარი
ავტორი: ერეკლე ურუშაძე




საბჭოთა ტროტუარი



უსსოეთი

ერდოღანის გამბიტი

სახელმწიფოს წინააღმდეგ შეთქმულების ბრალდებით, ასობით პოლიციელი, მოსამართლე და პროკურორი გაათავისუფლეს თანამდებობიდან ან დააკავეს. უნდა ითქვას, რომ ზოგადად „შეთქმულების თეორიები“ თურქეთში უკვე დიდი ხანია, პოლიტიკური ცხოვრების ნაწილი გახდა. განსაკუთრებით კი არჩევნების წინ ან საპროტესტო აქციების ფონზე. საინტერესოა, ის ფაქტიც რომ „ტერორიზმის პროპაგანდაში“ ექვმიტანილი Kozalpek-ის კუთვნილი ტელევიზიებისა და გამოცემების დაყადაღების განკარგულება იმავე მოსამართლემ გასცა, რომელმაც თავის დროზე თურქეთში მიკრობლოგ „ტივტერის“ დახურვის გადანყვეტილება მიიღო.

 ლევან ახალაია
33.06

საზოგადოება

სათამაშოები ნარჩენებით

ხე დალბა, რკინა დაჟანგდა, საქანელები აჭრიალდა, – ბავშვების სათამაშო მოედანი მოძველდა. ახლის ყიდვას ბევრი ფული სჭირდებოდა. ამიტომ „პირველი ნაბიჯი საქართველოს“ დღის ცენტრის ხელმძღვანელმა, გიორგი დემეტრაშვილმა გამოსავალზე ფიქრი დაიწყო – როგორ შეიძლებოდა იაფად და მარტივად ახალი და განსხვავებული, ბავშვების საჭიროებებს მორგებული ადაპტირებული სათამაშო მოედნის მოწყობა. გადანყდა, რომ სათამაშო მოედანი მეორადი ნივთებისგან უნდა გაკეთებულიყო. იდეა მეტ ენერჯიას და მოტივაციას, სამაგიეროდ – ნაკლებ თანხას მოითხოვდა.

სოფო აფციაური 33.50

ინტერვიუ

გამონვევა – თავისუფლება

გონიერი ადამიანები არ იდავებენ იმაზე, რომ ხელისუფლებას არ აძლევს ხელს „რუსთავი 2“ ისეთი, როგორიც დღეს არის. სამწუხაროდ, არ გვყავს ხელისუფლება, რომელიც იტყვის, რომ, რაც უფრო მეტად გააკრიტიკებს მედია, მით უკეთესია მისთვის. ხელისუფლება დაინტერესებულია, რომ ამომრჩეველი მინიმუმ მანიპულირებული არ იყოს, უარეს შემთხვევაში კი, საერთოდ კრიტიკა არ ისმოდეს „რუსთავი 2-დან“. იყოს ისეთი სარედაქციო ჯგუფი, რომელიც ბევრად უფრო ლოიალური იქნება ხელისუფლების მიმართ.

ზურაბ ვარდიაშვილი 33.18

ბიზნოსთაა

ანთიმოზის ხიდი

ო, მეგობარო, იყიდე ეს ყვავილი, რომ წინ ეკალი არ დაგხვდეს – დაახლოებით ასე მითარგმნეს ერთი რუმინელი ბომბა სიტყვები, რომელიც სადღაც მიმავალთ წინ გადაგველობა.


გიორგი კეკელიძე 33.78

ქალაქი

საბჭოთა ნემესისის ფარი და მახვილი

მკვლელობის გახსნას დამნაშავეთა თავზეხელაღებული უტიფრობა და თვითმხილველთა, ფაქტობრივად, არარსებობა უღებდა ბოლოს. ნაფლეთ-ნაფლეთ შეკრებილი ცნობებით 21 ივლისის ღამის თავდასხმის რეკონსტრუქცია შემდეგნაირად გამოიყურებოდა:

ირაკლი ხვადაგიანი 33.74



თვანსაზიხისი გამოტოვებული გაკვეთილები

საქართველომ „შარლი ებდოს“ ამბავი საშობაო სუფრასთან შეიტყო. დასკვნები იქვე გამოიტანა. მეორე დღეს კაშერულ სუპერმარკეტზე თავდასხმისას უკვე იცოდა, რომ სხვისი სინმინდები არ უნდა შეურაცხყო, მიუხედავად იმისა, რომ საბრალო დადუპულ ებრაელებს საერთო არაფერი ჰქონდათ უხამს კარიკატურებთან. სოციალურ ქსელში ცოტა იკამათეს ეგრეთ წოდებულმა „შარლებმა“ და „ანტიშარლებმა“, უფრო სწორად აგინეს ერთმანეთს. ყველამ თავისი პატარა აგრესიული სიმართლე დაიჯერა, რეზოლუცია დაადო, ბეჭედი დაარტყა და კლასიფიცირებული უჯრაში გამოკეტა, როგორც დოგმა, რომლის შესახებ ნებისმიერი კითხვის დასმა აზრს კარგავს.

პაატა ქურდაძე 33.12



ქეთევან ლვედაშვილი პატიმრობა წინასწარ

აღკვეთის ღონისძიებად წინასწარი პატიმრობის გამოყენება როგორც გახმაურებულ, ასევე რიგით საქმეებზე უკვე ტენდენციად იქცა. თუმცა კანონმდებლობა აღკვეთის ღონისძიების რამდენიმე სახეს მოიცავს. ამიტომ გახმაურებულ საქმეებზე პატიმრობის ხშირი გამოყენება პოლიტიკური სარჩულის არსებობის შესახებ ეჭვებს ამძაფრებს.



სალმე გორგოძე თსუ-ს სამი წელი

თსუ-ს სტუდენტებისთვის საპროტესტო აქციები უჩვეულო არ არის. პროტესტის მიზეზები წლიდან წლამდე არ იცვლება. სტუდენტები ბოლო სამი წლის განმავლობაში, ახალი რექტორის პირობებში, უნივერსიტეტის ცხოვრებაში მომხდარ ზოგიერთ ცვლილებას პოზიტურად აფასებენ, თუმცა ყურადღებას დღემდე მოუგვარებელ პრობლემებზეც ამახვილებენ.



სოფო გოგიშვილი მომავლის ფული – ეკონომიკა სახელმწიფოს გარეშე

საქართველოს ხელისუფლების 10-მილიონიანი ინვესტიცია ვალუტაში, რომელიც რეალური ეკონომიკის მიღმა დგას, სახელმწიფოს კონტროლს არ ექვემდებარება და ხშირად ნარკოტიკების, იარაღისა და ბავშვთა პორნოგრაფიის შავ ბაზარზე მიყვავართ. თბილისში ბიტკოინის მეორე მეგასერვერი შენდება.



ყოველდღე, ჭიშკართან ვინმეს დაძახებისას თუ მანქანის ჩავლისას, ფანჯრიდან შიშით იხედებიან. ელოდებიან, რომ ერთ დღესაც „აღმასრულებელი“ გამორჩდება და სახლის დატოვებას მოსთხოვს. ვერსად წავლენ.



თათია ხალიანი სესხში დაკარგული სახლი

სახლი, სადაც ბექა ნუცუბიძე ცხოვრობს, გაყიდულია. ოჯახის ყოველდღიური ცხოვრებისთვის საჭირო პროდუქტების, გადასახადების თუ მწირენლოვანი ბავშვების გაზრდისთვის აღებული სესხის გამო, ოჯახი ქუჩაში რჩება. თუმცა ეს ერთეული შემთხვევა არ არის. ბექას მსგავსად, საკუთარი სახლებიდან შარშან 246 ოჯახი გაასახლეს.



გიორგი ხასაია

ბლოგი

ლია უკლებას და სხვების უსაფრთხოებაზე

ხელოვნება ხელოვნებად, ამაზე მოგვიანებითაც შეიძლება საუბარი, ახლა სხვა რამე უფრო მნიშვნელოვანი მგონია. ერთადერთი, რაც ახლა მაღელვებს, ჩემი მეგობრების – ლია უკლებას და კონფერენციის (რომლის ფარგლებშიც ეს ნახატი გამოიფინა) ორგანიზატორთა ფიზიკური უსაფრთხოებაა.

ინოვაციური ტექნოლოგიები თანამედროვე ბანკინგში



საბანკო სფერო ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული ინდუსტრია და გლობალური ეკონომიკის მნიშვნელოვანი კომპონენტია. თუ მხოლოდ ზოგადი განმარტებით შემოვიფარგლებით, ბანკი შუამავალია დეპოზიტორებსა და კრედიტორებს შორის და მოზიდულ ფულად სახსრებს სესხად გასცემს. თუმცა რეალურად საბანკო სექტორი ბევრად მრავალფეროვანი, კომპლექსური და ფართო სფეროა, რომელიც მსოფლიო ეკონომიკის მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს.

სხვა ორგანიზაციების მსგავსად ბანკისთვისაც ყველაზე მნიშვნელოვანი გამოწვევა გრძელვადიანი წარმატების მიღწევა და სტაბილური განვითარებაა. მაშინ, როდესაც ბაზარი გაფერებული და მომხმარებლის მოთხოვნა მაქსიმალურად შესწავლილია, კონკურენტული უპირატესობის მისაღწევად სიახლისა და ინოვაციური მიდგომის შეთავაზება საჭირო. მექანიზაციის ფართო გავრცელებამ ეკონომიკის ყველა სფეროში დისტანციური აპარატები თანამედროვე მსოფლიო ბანკინგის განუყოფელ ელემენტებად აქცია.

მსოფლიო ტექნოლოგიური პროგრესი ახალ შესაძლებლობებს უქმნის ბანკებს, უახლესი აპარატების დანერგვით გაცილებით სწრაფი, კომფორტული და მოქნილი გახადონ მომსახურება და კონკურენტულ უპირატესობად ინოვაციური აპარატები გამოიყენონ.

საქართველოსთვის, როგორც განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნისთვის, განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია, არ ჩამორჩეს მსოფლიო მიღწევებს, ფეხი აუწყოს ტექნოლოგიურ განვითარებას და ეტაპობრივად დანერგოს სიახლეები. თუ რამდენიმე წლის წინ საქართველოში მოქმედი ბანკები მომხმარებელს აქტიურად მხოლოდ ბანკომატის მომსახურებას სთავაზობდნენ, ისიც მხოლოდ თანხის გამოტანის ფუნქციით, ახლა უკვე მრავალფეროვანი აპარატების საშუალებით კომპლექსური მომსახურების მიღებაა შესაძლებელი. ეს ტექნოლოგიური განვითარების შედეგია, რომელმაც მომხმარებელს გამარტივებულ სერვისთან ერთად მეტი დამოუკიდებლობა და მოქნილობა მიანიჭა.


თანამედროვე საბანკო ტექნოლოგიებში ინოვაციურად ხშირად გვევლინება „პროკრედიტ ბანკი“. მაგალითად, მსოფლიო მასშტაბით აპრობირებული მეთოდი - დოკუმენ-

ტებზე ელექტრონული ხელმოწერა პირველად ქართულ საბანკო სექტორში სწორედ „პროკრედიტ ბანკის“ მეშვეობით განხორციელდა. როგორც ბანკში აცხადებენ, ელექტრონული ხელმოწერის სატესტო სისტემამ მალევე მოიპოვა მომხმარებლის კეთილგანწყობა და მას შემდეგ ფილიალების ქსელის მასშტაბით აქტიურად დაინერგა.

გერმანულმა საბანკო გამოცდილებამ „პროკრედიტ ბანკის“ ქართველ მომხმარებელს უნიკალური საშუალება მისცა, მსოფლიოს უახლესი აპარატებით ისარგებლონ და საბანკო მომსახურება ნებისმიერ დროს, 24 საათის განმავლობაში მიიღონ. ამას ბანკის თანამედროვე დიზაინით მოწყობილი თვითმომსახურების ზონა - „სივრცე 24/7“ უზრუნველყოფს. გარდა დროის დაზოგვისა, მომხმარებლისთვის უპირატესობას სერვისის დაბალი ტარიფი და სასურველი მომსახურების სისწრაფე წარმოადგენს. კიდევ ერთი ინოვაციური აპარატი, რომელსაც მხოლოდ „პროკრედიტ ბანკის“ თვითმომსახურების ზონა „სივრცე 24/7-ში“ შევხვდებით, უნივერსალური ბანკომატია. ჩვეულებრივი ბანკომატისგან განსხვავებით, აპარატს თანხის სამ ვალუტაში: ლარში დოლარსა და ევროში ანგარიშზე გამოტანა-შეტანის ფუნქცია აქვს.

თანხის გამოტანა, შეტანა, გადარიცხვა საბანკო მომსახურების მხოლოდ ის მცირე ჩამონათვალია, რომელიც მომხმარებელს მომსახურების ერთ ნერტილში, ნებისმიერ დროს, მინიმალურ დროში შეუძლია. „მაშინ, როდესაც საბანკო მომსახურების 90%-ის მიღება გაცილებით სწრაფად, იაფად და მოქნილად არის შესაძლებელი, თვითმომსახურების ზონა „სივრცე 24/7“ საბანკო მომსახურების მნიშვნელოვან კომპონენტად იქცა“ - აცხადებენ „პროკრედიტ ბანკში“.

მსოფლიო ტექნოლოგიური წინსვლა ცვლის თანამედროვე ბანკინგის გაგებას. ტექნოლოგიური ინოვაციების განვითარებამ შესანიშნავი გარემო შეუქმნა მომხმარებელს როგორც მარტივი საბანკო მომსახურების, ასევე ბიზნესის განვითარებისა და წინსვლისათვის.



ერდოლანის გამბიტი

ლევან ახალაია

2014 წლის 29 ოქტომბერს, თურქეთის რესპუბლიკის დღეს, ათათურქის სატყეო მეურნეობის ტერიტორიაზე თურქეთის პრეზიდენტმა, რეჯეპ ტაიპ ერდოღანმა და მისმა მეუღლემ, ემინემ გახსნეს პრეზიდენტის სასახლე – აქსარაი, რაც თურქულიდან თარგმანში თეთრ სასახლეს ნიშნავს. 300 ათას კვადრატულ მეტრზე გადაჭიმული სამსართულიანი ფეშენებელური რეზიდენცია, რომლის დერეფნებიც მწვანე მარმარილოთი და ბორდოსფერი გრანიტითაა მოპირკეთებული, თეთრ სახლზე 50-ჯერ, ხოლო კრემლსა და ვერსალის სასახლეზე 3-ჯერ დიდია. აქსარაის მშენებლობა, სხვადასხვა წყაროს ცნობით, თურქეთის ბიუჯეტს ნახევარ მილიარდ დოლარზე მეტი დაუჯდა. ალბათ, სწორედ ამ სასახლეში აღნიშნავს ერთ დროს სტამბოლის გარეუბანში მცხოვრები რეჯეპ ტაიპ ერდოღანი თავისი პარტიის „სამართლიანობისა და განვითარების“ გამარჯვებას. 1 ნოემბრის რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნებზე მმართველმა პარტიამ ამომრჩეველთა 49 პროცენტზე მეტის მხარდაჭერა მოიპოვა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მმართველმა ძალამ 5-თვიანი პაუზის შემდეგ საკანონმდებლო

ორგანოში უმრავლესობა დაიბრუნა და ახალი მთავრობის ფორმირებას დამოუკიდებლად შეძლებს. მმართველ ძალას 550-ადგილიან დიდ ეროვნულ მეჯლისში 317 დეპუტატი ეყოლება.

ასეთი შედეგი ბევრი ანალიტიკოსისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა. „ხალხმა აირჩია სტაბილურობა“ – ასე შეაფასა თავად პარტიის წარმატება თურქეთის 61 წლის ლიდერმა. პრემიერ-მინისტრმა, აჰმედ დავუთოღლუმ კი მხარდამჭერებისადმი პირველივე მიმართვაში ქვეყნის კონსტიტუციაში ცვლილებების აუცილებლობაზე გაამახვილა ყურადღება. ბოლო წლებში ეკონომიკაში შექმნილი პრობლემები, თავდასხმა ოპოზიციურ მედიაზე, ადამიანის უფლებების დარღვევის გახშირებული შემთხვევები, დაპირისპირება „ქუთრ მუშათა პარტიის“ წევრებთან, ტერაქტების სერია, სირიელი ლტოლვილები – ეს მხოლოდ ნაწილია იმ საკითხებისა, რომლებთან გამკლავებაც თურქეთის ახალ მთავრობას მოუწევს; ამას კი ემატება ბოლო 5 თვეში გამართული ორი არჩევნების შედეგად უკიდურესად პოლარიზებული საზოგადოება.





„შივის გამარჯვება“

7 ივნისს გამართული საპარლამენტო არჩევნები თურქეთის ისტორიაში გამორჩეული იყო. ბოლო 13 წლის განმავლობაში პირველად ერდოღანის პარტიამ პარლამენტში უმრავლესობა დაკარგა. საკანონმდებლო ორგანოში მოხვდა პროქურთული სახალხო დემოკრატიული პარტია. მმართველ ძალას მინისტრთა კაბინეტის ჩამოყალიბება ოპოზიციასთან ერთად მოუხდა, თუმცა მოლაპარაკებები, როგორც ბევრი ვარაუდობდა, უშედეგოდ დასრულდა. რიგგარეშე არჩევნებამდე კი ქვეყანაში ვითარება რადიკალურად შეიცვალა. 22 ივლისს, დიდი ხნის ორჭოფობის შემდეგ, ანკარა დასთანხმდა ვაშინგტონის წინადადებას და აშშ-თან ერთად მეზობელ სირიაში „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაერთო. ამერიკული მოიერიშეები ინჯირლიკის სამხედრო ბაზაზე დაეშვნენ. თუმცა, თუ აშშ-ის ავიაციის სამიზნე სირიაში ექსტრემისტების პოზიციები იყო, თურქულმა გამანადგურებლებმა იერიში „ქურთ მუშათა პარტიის“ ბანაკებზე მიიტანეს. ციხეში მყოფ აბდულა ოჯალანთან 2013 წელს გაფორმებული სამშვიდობო ზავი ივლისში სურუჩში მომხდარი ტერაქტის გამო დაირღვა. ძირითადად ქურთებით დასახლებულ ქალაქში მოწყობილ ახალგაზრდა მოხალისეთა ბანაკში, რომლებიც მეზობელ სირიაში გადასვლას და ექსტრემისტების მიერ დანგრეული ყობანის აღდგენას აპირებდნენ, 20 წლის სტუდენტმა აიფეთქა თავი. გამოძიების ვერსიით, დამნაშავე „ისლამურ სახელმწიფოსთან“ იყო დაკავშირებული, თუმცა მოსახლეობა ამტკიცებს, რომ თავდამსხმელს თურქი პოლიციელები ეხმარებოდნენ, რომლებსაც ხელისუფლება აფარებს ხელს. ორი დღის შემდეგ ორი სამართალდამცველი სახლში მოკლული იპოვეს.

მომხდარზე პასუხისმგებლობა „ქურთ მუშათა პარტიის“ წევრებმა აიღეს. ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების დარღვევის შემდეგ და რიგგარეშე არჩევნებამდე ორი თვით ადრე ავიაიერიშებთან ერთად თურქეთის სამხრეთ აღმოსავლეთ ნაწილში ანტიტერორისტული სპეცოპერაციების სერია მოაწყვეს. სექტემბრის დასაწყისში ქალაქ ჯიზრეში თურქ სამართალდამცველებსა და ქურთ სეპარატისტებს შორის შეტაკებებს მშვიდობიანი მოქალაქეები ემსხვერპლნენ. მათ შორის იყო 10 წლის ბავშვი. ქალაქში საგანგებო მდგომარეობა ერთი კვირის განმავლობაში ორჯერ გამოაცხადეს. ამას მოჰყვა თავდასხმების სერია თურქ პოლიციელებზე. დაიღუპა ათეულობით სამართალდამცველი. ქვეყნის სამხრეთ აღმოსავლეთში, ფაქტობრივად, სამხედრო მოქმედებები მიმდინარეობდა. თურქეთის პრეზიდენტმა კი პირობა დადო, რომ ბრძოლა არ შეჩერდება სანამ ტერორისტები იარაღს არ დაყრიან ან ქვეყანას არ დატოვებენ. თავის მხრივ ერდოღანის თანამებრძოლები პროქურთული პარტიის წევრებს ქურთ მემამბოხეებთან ფარულ კავშირში ადანაშაულებდნენ.

ამ ფონზე კოალიციური მთავრობის ჩამოყალიბება შეუძლებელი გახდა. დაძაბულობის დამაგვირგვინებელი აღმოჩნდა 10 ოქტომბერს ანკარაში მომხდარი ორმაგი ტერაქტი, რომელსაც ოფიციალური მონაცემებით, 97 ადამიანი ემსხვერპლა. გამოძიების ვერსიით, აფეთქებები „ისლამურმა სახელმწიფომ“ და „ქურთ მუშათა პარტიამ“ დაგეგმეს. ამასთან პრეზიდენტმა სპეცსამსახურების შეცდომები აღიარა და რამდენიმე მაღალჩინოსანი თანამდებობიდან მო-




ხსნა. ანკარაში ტრაგედიით დასრულებული მშვიდობიანი აქციის მონაწილეთა უმრავლესობა „სახალხო დემოკრატიული პარტიის“ აქტივისტი იყო. მომხდარის გამო პროქურთულმა პარტიამ საარჩევნო კამპანია საერთოდ შეწყვიტა, ხოლო მისმა ლიდერმა ძალადობის ესკალაციაში მთავრობა დაადანაშაულა. სელაჰატინ დემირტაში და მისი თანამებრძოლები მიიჩნევენ, რომ მთავრობა 90-იანი წლებისთვის დამახასიათებელ კურსს დაუბრუნდა და ქვეყანაში უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პრობლემები განგებ ამომრჩევლების დასაშინებლად გამოიყენა. ხელისუფლებამ ბრალდებას კატეგორიულად უარყოფს.

„შეთქმულების თეორია“

1 ნოემბრის რიგგარეშე არჩევნებს თურქეთში არც ხმაურიანი სკანდალები აკლდა. კენჭისყრამდე ოთხი დღით ადრე პოლიციამ ხელისუფლების მიმართ კრიტიკული პოზიციის მქონე რამდენიმე მედიასაშუალება, ფაქტობრივად, შტურმით აიღო. „Bugun TV“-ის ჟურნალისტები პირდაპირ ეთერში დააპატიმრეს. გაზეთების რედაქციებიდან არასასურველი პუბლიკაციების ავტორები მთავრობის მიერ დანიშნულმა დროებითმა მმართველებმა უკვე გაათავისუფლეს.

მედიაჯგუფ Koza-Ipek-ის სტამბოლის ოფისში სამართალდამცველები სასამართლოს განკარგულების საფუძველზე შევიდნენ. შენობასთან შეკრებილი დემონსტრანტების წინააღმდეგ კი ცრემლმდენი აირი და წყლის ჭავლი გამოიყენეს. პროკურატურის ცნობით, მედიაჯგუფს ტერორიზმის პროპაგანდა და დაფინანსება ედება ბრალად. აღნიშნული კომპანია დაკავშირებულია აშშ-ში მცხოვრებ გავლენიან მქა-



დაგებულ ფეტულა გულენთან, რომელიც ერთ დროს ქვეყნის პრეზიდენტ რეჯებ ტაიპ ერდოღანის ახლო მოკავშირედ მიიჩნეოდა, ბოლო წლებში კი მისი ერთ-ერთი მთავარი კრიტიკოსია. გულენი რელიგიურ-სოციალურ მოძრაობა „ჰიზმეთს“ ხელმძღვანელობს. თურქეთში მქადაგებლისა და მისი მიმდევრების წინააღმდეგ გამოძიება ჯერ კიდევ 2013 წლის დეკემბერში დაიწყო და დღემდე გრძელდება. მაშინ კორუფციული სკანდალის გამო თანამდებობა ერთდროულად სამმა მინისტრმა დატოვა. ამას მოჰყვა ე.წ. სატელეფონო ჩანაწერების სკანდალი. მედიაში გაასაჯაროვეს თავად ერდოღანიც და მისი შვილის საუბრის ჩანაწერი, სადაც იმ დროს თურქეთის პრემიერი ლაჰარაკობს დიდი რაოდენობით ნაღდ ფულზე, რომელსაც სახლში ინახავს. ჩანაწერების გამოქვეყნებას ერდოღანმა მთავრობის შემადგენლობაში ცვლილებებითა და ძალოვან უწყებებსა თუ სასამართლოში კადრების მასობრივი წმენდით უპასუხა.

სახელმწიფოს წინააღმდეგ შეთქმულების ბრალდებით ასობით პოლიციელი, მოსამართლე და პროკურორი გაათავისუფლეს თანამდებობიდან ან დააკავეს. უნდა ითქვას, რომ ზოგადად „შეთქმულების თეორიები“ თურქეთში უკვე დიდი ხანია, პოლიტიკური ცხოვრების ნაწილი გახდა. განსაკუთრებით კი არჩევნების წინ ან საპროტესტო აქციების ფონზე. საინტერესოა, ის ფაქტიც რომ „ტერორიზმის პროპაგანდაში“ ეჭვმიტანილი Koza-Ipek-ის კუთვნილი ტელევიზიებისა და გამოცემების დაყადაღების განკარგულება იმავე მოსამართლემ გასცა, რომელმაც თავის დროზე თურქეთში მიკრობლოგ „ტვიტერის“ დახურვის გადაწყვეტილება მიიღო. მედიასაშუალებების



წინააღმდეგ განხორციელებულ მოქმედებებთან დაკავშირებით შეშფოთება გამოთქევს ევროკავშირსა და აშშ-ში. მედიის თავისუფლების შეზღუდვის შემთხვევებზე საუბრობენ ევროპელი დამკვირვებლებიც. ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეისა და ეუთოს შეფასებით, წინასაარჩევნო კამპანია თურქეთში არასამართლიანი იყო და დაშინების ფონზე მიმდინარეობდა.

„ევროკავშირის დახმარება“



„მმართველი პარტიის გამარჯვება თურქეთში შესაძლოა, ევროკავშირისთვის სასარგებლო იყოს“ – ეს შეფასება გერმანიის პარლამენტის საგარეო პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარეს, ელმარ ბროკს, ეკუთვნის. ის, რომ ბრიუსელს ლტოლვილების კრიზისის გადასაჭრელად ანკარის დახმარება სჭირდება, გერმანიის კანცლერის თურქეთში ოქტომბრის ვიზიტმაც დაადასტურა. დასავლეთ ევროპის ქვეყნებში მიგრანტების ნაკადის შესამცირებლად თურქეთი სოლიდურ ფინანსურ დახმარებას და სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციას მოითხოვს. მერკელის ვიზიტისას საუბარი შეეხო თურქეთის ევროკავშირში განხორციელების შესახებ მოლაპარაკებების განახლებასაც. ამასთან ბრიუსელი უკვე წავიდა დათმობაზე და თურქეთში არსებული ვითარების შესახებ ევროკომისიის მორიგი ანგარიში საპარლამენტო არჩევნების შემდეგ გამოქვეყნდება. ანკარის მიმართ ასეთი ლმობიერი პოზიციის გამო, ანგელა მერკელის ვიზიტი მკაცრად დაგმო თურქეთის საზოგადოების იმ ნაწილმა, რომელიც ხელისუფლების მიმართ კრიტიკულად არის განწყობილი. გერმანიის კანცლერის სახელზე გამოქვეყნებულ ღია წერილში მათ მოუწოდეს მერკელს, შიდაპო-

ლიტიკური სარგებლის სანაცვლოდ არ თქვას უარი ისეთი ღირებულებების დაცვაზე, როგორც არის მაგალითისთვის სიტყვისა და პრესის თავისუფლება, თუმცა, როგორც აღმოჩნდა, ეს მოწოდება უპასუხოდ დარჩა. აშშმე დავითოლუსთან პრესკონფერენციაზე მერკელს ადამიანის უფლებები არ უხსენებია. დასავლეთში ასევე თანხმდებიან, რომ თურქეთს მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია სირიაში კონფლიქტის მოგვარების საქმეში. ამ თემაზე საუბარს მსოფლიო ლიდერები ნოემბრის შუარიცხვებში ანტალიაში დაგეგმილ დიდი ოცეულის სამიტზე აპირებენ. თავად თურქეთის მოთხოვნით დღის წესრიგში დაამატეს ტერორიზმი და ლტოლვილების კრიზისი. აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო კონფერენციის ფარგლებში თურქეთში ჩავა აშშ-ის პრეზიდენტი.

„არაფორმალური მმართველი“

საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვების შემდეგ მმართველი პარტია უპირველეს ამოცანად ქვეყნის კონსტიტუციაში ცვლილებების გზით თურქეთის საპრეზიდენტო რესპუბლიკად გადაქცევას ასახელებს. ამ შემთხვევაში რეჟემ ტაიპ ერდოღანის უფლებამოსილება მნიშვნელოვნად გაიზრდება. ამის მისაღწევად მმართველ უმრავლესობას 13 დეპუტატის ხმა აკლია, თუმცა არც ის არის გამორიცხული, რომ ერდოღანმა ამ იდეაზე საერთოდ უარი თქვას. თურქეთის პირველი პირდაპირი წესით არჩეული პრეზიდენტის ვადა 2019 წელს იწურება, ხოლო ავტორიტეტი დღეს, როგორც ჩანს, სავსებით საკმარისია იმისათვის, რომ მმართველი პარტია და ახალი მთავრობაც დროებით „თეთრი სასახლიდან“ მართოს. □



ადგილებს ჰი არ ვჭირდებით ჩვენ, ჩვენ გვჭირდება მს ადგილები

თბილისში გამართულ სამდღიან კონფერენციაზე - „მე-20 საუკუნის მასობრივი სამარხები“ უცხოელი და ქართველი მეცნიერები მათი კვლევის სფეროში არსებულ პრობლემებსა და გამოწვევებზე მსჯელობდნენ.

ავტორი: ინსეა კიდერლენი / InseaKiderlen
თარგმანი გერმანულიდან: ლიკა კაციტაძე

ჯერ გეტყვიან: იქ სოკოებს ნუ შეაგროვებო, მერე - იქ საშიში ცხოველებიაო, შემდეგ - თავი შორს დაიჭირე ამ ადგილებიდან, იქ მშფოთვარე, დენილი სულელები დაბორიანლებენო, დაბოლოს - მოერიდე ამ ადგილს, ის საუკუნეებისა და თაობების განმავლობაში დაბინძურებული და დაინფიცირებულიაო.

ფოლკსვაგენის ფონდის, ბოხუმის რურის უნივერსიტეტისა (გერმანია) და სახალხო უნივერსიტეტთა გერმანული ასოციაციის საერთაშორისო თანამშრომლობის ინსტიტუტის (DVV-International) მიერ ორგანიზებული კონფერენციის - „მე-20 საუკუნის მასობრივი სამარხები“ მონაწილეებს აერთიანებდათ საერთო ამრი - ისინი გვერდს არ აუვლიან ამგვარ ადგილებს, არც ფიზიკურად, არც თავიანთ ფიქრებსა და კვლევებში. უფრო მეტიც, რუსი, პოლონელი, კოსოველი და გერმანელი მკვლევარები ისევე, როგორც მათი ქართველი კოლეგები, დროისა და ენერჯის დიდ ნაწილს უთმობენ მასობრივი საფლავების - ამ უსიამოვნო, ყველასაგან მოძულებული და იდუმალებით მოცული საშინელი სისასტიკის ადგილების კვლევას და გამოვლენას.

15-დან 17 ოქტომბრამდე მათი საქმიანობის სფეროში მიღწეული წარმატებების და ასევე, არსებული სირთულეებისა და გამოწვევების შესახებ გამოცდილების გაზიარების მიზნით ისინი თბილისში შეიკრიბნენ. ყოველი წარმატება, რომელსაც თავიანთ საქმიანობაში აღწევენ, ამავე დროს, ტკივილთანაა დაკავშირებული და ამიტომ მთავარი პრობლემაც სწორედ კვლევის საგანშია. „ყოველი წარმატება ჩვენი კვლევის სფეროში, ძირითადად, მრავალი ათასი მსხვერპლის ნეშტის აღმოჩენის ტოლფასია“ - ასე გამოხატა დილემის არსი კონფერენციის დასაწყისში ერთ-ერთმა მკვლევარმა.

სამწუხაროდ, ამ აღმოჩენებით სახელმწიფოს მხრიდან ცოტა ვინმე თუ ინტერესდება - ეს იყო კონფერენციის მონაწილეთა საერთო ამრი და გამოცდილება მიუხედავად ცალკეულ ქვეყნებში არსებული სპეციფიკური კონტექსტებისა. პოლიტიკოსების მხრიდან იგნორირებას ხშირად სამოქალაქო საზოგადოების გულგრილობაც ემატება, რაც საკუთარი ქვეყნის წარსულის სიღრმისეული შესწავლის აუცილებლობას უგულვებელყოფს. ნაკლები დაინტერესე-



ბის გარდა, კვლევითი პროექტების არასაკმარისი ფინანსური მხარდაჭერაც მნიშვნელოვანი პრობლემაა. სწორედ ამიტომ სწრაფად გამოიკვეთა მთავარი კითხვები, რომლებიც კონფერენციის სამივე დღეს დომინირებდა: როგორ დაგანტერესოთ ფართო საზოგადოება მასობრივი სამარხების მოძიებისა და მოვლა-პატრონობის აუცილებლობაში? როგორ ვაიძულოთ სახელმწიფო, რომ თუ მსგავსი კვლევითი პროექტების განხორციელებას მხარს არ დაუჭერს, ხელს მაინც ნუ შეუშლის, რაც ასევე წინადადებული ნაბიჯი იქნება; დაბოლოს: როგორ მოვიზიდოთ საჭირო ფინანსური სახსრები?

იგივე პრობლემები აწუხებს ქართულ არასამთავრობო ორგანიზაციას - „საბჭოთა წარსულის კვლევრს ლაბორატორია“ (SovLab), რომელიც 2000 წლიდან, ანუ დაარსებიდან, თანამშრომლობს DVV International-თან. SovLab საქართველოს უახლესი ისტორიის, მათ შორის, სტალინის პერიოდის მასობრივი სამარხების კვლევითაც არის დაკავებული. თბილისის კონფერენციის მთავარი ამოცანა მასობრივი საფლავების კვლევის საერთაშორისო პროფესიული გამოცდილების SovLab-ის წევრებისთვის გაზიარება და მათი პრობლემების გადაჭრის ახალი შესაძლებლობების ერთობლივი ძიება გახლდათ.

ვიდრე კონფერენციის მონაწილენი თავიანთ მოხსენებებში ამ ძირითადი საკითხების განხილვას და გამოცდილების გაზიარებას შეუდგებოდნენ, ბოხუმის რურის უნივერსიტეტის დიასპორისა და გენოციდის კვლევის ინსტიტუტის დირექტორმა (IDG), პროფესორმა, დოქტორმა მიჰრან დაბაგმა მეცნიერთა თავყრილობა თანამედროვეობაში გენოციდის შესახებ შესავალი მოხსენებით გახსნა. მისი მოსაზრებით, მე-20 საუკუნის გენოციდებს ტოტალური განადგურების გარდა ახასიათებს ასევე სწრაფვა ახალი საზოგადოებრივი წესრიგის დამყარებისკენ, რომლის განხორციელებაც არსებულის სრულ განადგურებას მოითხოვდა. მომხსენებლის ერთ-ერთი ყველაზე ყურადსაღები ციტატის მიხედვით: „გენოციდის სტრატეგია მიმართულია ერთიან განადგურებაზე, განადგურებაზე, რომელიც სცილდება მკვდარ სხეულებს; რომელიც გულისხმობს არა მხოლოდ ფიზიკური ყოფიერების, არამედ წარსული და მომავლი ყოფიერების მოსპობასაც, იმავდროულად“. ეს ზღვარგადასული განადგურება დღესაც წარმატებით გრძელდება, თუკი გენოციდის მსხვერპლთათვის არ მოიძებნება მათი კუთვნილი ადგილი და სივრცე თანამედროვე საზოგადოებაში. ამ ამრს იზიარებს ბერლინელი ისტორიკოსი და ფოტოგრაფი ანსგარ გილსტერიც, რომლის ფერადი ფოტონამუშევრების გამოფენა კონფერენციის ფარგლებში გაიმართა და მივიწყებული მასობრივი სამარხების ადგილებს ასახავდა პოლონეთში, უკრაინაში, ბელორუსიაში, ბალტიისპირეთსა და საქართველოში. გამოფენისადმი მიძღვნილ ფლაერში იგი წერს: „საკონცენტრაციო ბანაკები და მასობრივი მკვლელობების ადგილები ლანდშაფტს შეერწყა, სასაფლაოს ბალახი კი ისეთივე მწვანეა, როგორც ნებისმიერ სხვა ადგილას.

მოძალადეებმა თითქმის ყველგან შეძლეს მათი სისასტიკის მსხვერპლთა კვალის გაქრობა“.


რუსი ისტორიკოსი, ერთ-ერთი პირველი რუსული არასამთავრობო ორგანიზაცია „მემორიალის“ წევრი ვიჩესლავ ბიტიუტსკი ერთ ასეთ ადგილზე მოგვითხრობს, რომელიც დავიწყებას დიდი ძალისხმევის წყალობით გადაურჩა. ვორონეჟში, მოსკოვიდან 500 კილომეტრით სამხრეთში, მოსახლეობა იქვე ახლოს, ფიჭვის ტყეში დაფარული საძმო საფლავით დანტერესდა, რადგან დახვრეტის მსხვერპლნი, ამ შემთხვევაში, დადასტურებულად იყვნენ ადგილობრივი მკვიდრნი. სტუდენტების მიერ შემთხვევით აღმოჩენილი სამარხი საგულდაგულოდ გამოიკვლიეს. გათხრების პროცესში აღმოჩნდა არა მხოლოდ რამდენიმე ათასი მსხვერპლის ნაშთი, არამედ უამრავი პირადი ნივთი, რომელიც მიცვალებულთა იდენტობასა და დახვრეტის პირობებზე მიუთითებდა. ამ ნივთებისგან შემდეგ მემორიალური ხსოვნის ადგილები მოეწყო - როგორც წარსული დანაშაულის მარადიული შესხენება.

ამ დადებითი მაგალითის გარდა, მასობრივი სამარხების კვლევა საკმაო სირთულეებთანაა დაკავშირებული რუსეთშიც. ბევრი საძმო საფლავისთვის ოფიციალური სტატუსის მინიჭება ვერ ხერხდება, რის გამოც მათი ასე მოხსენიება არ შეიძლება. გართულებულია საარქივო დოკუმენტების ხელმისაწვდომობაც. „ყველაფერი დაიწვა“ - ეს არის სტანდარტული პასუხი, რომელსაც კვლავ და კვლავ იღებენ რუსი მკვლევარები და არა მხოლოდ ისინი.

პოლონელი ანთროპოლოგი რომა სენდიკაკი კონკრეტულ პრაქტიკულ პრობლემებზე მეტად მასობრივი სამარხების ირგვლივ მოსახლეობის მიერ ფორსირებულ, შეთხზულ მითებსა და ლეგენდებს შეეჩეხა. იგი აღწერს, თუ როგორ აქცევს მასობრივ საფლავებს მითოვებულ, გავერანებულ და „დაბინძურებულ“ ადგილებად იმ მოხეტიალე და სიმშვიდედაკარგული სულების მიმართ შიში, რომელთაც დაკრძალვის ჩვეული რიტუალი არ ხვდათ წილად. იგი ასევე მოგვითხრობს ხელოვანთა მცდელობაზე, ეს შებლალული ადგილები კვლავ „დაუბრუნონ“ შემინებულ ადამიანებს, რამეთუ „ხსოვნის ადგილები ჩვენ უფრო გვჭირდება, ვიდრე ჩვენ ვჭირდებით ამ ადგილებს“ - როგორც იმპულსი წარსულის გადაფასების, მსხვერპლთათვის პატივის მიგებისა და საკუთარი ქვეყნის იდენტურობის ფორმირებისთვის, სამომავლოდ.

სწორედ ამის ღრმა რწმენა აერთიანებდა კონფერენციის ყველა მონაწილეს მკვლევარს, რომელთაც თბილისში ერთობლივად გატარებული სამი დღის შემდეგ საერთაშორისო დონეზე მჭიდროდ თანამშრომლობა და ყველა საჭირო სფეროში ერთმანეთის მხარდაჭერა მტკიცედ განიზრახეს.





გამოტოვებული გაკვეთილები

პატა ქურდაძე
მწერალი



მიმდინარე წლის დასაწყისში, 7 იანვარს, როდესაც საქართველო ახალი წლის ნამთვრალეზე პატარა იესოს დაბადებას ზეიმობდა – პარიზში გამოცემა „შარლი ებდოს“ რედაქციაში ტერორისტები შეიჭრნენ... ალბათ, გახსოვთ.

ქართულ მედიას ისედაც არ ახასიათებს მსოფლიოში მიმდინარე მნიშვნელოვანი მოვლენების ღრმა ანალიზი, შობა-ახალწელს მით უმეტეს: ატომური ომი ისე შეიძლება დაიწყოს, რომ მხოლოდ მაშინ გავიგებთ, როცა უკვე ძალიან გვიან იქნება რადიაციული თავშესაფრის ძებნა.

იანვარში ყველა ტოქსიუ თავისი ტელევიზორული კვლავებით, პოლიტიკოსებით, ჟურნალისტებითა და ექსპერტებით შევხვდებით, ამიტომ მოსახლეობა ნაძვის ხეებითა და ლამაზი გირლანდებით მორთული მხიარული ახალი ამბებით ცდილობს ხოლმე, იოლად გამოვიდეს.

საქართველომ „შარლი ებდოს“ ამბავი სამობაო სუფრასთან შეიტყო. დასკვნები იქვე გამოიტანა. მეორე დღეს კაშერულ სუპერმარკეტზე თავდასხმისას უკვე იცოდა, რომ სხვისი სინმინდები არ უნდა შეურაცხყო, მიუხედავად იმისა, რომ საბრალო დაღუპულ ებრაელებს საერთო არაფერი ჰქონდათ უხამს კარი-

საქართველომ დღემდე არ იცის, რა მოხდა საფრანგეთში, რატომ გახდა შესაძლებელი ამ ტერორისტულმა აქტმა, მთელი ქვეყანა, ნებისმიერი პოლიტიკური გემოვნებისა თუ რელიგიური კონფესიის მიუხედავად, რამდენიმე დღით სოლიდარული გამხდარიყო.

კატურებთან. სოციალურ ქსელში ცოტა იკამათეს ეგრეთ წოდებულმა „შარლებმა“ და „ანტიშარლებმა“, უფრო სწორად აგინეს ერთმანეთს. ყველამ თავისი პატარა აგრესიული სიმართლე დაიჯერა, რეზოლუცია დაადო, ბეჭედი დაარტყა და კლასიფიცირებული უჯრაში გამოკეტა, როგორც დოგმა, რომლის შესახებ ნებისმიერი კითხვის დასმა აზრს კარგავს.

საქართველომ დღემდე არ იცის, რა მოხდა საფრანგეთში, რატომ გახდა შესაძლებელი ამ ტერორისტულმა აქტმა, მთელი ქვეყანა, ნებისმიერი პოლიტიკური გემოვნებისა თუ რელიგიური კონფესიის მიუხედავად, რამდენიმე დღით სოლიდარული გამხდარიყო. აქ, საქართველოში დღემდე უჭირთ დაიჯერონ, რომ გამოხატვის თავისუფლება შესაძლოა, რომელიმე ქვეყანაში ისეთ მნიშვნელოვან ფასეულობას წარმოადგენდეს, რომ ამის გამო ადამიანებმა თავი განირონ. უჭირთ, რადგან მათთვის ჯერ კიდევ არავის აუხსნია ამ უზარმაზარი და ფუნდამენტური საკითხის მნიშვნელობა, არც შარლიმდე და არც, სამწუხაროდ, მერე. იმ ადამიანებსაც კი არ აუხსნიათ, ვისი მოვალეობაცაა ამის გაკეთება, ვინც ჯამაგირს იმისთვის კი არ იღებს, რომ თავისი ცოდნა საკუ-

თარი უნიკალური იმიჯის განმტკიცებისა და თანამოაზრეებისათვის გასაზიარებლად გამოიყენოს, არამედ უნილადოს მათ, ვისაც წარმოდგენა არა აქვს იმ უმნიშვნელოვანესი ფასეულობების შესახებ, რომლის გარეშე დემოკრატია ყოველგვარ აზრს კარგავს.

დღეს ნებისმიერ შარლატანს შეუძლია, თაღლითობა გამოხატვის უფლების საბურველით შემოსოს და ამ ადამიანის უმნიშვნელოვანეს ფუნდამენტურ უფლებას ისეთი ცრუ ინტერპრეტაცია მისცეს, როგორც მას სურს. პასუხის მომთხოვნი კი თითქმის არავინ იქნება..

ამის შესანიშნავი მაგალითია „რუსთავი 2-ის“ ცნობილი სასამართლო პროცესი, რომელიც სასწრაფოდ ტრანსფორმირდა სიტყვის თავისუფლებისათვის ბრძოლად. თავისი ცრუ გმირებით, ანტიგმირებით, მოლაღატებითა და უბრალოდ მეგაფონიანი მყვირალა ოპორტუნისტებით. ერთ-ერთი პირველი საოცარი განცხადება შალვა ნათელაშვილმა გააკეთა ვაშინგტონიდან, იმის შესახებ, რომ ამერიკასა და ევროპაში „რუსთავი 2“ ასოცირებულია თავისუფალ სიტყვასთან! იმავე დღეს მწერალი დავით ტურაშვილი კიდევ უფრო შორს წავიდა. მისი აზრით, სიტყვის თავისუფლება უფრო მეტი ფასეულობაა, ვიდრე ტელეარხის მფლობელობაზე პრეტენზიის მქონე ხალვაშის პირადი ქონება... მოკლედ, ტურაშვილისა და ნათელაშვილისეული ვერსიით, სიტყვის თავისუფლება დასავლური ფასეულობაა, ის კერძო ქონებაზე მეტია, ასოცირდება პატრიოტიზმსა და სამშობლოსთვის თავგანწირვასთან. უნდა გითხრათ, 1789 წელს საფრანგეთის რევოლუციისას გამოცემულ ადამიანის უფლებათა უნივერსალურ დეკლარაციაში მსგავსი ნამდვილად არაფერი წერია, მიუხედავად იმისა, რომ სიტყვა პატრიოტიზმი სწორედ მისმა შემდგენელებმა მოიგონეს ადამიანის უფლებებთან ერთად და პატრიოტიზმის პრეტექსტით ამავე ადამიანთა სისხლის გაუბეებიც დააყენეს.

პრინციპში, იმას, რასაც საქართველო-

ში სიტყვის თავისუფლების ქვეშ, სავარაუდოდ, გულისხმობენ, უფრო პრესის თავისუფლება ჰქვია. რაც, თავის მხრივ, ერთ-ერთი შემადგენელია ბევრად უფრო ფართო და ზოგადი ცნების – გამოხატვის თავისუფლების. ამ უკანასკნელს ჩვენში სიტყვის, ანუ პრესის თავისუფლებისგან, რატომღაც, განყენებულად ახსენებენ ხოლმე. არც არის გასაკვირი. გამოხატვის თავისუფლება ხშირად ასოცირდება მედიისა და ინფორმაციის გავრცელების თავისუფლებასთან, მაგრამ ის ასევე ასოცირდება სხვა ნებისმიერ პუბლიკაციასთან: წიგნთან, ფილმთან, ხელოვნების ყველა დარგთან, საზოგადოების წინაშე წარმოთქმულ ორატორულ თუ პოლიტიკურ სიტყვასთან, ნებისმიერ მედიასაშუალებასთან, გლობალურად კი აზრის, შეხედულების გამოხატვასთან ნებისმიერი მეთოდით.

პრინციპში, იმას, რასაც საქართველოში სიტყვის თავისუფლების ქვეშ, სავარაუდოდ, გულისხმობენ, უფრო პრესის თავისუფლება ჰქვია. რაც, თავის მხრივ, ერთ-ერთი შემადგენელია ბევრად უფრო ფართო და ზოგადი ცნების – გამოხატვის თავისუფლების.

ვინმეს შეუძლია თქვას, რომ საქართველოში, პრესის თავისუფლების გარდა, რომელიმე გამოხატვის საშუალების თავისუფლების გამო ამტყვარა აუცილათი?

მედია და პოლიტიკოსები საზოგადოების აუციტრების ბერკეტებს მხოლოდ მაშინ იყენებენ, როდესაც მიიჩნევენ, რომ საშიშროება მათ პირად და პროფესიულ თავისუფლებას ეხება და არა მაშინ, როდესაც – რომელიმე ხელოვანის გამოხატვის თავისუფლება ილახება, როგორც მაგალითად სულ ახლახან ქუთაისელი მხატვრის, ორსული მადონას ავტორის შემთხვევაში.

ამასთან აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ თავისუფლება, თავის მხრივ, მანიპულირებისა და თაღლითობის საშუალებასა და ბერკეტია: ადამიანის უფლებების უნივერსალური დეკლარაციის მე-19 მუხლში გარკვევით წერია, რომ კომუნიკაციისა და გამოხატვის თავისუფლება მხოლოდ იმ ფარგლებშია დასაშვები, რომელშიც არ ხდება ამ თავისუფლებით ბოროტად სარგებლობა, ცილისწამება, სიცრუე... დეკლარაციის ამ დეტალს, რატომღაც, თვალს არიდებენ ხოლმე ქართველი მედიაექსპერტები

და საუბრობენ ტოტალური თავისუფლების აუცილებლობაზე, რაც ქართულ ცრუპენტელა და ცილისმწამებელ მედიას სრულიად აძლევს ხელს. სწორედ ამიტომ არიან ერთი შეხედვით სამკვდროდ გადაკიდებული კონკურენტი მედიასაშუალებები და ჟურნალისტები ერთმანეთის სოლიდარულნი, რადგან სისტემა, რომელშიც ეს ზღვარს გადასული, ქართული სიტყვის თავისუფლებად ტრანსფორმირებული პრესის თავისუფლება ფუნქციონირებს, ერთნაირად აძლევს მანევრირების საშუალებას ყველა მედიასაშუალებასა და ყველა პოლიტიკოსს, თუნდაც ისინი ერთმანეთის მოსისხლე მტრები იყვნენ და სწორედ ამის მაგალითია ის უპრეცედენტო ცხვრებისა და მგლების ურთიერთსოლიდარობა, რომელიც დღეს „რუსთავი 2-ის“ გარშემო შეინიშნება.

ემანუილ კანტის მიხედვით, გამოხატვის თავისუფლება სრულიად აუცილებელი პირობაა აზროვნების თავისუფლებისათვის: „დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ: უმაღლეს ძალაუფლებაში მყოფთ შეუძლიათ, ლაპარაკის ან წერის თავისუფლება ჩამოგვართვან, მაგრამ ვერავითარ შემთხვევაში ვერ შეძლებენ ჩამოგვართვან აზროვნების თავისუფლება. ნებისმიერ შემთხვევაში, რა იქნება ჩვენი ნააზრევის სიღრმე ან სიზუსტე, თუკი ჩვენ გარკვეულწილად არ ვიაზროვნებთ სხვებთან ერთად, ვისთვისაც შეგვიძლება ჩვენი ნააზრევის გაზიარება, ხოლო მათ – თავიანთისა ჩვენთვის!? ასე რომ, შეგვიძლია ვთქვათ, გარე ძალა, რომელიც ადამიანებს ართმევს აზრებით საჯარო კომუნიკაციის უფლებას, მათ, აგრეთვე, ართმევს აზროვნების თავისუფლებას.

...

მართლაც, იქ, სადაც შეზღუდულია თავისუფალი კომუნიკაცია, შეზღუდულია აზროვნება და ამის ნათელი მაგალითი საბჭოთა კავშირია, კერძოდ კი, ჩვენი საბჭოთა საქართველო.

მაგრამ, რა მოხდა წითელი იმპერიის შემდეგ, როდესაც მოულოდნელად და ერთბაშად კომუნიკაციის თავისუფლების ისეთი შეუზღუდავი საშუალება გაჩნდა, როგორც დასავლეთიც კი ვერ იოცნებებდა? პოსტსაბჭოთა ქართულ მედიას ხომ არანაირი ტაბუ არ გააჩნდა. მათ დღემდე შეუძლიათ, სრულიად უფასოდ დასწამონ ცილი, ვისაც გნებავთ – კრიმინალთან

სიახლოვეში, გარყვნილებაში, მკვლელობაშიც კი... სამშობლოს „ბანალურ“ ლალატზე რომ აღარაფერი ვთქვათ... და პასუხს არავინ აგებს, მეტიც, პასუხს არც კი ითხოვს ვინმე. საქართველო არის ქვეყანა, სადაც გაზეთი „ასავალ დასავალი“ შესაძლებელია! სადაც ის ნამდვილ ჭეშმარიტად „თავისუფალი“ მედიის ფლაგმანს წარმოადგენს, „მერე რა“, რომ ეს სწორედ ის თავისუფლებაა, რომელიც ადამიანის უფლებების მე-19 მუხლით არის შეზღუდული... ჩვენთან ასეთი შეზღუდვები მხოლოდ წვრილმანია.

რა მოხდა? რატომ არ გაიზარდა აზროვნების ხარისხი პოსტსაბჭოთა საქართველოში? ნუთუ კანტის ამ აბზაცის ფასი, მართლაც, ის სამასი ლარია, რომელიც დიდი გერმანელი ფილოსოფოსის სახელობის თბილისის რაღაც „აკადემიაში“ სამთვინი ტრენინგი ღირს?

ქართული ვერსიით, „სიტყვის თავისუფლება“ კონფლიქტში მოდის გამოხატვის თავისუფლების იმ უნივერსალურ მნიშვნელობასთან, რომელიც მასში 1789 წელს ჩაიდო.

სიცრუის თავისუფლებას, რომელსაც აზროვნებასთან არაფერი აქვს საერთო, მე პარაზიტების თავისუფლებას დავარქმევდი, რომელიც რეალურ „სიტყვის თავისუფლებას“ აფერხებს, აჭუჭყიანებს, აინფიცირებს. ამდენად ის ხელს უშლის აზრთა კომუნიკაციას და თავად აზროვნებას. ქმნის თავისუფლების იმიტაციის კონტექსტს, რომლის მექა თავად თბილისის ემანუილ კანტის აკადემია ხდება, სადაც სულ რაღაც სამას ლარად სამ თვეში შეგიძლიათ, გახდეთ წარმატებული ადამიანი, სადაც მასტერკლასებს ასევე წარმატებული და ცნობადი ტელეინტელექტუალები წაგიკითხავენ... საბრალო, საბრალო ემანუელი, მშობლიური ქალაქი და საფლავი რუსებმა წაართვეს, სახელი კი – ქართველებმა... თუმცა მის სულს ვერაფერი მოუხერხეს, ის მაინც ჭეშმარიტებას ეკუთვნის.

გამოხატვის თავისუფლება არის სწორედ ის, რამაც პრიმატი ჰომოსაპიენსი გამოქვაბულიდან გამოიყვანა, ასწავლა კითხვის დასმა და მასზე პასუხის ძებნისთვის ჯერ ინდივიდუალური, შემდეგ კოლექტიური შრომა, მოთმინება, მეთოდის ძებნა, საკუთარი შესაძლებლობის ლიმიტის დარღვევა, საზღვრის გადალახვა. ეს არის ევოლუციის რეტროსპექტივა, ილუსტრა-

ცია პროცესისა, თუ როგორ იქცა პირუტყვი ადამიანად.

ჩვენ კი ეს ყველაფერი პრესის თავისუფლებამდე შევკვუმშეთ და ამას სიტყვის თავისუფლება დავარქვით, მაგრამ გამოხატვის ზემოთ ჩამოთვლილი ფორმების თავისუფლების გარეშე, ეს სიტყვის თავისუფლება მხოლოდ უფროთ პეპელას ანუ მატლს ემსგავსება, რომელიც ფრენის ნაცვლად ბრმად და უშნოდ დახობავს მწვანე ფოთოლზე... რა აზრი, ან რა ფასი აქვს თავისუფალ სიტყვას, თუკი ის მხოლოდ სიბრყვეს, სიცრუეს, ცილისწამებას, ვიღაც მეგალომანი შარლატანის ინტერესებს ემსახურება? რა აზრი აქვს გამოხატვის თავისუფლებას, როდესაც გამოსახატავი არაფერი გააჩნია, გარდა ტყუილისა და ცილისწამების, რომლებსაც არ შეუძლიათ გააბან ის კომუნიკაცია, რომელზეც კანტი საუბრობდა და რომლის გარეშეც შეუძლებელია აზროვნება, როგორც ზმნა, როგორც პროცესი. მას მხოლოდ ამ სიტყვის არსებით სახელად ტრანსფორმირება შეუძლია. ამდენად სიცრუის თავისუფლების კონტექსტში აზროვნების თავისუფლება აზრს კარგავს და ჩვენი გონება ისევ გამოქვაბულს უბრუნდება, იმ ბესტიალურ მდგომარეობას, სანამ ჰომოსაპიენსი პირველ ცხოველებს ამოკანრავდა კედელზე. სამწუხაროდ, სწორედ ამ გროტესკულ თავისუფლებას ემსახურება ყველაზე ხშირად ქართული მედიის სიტყვა.

მე ვამტიკებ, რომ მხატვარ უკლებას გამოხატვის თავისუფლების დაცვა სახელმწიფოებრივად და ფილოსოფიურად ბევრად უფრო მაღალი მნიშვნელობისაა, ვიდრე რომელიმე მატყუარა და ცილისმწამებელი არხის, რადგან ეს სწორედ ნამდვილ გამოხატვის უფლების დაცვას ეხება, ავტორზე ფსიქოლოგიური ზემოქმედების მცდელობას, მის მანიპულირებას... და მანიპულირებას თითქმის ყველა მხრიდან, თვით აკადემიური წრეებისთვისაც ეს ისტორია გახდა არა არტისტის ყველაზე ფუნდამენტური უფლების შელახვის, არამედ რადიკალურ რელიგიურ

ინტელუიციონისტობისა და დეპროპაგანდის საფრთხისა და მისი უფრო მეტი განხილვის საჭიროებას.

უნდა ითქვას – ფრანგ განმანათლებლებს რომ თავიანთი „გასანათლებლების“ მიმართ ისეთი ზიზღნარევი ქედმაღლური დამოკიდებულება ჰქონოდათ, როგორც დღევანდელ ქართველ ინტელექტუალებს აქვთ, გარწმუნებთ, საფრანგეთი დღესაც შუა საუკუნეებში იქნებოდა ჩარჩენილი.

წრეებთან ბრძოლაში ქულის დანერის საგანი, თითქმის ყველა ტექსტი, რომელიც დაინერა, რალაც ზიზღნარევი ქედმაღლობით იყო განმსჭვალული ყველას მიმართ „ვინც ჩვენთან არ არის და ვინც ამიტომ – თავისთავად ცხადია – ცივილიზაციის მტერია“.


ეს ის ხალხია, რომლებმაც გასულ ზამთარს ორიოდ კვირით „ფეისბუქის“ ავტარებად „Je suis Charly“ დაიყენეს, თავიანთ ვინრო წრეში შეთანხმდნენ, რომ ან პროგრესსა და ევროპასთან ასოცირებული შარლი ხარ, ან ფუნდამენტალისტი და გოიმი ანტიშარლი და დაიშალნენ... უნდა ითქვას – ფრანგ განმანათლებლებს რომ თავიანთი „გასანათლებლების“ მიმართ ისეთი ზიზღნარევი ქედმაღლური დამოკიდებულება ჰქონოდათ, როგორც დღევანდელ ქართველ ინტელექტუალებს აქვთ, გარწმუნებთ, საფრანგეთი დღესაც შუა საუკუნეებში იქნებოდა ჩარჩენილი.

ადამიანის ფუნდამენტური უფლებების მოსახლეობამდე მიტანის „ჯვარი“ მხოლოდ არასამთავრობო ორგანიზაციების საზიდი გახდა, მათი ცივი პროტოკოლური ენა კი ქართველების ცხელ გულებში ვერ აღწევს – მაშინვე დნება, ორთლდება, ქრება. პრინციპში ინტელექტუალებისა და ხელოვანების ენაც... რომლებიც ასე საოცრად ნააგავს იმავე ცივ, პროტოკოლურ გაშეშებულ ენას.

კომუნიკაცია არ მუშაობს, არც აზრი. ჩვენ ნიჭიერ, მაგრამ ზარმაც მონაფეს ვგავართ, რომელიც ათიდან მხოლოდ ერთ გაკვეთილს იზეპირებს კარგი ნიშნის მისაღებად. დიახ, იზეპირებს – მაგრამ არ, უფრო სწორად, ვერ სწავლობს, რადგან გამოტოვებული გაკვეთილები ამის საშუალებას არ აძლევს. მან იცის, რომ ორჯერ ორი ოთხია, მაგრამ ეს არ არის საკმარისი გამრავლების ტაბულის ცოდნისათვის, რადგან მან არ იცის, რომ სამჯერ სამი ცხრაა, თუმცა იცის, რომ შვიდჯერ ცხრა სამოცდასამია...

შარლის გაკვეთილიც ისევე გამოტოვა საქართველომ... დაიზეპირა რამდენიმე მყვირალა მოცემულობა, რომელსაც

ტექნოლოგიები – გენგმონაგ



ვერონიუსსა და CNN-ზე მოჰკრა თვალი, დაიმასხოვრა და მას შემდეგ ჯიუტად სჯერა თავისი ცოდნის. კითხვა არასდროს არ დაუსვამს თავისი თავისთვის. ისევე, როგორც სხვა გამოტოვებული „გაკვეთილების“ – მაგალითად, იმავე საფრანგეთში ჰომოსექსუალთა ქორწინების სანინალმდეგოდ გამართული მანიფესტაციების შემთხვევაში... სულ მალე იმავე წლის 17 მაისს არცთუ სასიამოვნოდ რომ შემოუბრუნდა საქართველოს, პირდაპირი მნიშვნელობით ერსაც და ბერსაც... რომლებიც უნდა ითქვას, რომ არსად ისე არ იმსახურებენ ერთმანეთს, როგორც... „აქ, ამ ქვეყანაში“!

შარლი ებდო იყო უზარმაზარი თემა, შესაძლებლობა, გაკვეთილი, რომელიც სავსებით იმსახურებდა იმ მილიონობით ადამიანის ქუჩაში გამოსვლას, საქართველომ ტელევიზიით რომ იხილა და მიზეზი დღემდე ვერ გაიგო... რომ გაეგო, ალბათ, დღეს ორსული ღვთისმ-

შობლის კარიკატურა ასე არ აღაშფოთებდა და შეურაცხყოფდა მორწმუნეთა გრძობებს... ამ ნახატს არც „კონტემპორერ არტის“ შედეგადღური, ნიმუშის რანგში აიყვანდნენ პისტოლეტით შეიარაღებული ღვთისმშობლის კალთას ამოფარებული მხდალი და კონიუნქტურული ქართველი „ეპატაჟისტები“... არც ავტორს გახვევდნენ მისთვის მოულოდნელ და არასასიამოვნო გაუგებრობაში. მეტიც, ვერც „რუსთავი 2-ის“ გენერალური დირექტორი და მისი ოდესელი „ქარიზმატული“ პატრონი გაბედავდნენ ასე ადვილად სიცრუისა და ცილისწამების გავრცელების უდავო, მაგრამ სამარცხვინო უფლების ფუნდამენტური გამოხატვის უფლების რანგში აყვანას. საგნებს შეძლებისდაგვარად თავისი შინაარსის შესაფერისი სახელები დაერქმეოდა და მათთან დაკავშირებული პროცესები შესაბამისად მშვიდად და ნაკლები გროტესკულობით წარმართებოდა. ■



გამონვევა – თავისუფლება

ინტერვიუ ჟურნალისტ იანთაძესთან



ფოტო: სიმონ ავალიანი

ვიდრე საყოველთაოდ ცნობილი განჩინება გამოქვეყნდებოდა, არსებობდა მოლოდინი, რომ „რუსთავი 2-თან“ დაკავშირებული პროცესები გაინელბოდა. თავად ნიკა გვარამიაც აცხადებდა, რომ პროცესები არჩევნებამდე გაგრძელდებოდა. რა შეცვალა თქვენს შეფასებებში განჩინებამ?

ამ განჩინებამ შეცვალა ის, რომ, სავარაუდოდ, სწორედ არჩევნების წინა პერიოდში ტელევიზიაში იმუშავებს სხვა ჯგუფი, რომელიც შექმნის სხვა სარედაქციო პოლიტიკას. ბევრი რამ იქნება დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ იმუშავებს ეს ჯგუფი.

„რუსთავი 2“ განსაკუთრებულად კრიტიკული კონტენტით გამოირჩევა და, თუ ხელისუფლებისადმი ლოიალური სარედაქციო პოლიტიკით ჩა-

ნაცვლდება, ეს საზოგადოებისთვის დანაკარგი იქნება.

თუ ეს იქნება ჯგუფი, რომელიც შეინარჩუნებს კრიტიკულ პოზიციას ყველა პოლიტიკური ძალის მიმართ, მაგრამ ეთერიდან მოხსნის მანიპულაციას, მაშინ, პირდაპირ გეტყვით, რომ ბევრად უკეთესი ტელევიზია იქნება.

იმის მიხედვით, რასაც დავით დვალი და ჯარჯი აქიმიძე აცხადებენ, ასევე მათი ნარსულის გათვალისწინებით, რაც საზოგადოებამ იცის მათ შესახებ, დავითოვებ იმედს, რომ ისინი არ შექმნიან ხელისუფლებისადმი ლოიალურ ტელევიზიას.

უკეთესი ტელევიზია მოუკერძობებელ, კრიტიკულ კონტენტთან ასოცირდება. რატომ დაუშვებს ხელი-

სუფლება შეიქმნას არხი, რომელიც ობიექტური კრიტიკის ქარცეცხლში გაახვევს მას? გავითვალისწინოთ, რომ ამავდროულად ხელისუფლებას გამოცლილი ექნება არგუმენტები, რომლითაც ახლა უპირისპირდება „რუსთავი 2-ს“.

ამ კითხვაზე პასუხი შეიძლება სხვადასხვანაირი იყოს. ჩემი ასეთია – ტელევიზია, რომელიც მუდმივად ამახინჯებს სინამდვილეს, ამ ხელისუფლებისთვის მძიმე ასატანია. ობიექტური კრიტიკა უზერხული იქნება ხელისუფლებისთვის, თუმცა მათ უფრო მეტად არ სურთ ისეთი „რუსთავი 2“, როგორიც დღესაა.

ხელისუფლება იძულებულია, ტელეკომპანიაში შეიყვანონ დვალი და აქიმიძე, რადგან თუ საუბარია სამართლიანობის აღდგენაზე, ამ ორ ადამიანს ვერ გაექცევიან.

თუ დვალი და აქიმიძე დაიწყებენ კრიტიკული კონტენტის შექმნას, რეალობის ჩვენებას, ეს არ უნდა იყოს ხელისუფლებისთვის სასიამოვნო, თუმცა მათ შესაძლოა ერჩიით ამგვარი გაშუქება, ვიდრე ტელევიზია, რომელსაც 100 პროცენტით აკონტროლებს მიხეილ სააკაშვილი.

ამ ლოგიკას რომ გავყვით, ტყუილსა და მანიპულაციასთან პროპაგანდისტული დაპირისპირება, მით უმეტეს, როცა სხვა არხებს ფლობ, უფრო მარტივი არ უნდა იყოს, ვიდრე რეალურ კრიტიკასთან?

100 პროცენტით გეთანხმებით, მაგრამ ეს აზრი მთლიანად რომ გაიზიაროს ხელისუფლებამ, ძალიან ღრმად უნდა იცნობდეს იმ გავლენას, რომელიც ტელევიზიებს აქვთ საზოგადოებაზე. მე ვფიქრობ, ისინი უფრო მარტივად, ზედაპირულად, უყურებენ.

განჩინების ის ნაწილი, სადაც მოსამართლე განიხილავს ტელეკომპანიის სარედაქციო პოლიტიკას, არის თუ არა სარედაქციო დამოუკიდებლობაში ჩარევა და შეიცავს თუ არა საფრთხეს გამოხატვის თავისუფლებისთვის?

ეს არის კითხვა, რომელზეც პირდაპირი პასუხი არ მაქვს. პირველივე შეხედვით დამრჩა შთაბეჭდილება, რომ მოსამართლე ერევა სარედაქციო საქმიანობაში, მაგრამ შემდეგ, რაც ვესაუბრე კომპეტენტურ ადამიანებს, იურისტებს, მათი აზრი არ არის ისეთი ერთმნიშვნელოვანი, როგორც ჩვენი – მედიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების.

ისინი პირველ რიგში ამბობენ, რომ განჩინება არ ენიანალმდეგება კონსტიტუციას და მეორე, დიასაც, ასეთი ტერმინებით აპელირებს სტრასბურგის სასამართლოც და

თუ ეს საქმე მოხდება სტრასბურგში ძალიან ძნელია, იქ ვინმეს რამე გაუკვირდეს. ამას ამბობენ მოსამართლეები, რომლებიც კარგად იცნობენ სტრასბურგის სასამართლოს პრაქტიკას. ესენი არიან იურისტები, რომელთაც ვენდობი, თუმცა ჩემი პირველი დამოკიდებულება ისაა, რომ ასეთი ფრაზები განჩინებაში არ უნდა ჩაწერილიყო. ახლა უკვე მაქვს განწყობა, რომ დაველოდოთ უფრო კომპეტენტური ადამიანების განმარტებებს.

■ ხელისუფლება იძულებულია, ტელეკომპანიაში შეიყვანონ დვალი და აქიმიძე, რადგან თუ საუბარია სამართლიანობის აღდგენაზე, ამ ორ ადამიანს ვერ გაექცევია.

არც მე ვარ იურისტი, მაგრამ რამდენადაც გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებით სტრასბურგის სასამართლოს პრაქტიკას ვიცნობ, პირიქით, ის ცდილობს არ დაუშვას პრეცედენტი, რომელიც თვითცენზურის დამკვიდრებას შეუწყობს ხელს, შევხედოთ სხვა მედიასაშუალებების მხრიდანაც რომლებიც უყურებენ ამ პროცესს და ფიქრობენ, რომ შესაძლოა ერთხელაც მათი სარედაქციო პოლიტიკა გახდეს საფუძველი, აღიმართოს მათ თავზე მოსამართლის ჩაქუჩი...

განჩინების მიხედვით, მოსამართლის მოტივაცია იყო ის, რომ არ დამზადებულიყო კონტენტი, რომელიც რეიტინგის კლებას გამოიწვევდა, ამ მხრივ ჩაერია შინაარსში, თუმცა ნამდვილად არ მყოფნის ცოდნა, შევფასასო, რამდენად სწორია ამგვარი ჩარევა.

მეორე მხრივ, გულდასაწყვეტია, რომ თავად სასამართლო არ იყენებს მექანიზმებს, ამგვარი

სიახლეების შინაარსი საზოგადოებას უფრო მკაფიოდ განუმარტოს.

„რუსთავი 2-ის“ სარედაქციო პოლიტიკის მიმართ განწყობამ, ასევე მის ხელმძღვანელობაში იმ პირის ყოფნამ, რომელიც ახლო წარსულში ასოცირებულია სხვა ტელეკომპანიის წინააღმდეგ ბრძოლასთან, ხომ არ გადაფარა მნიშვნელოვანი საკითხი – ის, რომ ხელისუფლება ცდილობს განსხვავებული აზრის ჩახშობას?

გონიერი ადამიანები არ იდავებენ იმაზე, რომ ხელისუფლებას არ აძლევს ხელს „რუსთავი 2“ ისეთი, როგორც დღეს არის. სამწუხაროდ, არ გვყავს ხელისუფლება, რომელიც იტყვის, რომ, რაც უფრო მეტად გააკრიტიკებს მედია, მით უკეთესია მისთვის.

ხელისუფლება დაინტერესებულია, რომ ამომრჩეველი მინიმუმ მანიპულირებული არ იყოს, უარეს შემთხვევაში კი, საერთოდ კრიტიკა არ ისმოდა „რუსთავი 2-დან“. იყოს ისეთი სარედაქციო ჯგუფი, რომელიც ბევრად უფრო ლოიალური იქნება ხელისუფლების მიმართ.

მაგრამ სხვა საკითხია, თუ რას აკეთებს ხელისუფლება ამის მისაღწევად? რაც არ უნდა იყოს, ეს მცდელობა არ არის ისეთი მძაფრი, როგორც ჩვენ გვახსოვს მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობის დროს ტელევიზიების მიმართ.

უმრავლესობის დეპუტატების მთელ რიგ განცხადებებს, სადაც ისინი იმედოვნებენ, რომ „რუსთავი 2-ს“ „მიხედვენ“, რომ ეს არხი „ხვალ აღარ იქნება“ და ა.შ. მნიშვნელობას არ ანიჭებთ?

მე შემიძლია, არ ვანიჭებდე, მაგრამ „რუსთავი 2-ში“ რომ ურნალისტი მუშაობს, ის, რა თქმა უნდა, მინიჭებს. არა იმიტომ, რომ ამითაც მანიპულირებს, არამედ იმის გამო, რომ მტკივნეულად აღიქვამს მუქარას. მეორე მხრივ ვხედავთ, რომ არსებობს ინსტანცია საკონსტიტუციო სასამართლო, რომელზეც ზენოლა ვერ და არ ხორციელდება.

ალბათ, უფრო ვერ ხორციელდება, რადგან რა სამუალებაც აქვს, ხელისუფლებას, მაგალითად იქ მყოფი ერთი მოსამართლის რესურსი, იყენებს ხოლმე, შეძლებისდაგვარად...

ეს ძალიან სუსტი ფორმაა. ჩვენ თუ გავიხსენებთ, როდესაც სააკაშვილს დასჭირდა, დაეთრგუნა მედია, არაფერზე არ დაუხვევია უკან. დარწმუნებული ვარ, ახლაც რომ იმგვარი ხელისუფლება იყოს, საკონსტიტუციო სასამართლოზეც მოახდენდა ზენოლას. კარგია, რომ ეს არ ხდება.

თუმცა მოსამართლე ურთმელიძესთან დაკავშირებით არსებობს ეჭვი, რომ ზენოლის ქვეშ განიხილავდა საქმეს და საკმარისია გავიხსენოთ მისი დედის სისხლის სამართლის საქმე...

გეთანხმებით, ურთმელიძის საკითხი ბევრ კითხვას აჩენს. ამიტომ კარგია, რომ პროცესი გრძელდება და საქმე ურთმელიძის ხელში აღარ იქნება. ვნახოთ, სხვა მოსამართლეები რა გადაწყვეტილებებს გამოიტანენ.

როცა ტელევიზიებს მიკერძოების გამო აკრიტიკებენ და ეს ჩვენს ქვეყანაში, ძირითადად, იმაში გამოიხატება,

რომ არხები ამა თუ იმ პოლიტიკურ ძალასთან აფილირდებიან, უსამართლობა ხომ არ არის, მხოლოდ „რუსთავი 2-ზე“ აქცენტის დასმა, როდესაც ქვეყანაში მაუწყებლობენ, ტელეკომპანიები – „ობიექტივი“, „ჯიდიესი“, „ტაბულა“..?

„რუსთავი 2“ მანიპულაციის დიდოსტატია. ვთქვათ, „ობიექტივს“ შესაძლოა საჯაროდ ჰქონდეს პრეტენზია, რომ დამოუკიდებელი ტელევიზიაა და ისიც სიმართლეს ემსახურება, მაგრამ სინამდვილეში თავის მასალას არ ფუთავს იმგვარად, რომ მაყურებელს დამოუკიდებელი ეგონოს. ამ მხრივ „ობიექტივი“ არ ცდილობს საზოგადოების მოტყუებას, ის არის ის, რაც არის. ასევეა „ტაბულა“. ამ მხრივ ის პატივისცემას იმსახურებს. ყველამ იცის, რა ტელევიზიაა „ტაბულა“ და ვისთან არის აფილირებული.

როდესაც რომელიმე პოლიტიკური ძალის მიმართ კეთილგანწყობილი არხი ხარ, გაქვს ვალდებულება, რომ ეს აღიარო. რაც „რუსთავი 2-ის“, „ტაბულას“ თუ „ჯიდიესის“ შემთხვევაში ასეა და არაფერია დამალული, მაგრამ თუ „ჯიდიესს“ აქვს პრეტენზია, და ნამდვილად ვიცი, აქვს, რომ „20-30“ თავისუფალი გადაცემაა, მაშინ მედიაკრიტიკამ უნდა დადოს დასკვნა, რომ ის ცრუობს, მანიპულირებს, სჩადის ისეთ რამეს, რაც, მაგალითად, გააკეთა „რუსთავი-2-მა“, როდესაც გააყალბა საჯარო პირის ინგლისურენოვანი გამოსვლა.

მანიპულაცია მხოლოდ პირდაპირი ტყუილია? ამა თუ იმ თემაზე აქცენტების დასმაზე რას იტყვი? მაგალითად „ჯიდიესს“ მთელი ოთხი დღის განმავლობაში მთავარ თემად ჰქონდა წამება ციხეებში, იმ პერიოდში, როდესაც ჭირდა დაჯერება, რომ ეს მართლაც მთავარი თემები იყო...

გადაცემის ავტორები ამბობდნენ, რომ ესაა მთავარი თემა და ამაზე სურთ აქცენტის დასმა. თუ ამ თემის გაშუქებისას ვნახავთ გაყალბებას, თუ ფაქტებს ამახინჯებენ, ან არ ცდილობენ, მიიყვანონ ისეთი ადამიანები, რომლებიც განსხვავებულ აზრს გამოხატავენ, რა თქმა უნდა, ცუდი იქნება.

თუმცა ერთი, რაც გვჭირს, ისიცაა, რომ რესპონდენტები ყველა ტელევიზიაში არ დადიან. პირადად მეც არ დავდივარ „ტაბულასა“ და „რუსთავი 2-ში“, ასევე არის რესპონდენტების ნაწილი, რომელიც არ დადის „ჯიდიესზე“, ამ მხრივ ყველა არხს აქვს პრობლემა.

მნიშვნელოვანია საკითხი, ვინ ატყუებს და ვინ არა საზოგადოებას. მაგალითად „ტაბულა“ ამას არ აკეთებს. მას აქვს გადაცემა, სადაც გადაცემის ავტორს მიჰყავს თანამოაზრეები და საუბრობენ ისეთ თემებზე, რომლებიც მათი მხარდამჭერებისთვისაა საინტერესო.

„რუსთავი-2-ს“ ხშირად ადანაშაულებდნენ სწორედ აქცენტების დასმით მანიპულირებაში, ვთქვათ, ქვეყანაში პრობლემა იყო – გაჭირვება, სოციალური ყოფა, დემოკრატიული ინსტიტუტების სისუსტე და ა.შ. „რუსთავი 2“ გადმოსცემდა ინფორმაციას დაგებულ გზებზე და ამაში არ ტყუოდა, გზები, მართლაც, იგებოდა, ეს არ ჰგავს „ჯიდიესის“ მაგალითს?

ჩვენთან მედიაკრიტიკა ძლიერი რომ იყოს, იმაზე მაინც იქნებოდა კამათი, მართლა იყო თუ არა იმ დღეების მთავარი თემა – წამება. ერთიცაა, როდესაც დაგებულ გზებს აჩვენებენ და წამებას მაღავენ, ეს ბევრად უფრო დიდი მანიპულაციაა, ვიდრე წამების გაშუქება და არა დაგებულ გზების. მაგალითად, როდესაც დღეს

„რუსთავი 2“ ლაპარაკობს მძიმე სოციალურ ფონზე, ვფირობ, ეს ძალიან კარგია და უკეთესია იმაზე, როდესაც დაგებულ გზებზე ლაპარაკობდა.

გაჭირვება რეალურია, ამისთვის ტყუილის თქმა არ სჭირდებათ, თუმცა, როდესაც კადრში დგას ჟურნალისტი და ამბობს, რომ გვერდით უდგანან ადამიანები, რომლებმაც ხმა მისცეს ბიძინა ივანიშვილს, მაგრამ ახლა აღარ მისცემენ, რადგან მან იმედები გაუცრუა, მერე კი აღმოჩნდება, რომ ესენი სინამდვილეში „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები არიან, ეს არის ნამდვილი მანიპულაცია.

ჟურნალისტების გადაბარება, ეთერიდან წასვლა, ეს პროცესები ურთიერთკავშირშია?

როგორ შეგვიძლია, არ დავაკავშიროთ? თუმცა მე ამ ხელისუფლებისა და მედიის ურთიერთობის ალგორითმი ბოლომდე ამოხსნილი არ მაქვს. ერთი მხრივ, ვერ ვხედავ მკვეთრად კრიტიკულ დამოკიდებულებას მედიის მხრიდან. ვერ ვხედავ წახალისებულ საგამოძიებო ჟურნალისტიკას. ვერ ვხედავ ანალიტიკურ, სიღრმისეულ ჟურნალისტიკას და პირიქით, რაც მწვავე იყო სოციალური თვალსაზრისით, „იმედის“ კვირის გადაცემა, აღარ არის. ახლა ჩაანაცვლებს სხვა გადაცემები და მაინც მინდა ბოლომდე შევხედო.

მაგალითად „იმედზე“, უკვე ვიცით, რა რით ჩანაცვლდა.

მაგრამ არ ვიცით, როგორი იქნება ის, რომ შალვა რამიშვილს აქვს თავისი წარსული, რომელიც საკმაოდ ლოიალურია ხელისუფლების მიმართ, ბალანსდება იმით, რომ მის გვერდით დაჯდება ადამიანი,

თეონა გეგელია, რომელიც ძალიან პრინციპული ჟურნალისტიკა, ორივე ძალიან ნიჭიერია და შეუძლია სიღრმისეული ჟურნალისტიკის კეთება

სალომე ასათიანი, როგორც ფაქტორი, შემოდის საზოგადოებრივ მაუწყებელზე, და ეს ძალიან მნიშვნელოვანია.

ყველაზე კრიტიკულ ტელევიზიზად, ჯერჯერობით, მაინც „რუსთავი 2“ დარჩება. მანიპულაციის თემა რომ ჩამოვაშოროთ, ეს დადებითი მოვლენაა, მაგალითად გეტყვით, გელა გრიშენკომ რომ ვენახი არ გაჩეხა, ეს ერთმნიშვნელოვნად ასეა, მაგრამ იმავე „ნარეშვილოვების“ თემა ხომ „რუსთავი 2-მა“ წამოწია? ხომ იყო ხელისუფლება ამ შემთხვევაში რეალური

დაბოლოს, თქვენ ჩაუყარეთ საფუძველი ჟურნალისტური ეთიკის ქარტიას, შექმენით გადაცემათა ციკლი, რომელიც მიეძღვნა მედიასტანდარტს, თქვენი ორგანიზაცია ქმნის სახელმძღვანელოებს ჟურნალისტებისა თუ მედიის საკითხებით დაინტერესებული სხვა მოქალაქეებისთვის... ამ კონტექსტში მინდა, გკითხოთ, რას მიიჩნევთ ქართული მედიის მნიშვნელოვან გამოწვევად?

რთული კითხვაა. პირველ რიგში ვიტყვი, რომ ყველაფერი, რაც ჩამოთვალეთ, კოლეგებთან ერთად შეეძლებოდა. საბედნიეროდ, საქართველოში არსებობს ჟურნალისტების სეგმენტი, რომელიც ორიენტირებულია სტანდარტზე, ეთიკისა და კანონის დაცვაზე და ა.შ. ამიტომ მგონია, რომ ჩვენი

■ გულდასაწყვეტია, რომ თავად სასამართლო არ იყენებს მექანიზმებს, ამგვარი სიახლეების შინაარსი საზოგადოებას უფრო მკაფიოდ განუმარტოს.

კრიტიკის ობიექტი? ვნახოთ, ამ მიმართულებით სხვა ტელევიზიები რას იზამენ.

რომ შევაჯამოთ, რა თქმა უნდა, ვხედავ ხელისუფლების მცდელობებს, რომ მათთვის უსიამოვნო არხები, გადაცემები, უფრო ლოიალური იყვნენ მათდამი, მაგრამ ვერც იმას ვიტყვი, რომ თავისუფალ სიტყვას რეალურად ახშობენ და ამის მწვავე მაგალიტები გვაქვს.

ამის შესახებ არსებობს აზრი, არ ვიცი, სერიოზული, თუ ნახევრად ხუმრობით, რომ უბრალოდ არ გამოსდით, ამაშიც მოუხერხებლები არიან...

ვერ დავთანხმებით, ავტორიტარული მართვა გაცილებით მარტივია, ვიდრე დემოკრატიული.

მედია ნამდვილად არ არის ყველაზე უარესი, სამეზობლოში თუ მიმოვიხედავთ.

თუმცა ცხადია, ბევრი პრობლემა გვაქვს, პირველი და მთავარი გამოწვევა, თავისუფლებაა. თუ მედია იქნება თავისუფალი, მაშინ პროფესიონალიზმი ბევრად მეტად დაფასდება, ის შეიძლება იყოს მიკერძოებული, ახლოს იყოს ამა თუ იმ პოლიტიკურ იდეებსა თუ ლიდერებთან, მაგრამ არ იყოს მათი გავლენის ქვეშ, მაგალითად, ფინანსურად. ამას ჟურნალისტებმა გამუდმებული ბრძოლით უნდა მიაღწიონ. თავისუფლებას საჩუქრად არავინ იძლევა. ■

ესაუბრა ზურაბ ვარდიანიშვილი

„რუსთავი 2“ – პოლიტიკა და სამართალი

სამაუნყებლო კომპანია „რუსთავი 2-ის“ შესახებ სამართლებრივი დავის დასრულებამდე დავით დვალისა და ჯარჯი აქიმიძის გამოჩენამ საქმის გარშემო ყველანაირი სამართლებრივი კაზუსტიკა დაჩრდილა.

დათო გამისონია

დვალი და აქიმიძე მზად არიან, ქიბარ ხალვაშის კომპრომისულ წინადადებას დასთანხმდნენ და თუკი ზემდგომ ინსტანციებში თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება არ გადაიხედება, სამაუნყებლო კომპანიის სარედაქციო პოლიტიკაზე პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე აიღონ. ზეპირი შეთანხმების თანახმად, ქიბარ ხალვაში „რუსთავი 2-ის“ დამფუძნებლებს კომპანიის 50-პროცენტთან წილს დაუბრუნებს და ჟურნალისტურ კონტენტში არ ჩაერევა.

ტელეკომპანიის დამფუძნებლებისთვის, რომლებიც თავის დროზე „რუსთავი 2-ის“ 60-პროცენტის წილის მესაკუთრეები იყვნენ, ეს კატეგორიულ ზღვარს წარმოადგენდა. „რომლის იქითაც, ჩვენ ვიტყვით, რომ დეკორაცია ვართ“, – განაცხადა დავით დვალმა ხალვაშთან ერთად გამართულ პრესკონფერენციაზე.



ფოტო: ნინო ჯაფარიძე

ჯარჯი აქიმიძემ მედიას 3 პუნქტი გააცნო, რომელზეც ისინი ქიბარ ხალვაშთან შეთანხმდნენ:

1) ტელევიზია ემიჯნება ნებისმიერ პოლიტიკურ ძალას და საქმიანობას წარმართავს ჟურნალისტური ეთიკის ნორმების დაცვით;

2) ტელევიზია არასდროს გახდება მხარე პოლიტიკური პროცესების განვითარებისას;

3) არ დაფინანსდება საბიუჯეტო სახსრებით, ან პარტიული შემოსავლებით. იმუშავენ მხოლოდ კომერციულ შემოსავლებზე.

ასეთ ვითარებაში რჩება შთაბეჭდილება, რომ შეთანხმებისას სახელმძღვანელოდ საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის, ბიძინა ივანიშვილის მოწოდებები იყო გამოყენებული. დავით დვალი „ლიბერალთან“ საუბრისას ბიძინა ივანიშვილის 2012 წლის საჯარო გამოსვლას იხსენებს, რის შემდეგაც, შეიძლება ითქვას, მან სწორედ ივანიშვილის მოწოდების შესაბამისად იმოქმედა.

„2012 წელს, როდესაც ხელისუფლება შეიცვალა, ბიძინა ივანიშვილი გამოვიდა და თქვა, სანამ სასამართლოში წახვალთ, წადით და თქვენით სცადეთ, იქნებ, მშვიდობიანად მოაგვაროთ. ჩვენც წავედით და იმუშაინდელ დირექტორს შევხვდით, წილის მფლობელსაც, გოგი გეგეშიძეს, რომელსაც ვუთხარით, რომ იქნებ ვილაპარაკოთ, სანამ დავას დაიწყებთ; ვუთხარით, რომ ურყევი გადაწყვეტილება გვაქვს – „რუსთავი 2-სთვის“ უნდა ვიბრძოლოთ და უნდა დავიბრუნოთ. გოგი გაგებით მოეკიდა და აქტიურად ჩაერთო ამ საკითხში, მცდელობა ჰქონდა, დაგვხმარებოდა, მაგრამ, უხეშად რომ ვთქვათ, არ გამოვიდა“, – აღნიშნავს დვალი და განაგრძობს, – „ერთ დეტალსაც ვიტყვი, რომელიც ადრე არც მი-

თქვამს არსად, ამ შუა მოლაპარაკებაში, ჩვენი წინადადების განხილვაში, უცებ ტელევიზორიდან ვიგებთ, რომ კეზერაშვილმა გადაიფორმა „რუსთავი 2-ის“ წილი. სულ რამდენიმე საათში კარებზე ზარია და მოდიან კეზერაშვილი და გოგი გეგეშიძე. კეზერაშვილი გვიცხადებს, მოდი ფინანსებზე ვილაპარაკოთ, კომპენსაციის თვალსაზრისითო. ჩვენ ვუთხარით, რომ არ გვინდა ფინანსები, გვინდა წილის დაბრუნება. მან გვითხრა, რომ ის იყო ახა-

- 1) ტელევიზია ემიჯნება ნებისმიერ პოლიტიკურ ძალას და საქმიანობას წარმართავს ჟურნალისტური ეთიკის ნორმების დაცვით;
- 2) ტელევიზია არასდროს გახდება მხარე პოლიტიკური პროცესების განვითარებისას;
- 3) არ დაფინანსდება საბიუჯეტო სახსრებით, ან პარტიული შემოსავლებით. იმუშავენ მხოლოდ კომერციულ შემოსავლებზე.

ლი მფლობელი და თუ გაგრძელდება, მაშინ ჩემთან გექნებათ საქმე. ჩვენ ვუთხარით, რომ კი, ბატონო“.

ამ პასუხის შემდეგ დვალმა და აქიმიძემ 2012 წლის დეკემბერში პროკურატურას საჩივრით მიმართეს. არაერთი პირის დაკითხვის მიუხედავად, პროკურატურაში გამოძიება ჯერ კიდევ არ დასრუ-

ლებულა. როგორც დავით დვალი აცხადებს, საქმეში დევს ეროსი კინმარიშვილის მათ სასარგებლოდ მიცემული ჩვენებაც. იმავეს ამბობდა კინმარიშვილიც, პირად საუბრებში.

ხანდაზმულობის გამო, ტელეკომპანიის დამფუძნებლებმა სამოქალაქო დავის დაწყება ვერ შეძლეს.

ალბათ, მოგვიანებით გამოჩნდება, ქიბარ ხალვაში წარმოადგენს თუ არა საშუალებას იმისათვის, რომ ტელეკომპანია საბოლოოდ დვალისა და აქიმიძის მმართველობაში გადავიდეს. საყურადღებოა ის, რომ ივანიშვილი ხალვაშს, როგორც „რუსთავი 2-ის“ ყოფილ მესაკუთრეს, სერიოზულად არ განიხილავდა. „ქიბარ ხალვაში „რუსთავი 2-ის“ მეპატრონე აბსოლუტურად შემთხვევით და აბსოლუტურად ფორმალურად იყო. მე ეს საკითხები ძალიან კარგად ვიცი და ოდეს-ღაც ამაზე ვისაუბრებთ. მე და ქიბარმა ვიცით. ნაწილი იცის მან და ნაწილი ვიცი მე. ჩვენ გაერთიანებულად ამას ვიტყვით“, – თქვა ბიძინა ივანიშვილმა 2012 წელს, ჯერ კიდევ ოპოზიციური კოალიციის ლიდერის რანგში, ირმა ინაშვილთან ინტერვიუში.

ივანიშვილის ხელწერის გათვალისწინებით, მისი რჩევების გარეშე ხალვაშსა და დვალი-აქიმიძეს შორის შეთანხმების მიღწევის წარმოდგენა ძნელია.

ბიძინა ივანიშვილმა „რუსთავი 2-ის“ ყოფილი მესაკუთრეების მიმართ დამოკიდებულება მიმდინარე წლის 10 ნოემბერსაც გამოხატა. ყოფილი პრემიერი ამბობს, რომ „დვალი და აქიმიძე „რუსთავი 2-ის“ დამფუძნებლები არიან. მათ დიდი წვლილი აქვთ ამ ტელევიზიაში. „რუსთავი 2-სთვის“ დავაში ერთ მხარეს დგანან დავით დვალი, ჯარჯი აქიმიძე, რომლებსაც ივანიშვილის თქმით, უხეშად მოექცნენ

და პრეტენზია აქვთ, რომ ნაართვეს ტელევიზია და ქიბარ ხალვაში, რომელსაც, როგორც ივანიშვილი ამბობს, არა მარტო ტელევიზია, არამედ ქონებაც დაუნვეს და საზღვარგარეთ გაასწრო, ხოლო მეორე მხარეს – ნიკა გვარამია, მთავარი პროკურორის ყოფილი მოადგილე.

არის თუ არა ივანიშვილის საჯაროდ გამოხატული დამოკიდებულება საკმარისი დასტური იმისა, რომ სარჩელის შეტანის დროს ხალვაშის მხარე ყოფილი პრემიერის მითითებით მოქმედებდა?

ხალვაშმა „რუსთავი 2-ის“ პარტნიორების წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელი 2015 წლის 4 აგვისტოს შეიტანა. იმ დროს ადვოკატებმა განმარტეს, რომ სასწრაფო ზომების მიღება მას შემდეგ გახდა აუცილებელი, რაც შეიტყვეს, რომ კიდევ ერთხელ იგეგმებოდა „რუსთავის 2-ის“ წილების გადაფორმება, რათა მისი კანონიერი მესაკუთრისთვის დაბრუნება გართულებულიყო. როგორც ადვოკატი პაატა სალია განმარტავდა, „რუსთავის 2-ის“ წილების დაყადაღება მათ პოტენციური თვალთმაქცური გარიგების აღკვეთისა და ქონების დაბრუნების შესაძლებლობის შენარჩუნების საშუალებას მისცემდა.

„დღეს რა ამოძრავებს ქიბარ ხალვაშს და რატომ გაუჩნდა მედიის ფლობის სურვილი, ეს ჩემთვის ისევ გამოცანაა, თუმცა აქაც შეიძლება, ვისაუბროთ, რომ მან ახალი ტიპის პოლიტიკური დაკვეთა მიიღო – ტელეკომპანიის ხელში ჩასაგდებად სამართლებრივი გზებით ებრძოლა. მან ის სამართლებრივი ბერკეტები გამოიყენა, რომელიც მოსამართლე ურთმელიძემ აამოქმედა“, – აცხადებს ჟურნალისტი ზვიად ქორიძე „ლიბერალთან“ საუბარში.

„ჰიპოთეტური დასკვნებით შეიძ-

ლება, ვიმსჯელოთ, რომ მისი ნება არ იყო, თავის დროზე „რუსთავი 2“ ჰქონოდა და განეკარგა. ეს იყო იძულება, რომ მას „რუსთავი 2-სთვის“ ეპატრონა. თუ თავისი ძირითადი ბიზნესის განკარგვა სურდა, ამისთვის უნდა გაეღო დამატებითი ხარჯი და „რუსთავი 2-სთვის“ ეპატრონა. ეს იყო მაშინ პოლიტიკური ამოცანა, რომელიც ქიბარ ხალვაშმა შეასრულა. ეს ამოცანა ნაართვეს იმთავითვე, როგორც კი მისმა პოლიტიკურმა პარტნიორმა ირაკლი ოქრუაშვილმა „პირველი მინისტრის“ პორტფელი დაკარგა“, – თქვა ქორიძემ.

■ ხანდაზმულობის გამო, ტელეკომპანიის დამფუძნებლებმა სამოქალაქო დავის დაწყება ვერ შეძლეს.

განსხვავებული წარსული აქვს დავით დვალს, რომელიც ხალვაშის მოთხოვნით, თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის განჩინების საფუძველზე, „რუსთავი 2-ის“ ერთ-ერთ დროებით მმართველად დაინიშნა.

ჟურნალისტი ნინო ჯაფიაშვილი, რომელიც „რუსთავი 2-ზე“ დავით დვალის დროს მუშაობდა, „ლიბერალთან“ საუბრისას აღნიშნულ პერიოდს იხსენებს. ჯაფიაშვილის თქმით, ამ ტელეკომპანიაში არასდროს არავინ იყო პრივილეგირებული; ნებისმიერ ადამიანს შეეძლო, ნულიდან დაენყო და თავისი კარიერის დიდი მწვერვალებისთვის მიეღწია; საერთოდ არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონდა, ვინ იყავი, წარმატება

დამოკიდებული იყო იმაზე, როგორ მუშაობდი.

„მართლა მნიშვნელოვან ღირებულებებზე იყო დამყარებული ჩვენი კომუნიკაცია: უნდა ვყოფილიყავით მიუკერძოებლები, ობიექტურები, სიმართლე გვეძებნა და გადაგვეცა“, – ამბობს ჯაფიაშვილი, – „ამასთან, არასდროს არ მიმიღია არანაირი მითითება, რომ ვიღაცის, სპარაგებლოდ ისეთი რამ გამეკეთებინა, რაც მოძიების პროცესში არ აღმომიჩენია და არ ვეთანხმებოდი“.

ჯაფიაშვილი იხსენებს, რომ დავით დვალთან ყველა თანამშრომელს ახლო კომუნიკაცია ჰქონდა; იქ ყველა შეცდომა და წარმატება ღიად განიხილებოდა.

„კიდევ ერთი, რაც ამ ტელეკომპანიაში ძალიან მნიშვნელოვანი იყო – მარტო არასდროს იყავი. იცოდი, რომ შენს უფლებებსა და ინტერესებს ტელეკომპანია ყოველთვის დაიცავდა და შენს შეცდომებზე პასუხისმგებლობასაც ტელეკომპანია გაიზიარებდა. შენც გქონდა შეცდომებზე პასუხისმგებლობა, მაგრამ ტელეკომპანია ჟურნალისტს არასდროს არ ტოვებდა“, – აღნიშნავს ჯაფიაშვილი.

იმის სათქმელად, თუ როგორი იქნება ტელეკომპანია დვალის პირობებში დღეს, ჯაფიაშვილი ფიქრობს, რომ უფრო მეტი ხელშესახები გარანტიანა საჭირო. ნინო ჯაფიაშვილი პროგნოზისგან თავს იკავებს და ამბობს, რომ დავით დვალს არათუ ენდობა, მასთან მუშაობაც გამოუცდია, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს.

დღევანდელ „რუსთავი 2-ს“ კი მედიკალიზაციის თვალსაზრისით, ქვეყანაში მკაფიოდ განსაზღვრული როლი აქვს.

„ზოგადად, მედიის ხარისხი რამდენიმე ინდიკატორით ფასდება. მათ შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პლურალისტური მედიაგარე-

მოა“, – გვეუბნება ზვიად ქორიძე. მისი თქმით, ეს ნიშნავს იმას, რომ არის სხვადასხვა ტიპის მედიაპლატფორმა, სადაც სხვადასხვა ტიპის დამოკიდებულებები, შეფასებები იჩენს თავს.

როგორც ზვიად ქორიძემ თქვა, პლურალისტური მედიაგარემო, რა თქმა უნდა, საბოლოო წერტილი არ არის, არამედ ერთ-ერთი ინდიკატორია, რომლითაც მედიის თავისუფლების ხარისხის შეფასება შეიძლება: არის სხვა საკითხები – რამდენად მიუკერძოებელია, ეთიკურ სტანდარტებს რამდენად იზიარებს და სხვ. „მიუკერძოებლობის თვალსაზრისით, „რუსთავი 2-ს“ პრობლემა ჰქონდა, მაგრამ პლურალისტური გარემოს ერთ-ერთი აქტორის თვალსაზრისით – არა. მიმაჩნია, რომ აუცილებელია, ასეთი სარედაქციო პოლიტიკის მქონე ტელევიზია ეთერში იყოს“, – ამბობს ქორიძე.

თუკი ვაღიარებთ, რომ ქვეყანაში პლურალისტური მედიაგარემოს შესანარჩუნებლად „რუსთავი 2-ის“ დღევანდელი სახით არსებობა, აუცილებელია და ამავე დროს, დაეუშვებთ, რომ სამაუწყებლო კომპანიის მესაკუთრის შეცვლის საკითხზე სასამართლოს გადაწყვეტილება სამართლებრივად გამართულია, როგორ უნდა მოქცეულიყო მოსამართლე, რათა მის გადაწყვეტილებას დემოკრატიული პროცესისთვის ზიანი არ მოეტანა. რამდენად ფართოდ ხედავენ მოსამართლეები თავიანთ როლს? იღებენ თუ არა ისეთ გადაწყვეტილებებს, რითაც დემოკრატიის დაცვაში მნიშვნელოვან როლს შეასრულებენ? – ამ შეკითხვებით „ლიბერალმა“ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრს, ვახტანგ მჭედლიშვილს მიმართა. იგი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ერთადერთი წევრია, რომელიც პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა დანიშნა.



რეზო საყვაროშვილი, ჯარჯი აქიმიძე და დავით დვალი

„დემოკრატიული პროცესების განვითარება უმნიშვნელოვანესია ყველა ქვეყნისათვის და მით უმეტეს, საქართველოსთვის. დემოკრატიული სახელმწიფოს უმთავრესი წინაპირობაა ხელისუფლების დანაწილების პრინციპის განუხრელად დაცვა, რაც გულისხმობს იმას, რომ სასამართლო, აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლება არ ერევა ერთმანეთის საქმიანობაში. დემოკრატიული პროცესის განვითარებაში სასამართლო ხელისუფლებას განსაკუთრებული როლი

აკისრია. სასამართლომ სწორედ კანონიერი და სამართლებრივად დასაბუთებული გადაწყვეტილებებით უნდა განამტკიცოს კანონის უზენაესობა. ვინაიდან კანონის უზენაესობა დემოკრატიის უმთავრესი ელემენტია, შეუძლებელია, სამართლებრივად დასაბუთებულმა გადაწყვეტილებამ შეაფერხოს დემოკრატიის განვითარების პროცესი, ხოლო მოცემულ შემთხვევაში გადაწყვეტილება რამდენად სამართლიანია, უნდა შეაფასოს მხოლოდ ზემდგომი



ფოტო: დავით პარულაძე

ინსტანციის სასამართლომ“, – პასუხობს „ლიბერალს“ ვახტანგ მჭედლიშვილი. „რუსთავი 2-ის“ საქმეზე სამართლებრივ დავაში ყველაზე მეტი კითხვა თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის თამაზ ურთმელიძის დედის (მდინარა გიორგობიანის) მიერ სიძის (ვალერიან სილაქაძის) ნაჯახით შესაძლო დაჭრასთან დაკავშირებულმა გამოძიებამ გამოიწვია. მიუხედავად იმისა, რომ სილაქაძის ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანე-

ბის ფაქტზე გამოძიება 2014 წლის 7 იანვარს დაიწყო, იგი დაზარალებულად 2015 წლის 24 სექტემბერს ცნეს. მდინარა გიორგობიანი კი მხოლოდ მიმდინარე წლის 12 ოქტომბერს მისცეს სისხლის სამართლის პასუხისგებაში. სწორედ ამ მოტივით, მოპასუხე მხარე პროცესზე მოსამართლე ურთმელიძის აცილების შუამდგომლობას აყენებდა, რაც მას არ დაუკმაყოფილეს. „საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, იმისათვის რომ მოსამართლე აცილებული იქნეს კონკრე-

ტული საქმიდან, საკმარისია თუნდაც ერთი გარემოების არსებობა, რომელმაც შესაძლოა, გონივრული ეჭვის საფუძველი შექმნას იმის თაობაზე, რომ მოსამართლე არ იქნება მიუკერძოებელი და ობიექტური“, – აცხადებდნენ მოპასუხე მხარის ადვოკატები.

იმ შემთხვევაში, თუ მოსამართლე აცილების შუამდგომლობას დააკმაყოფილებდა და საქმეს ჩამოშორდებოდა, ამით, სასამართლო პროცესის მიმართ სანდოობას გაზრდიდა და მრავალი კითხვა მოიხსნებოდა. შეკითხვაზე – შექმნილ ვითარებაში მოსამართლეს რა პრინციპით უნდა ემოქმედა? ვახტანგ მჭედლიშვილი პასუხობს, რომ მსგავსი საკითხის გადაწყვეტისას მოსამართლეს ორ ღირებულებას, ორ ძირითად პრინციპს შორის ევალება ბალანსის დაცვა. მჭედლიშვილის თქმით, რომელიმე პრინციპის უზრუნველსაყოფად მეორე პრინციპის უგულებელყოფა დაუშვებელია.

„კერძოდ, პირველი – მოსამართლე ვალდებულია, განახორციელოს მართლმსაჯულება. არც ერთ მოსამართლეს არ აქვს უფლება, უარი თქვას მართლმსაჯულების განხორციელებაზე.

მეორე – მოსამართლე ვალდებულია, მართლმსაჯულების განხორციელებისას იყოს მიუკერძოებელი. არ უნდა არსებობდეს კანონით გათვალისწინებული ისეთი საფუძველი, რომელიც მისი აცილების ვალდებულებას წარმოშობს. ასეთი საფუძველის არსებობის შემთხვევაში, მოსამართლე დაუყოვნებლივ უნდა ჩამოსცილდეს საქმის განხილვას. ეს მოსამართლის ვალდებულებაა.

თუ შესაბამისი სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს და მოსამართლე მაინც აიცილებს საქმეს,

მაშინ დაარღვევს მეორე ღირებულებას და ძირითად პრინციპს – უარს იტყვის მართლმსაჯულების განხორციელებაზე, რისი უფლებაც მას არ გააჩნია. მოცემულ საქმეში რამდენად სწორად მოხდა ამ ღირებულებათა შორის ბალანსის დაცვა, უნდა შეაფასოს მხოლოდ ზემდგომი ინსტანციის სასამართლო.

მე, როგორც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრს, განხილვაში მყოფ საქმეზე არ მაქვს წინასწარ შეფასების გამოთქმის უფლება. შესაძლოა, ვინმემ ამ საკითხზე აზრის გამოთქმისაგან თავი შეიკავა დემოკრატიული პროცესის ხელშეწყობად არ ჩამოთვალოს, მაგრამ სწორედ დემოკრატიის არსი მავალდებულებს, არ გავცდე ვალდებულებების ფარგლებს და არ დავარღვიო კანონი. დემოკრატიის ერთ-ერთი ელემენტი კანონის უზენაესობაა!“ – ამბობს ვახტანგ მჭედლიშვილი.

მთავარი მტკიცებულება სასამართლო პროცესზე

„რუსთავი 2-ის“ საქმეზე არსებით განხილვაში მოსარჩელე მხარის, ქიბარ ხალვაშისა (რომელიც 2005 წელს „რუსთავი 2-ის“ 60-პროცენტთან წილს ფლობდა) და მისი კომპანიის „პანორამის“ (2006 წლის ნოემბრამდე „რუსთავი 2-ის“ 40-პროცენტის წილის მფლობელი) სამართლებრივი საფუძველი, ძირითადად, სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლზე (მართლსაწინააღმდეგო და ამორალური გარიგებანი) არის დაფუძნებული.

ადვოკატი ირაკლი ყანდაშვილი, რომელიც ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს წევრია, „ლიბერალთან“ საუბრისას განმარტავს, რომ წლებია, ქართულ სასამართლო სისტემაში გარიგების ბათილობის ერთ-ერთ წინაპირობად აღნიშნულ მუხლსაც იყენებენ. მისი

ტყპით, ამ კუთხით, როგორც ქვედა რგოლის ინსტანციების, ასევე უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკა, რა თქმა უნდა, არსებობს, როდესაც გარიგება 54-ე მუხლზე დაყრდნობით ბათილად უცვნიათ.

„მნიშვნელოვანია, რომ, თუ გარიგების მართლსაწინააღმდეგობა და ამორალურობა დადგინდება, მოსამართლემ უნდა შეამოწმოს, იგი კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს რამდენად არღვევს ან ეწინააღმდეგება თუ არა საჯარო წესრიგსა და ზნეობის ნორმებს. ეს მხარეთა მტკიცების ტვირთზეა

■ ივანიშვილის ხელნერის გათვალისწინებით, მისი რჩევების გარეშე ხალვაშსა და დვალი-აქიმიძეს შორის შეთანხმების მიღწევის წარმოდგენა ძნელია.

დამოკიდებული“, – ამბობს ყანდაშვილი.

ქიბარ ხალვაშის მიერ სასამართლოში წარდგენილ ახსნა-განმარტებაში აღნიშნულია, რომ 2005 წელს ხელისუფლებაში მყოფი, უმაღლესი თანამდებობის მქონე პირები, მიხეილ სააკაშვილი, ვანო მერაბიშვილი, ზურაბ ადეიშვილი და გიგი უგულავა უხეშად ცდილობდნენ, ჩარეულიყვნენ ტელეკომპანიის საქმიანობაში.

როგორც ახსნა-განმარტებაშია ნათქვამი, ზემოაღნიშნულ პირებთან შეხვედრებმა ცხადყო, რომ ქიბარ ხალვაშს რეალური საფრთხის წინაშე იდგა, თუ „რუსთავი 2-ის“ წილს ხელისუფლების მიერ მითითებულ პირებზე არ გაასხვისებდა.

სარჩელის თანახმად, 2005 წლის 26 დეკემბერიდან 2006 წლის 17 ნოემბრის ჩათვლით ქიბარ ხალვაშს იძულებული გახდა, თავისი წილი ნაწილ-ნაწილ გაეყიდა.

მოსარჩელე მხარე აცხადებს, რომ მყიდველებმა ისარგებლეს იმ ობიექტური თუ სუბიექტური ფაქტორებით, რომლებითაც შეზღუდული იყო გამყიდველთა ნება, ამიტომ მათ ხელშეკრულებების ბათილად ცნობა მოითხოვეს.

სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის (მართლსაწინააღმდეგო და ამორალური გარიგებანი) თანახმად, ბათილია გარიგება, რომელიც არღვევს კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს, ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს ან ზნეობის ნორმებს.

მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელე მხარე მიიჩნევს, რომ მოსარჩლეებსა და მოპასუხეებს შორის დადებული ხელშეკრულებები წილების დათმობის შესახებ არღვევს მორალურ სტანდარტებს, ვინაიდან აშკარაა თვალშისაცემი შეუსაბამობა შესრულებასა და საპასუხო შესრულებას შორის. სარჩელის თანახმად, ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობები მიუთითებს, რომ სარგებლის მიმღები დასაძრახი მოტივებით მოქმედებდა და მყიდველებმა, შეგნებულად თუ შეუგნებლად, გამოიყენეს გამყიდველის ისეთი მდგომარეობა, რამაც აიძულა იგი, დაედო მისთვის არახელსაყრელი გარიგება.

იმის დასადასტურებლად, რომ წილების გასხვისების შესახებ გარიგებები მართლსაწინააღმდეგო და ამორალური ხასიათის იყო, მოსარჩელემ წილების რეალურ ღირებულებასა და ხელშეკრულებებში აღნიშნულ თანხას შორის თვალშისაცემი დისპროპორციის წარმოჩენაზე გააკეთა აქცენტი.

საქმეში არსებულ ძირითად მტკიცებულებას წარმოადგენს ექსპერტიზის დასკვნა, რომლის მონაცემებით, მოსარჩელემ „რუსთავი 2-ის“ წილების რეალური ღირებულების შესახებ თავისი პოზიცია წარმოადგინა.

დასკვნის თანახმად, „რუსთავი 2-ის“ 22-პროცენტიანი წილის ღირებულება 2005 წლის 26 დეკემბრის მდგომარეობით საორიენტაციოდ განისაზღვრება 574 756 [ნაცვლად ხელშეკრულებაში აღნიშნული 131 994 ლარისა] ლარით;

„რუსთავი 2-ის“ 38-პროცენტიანი წილის ღირებულება 2006 წლის 17 ნოემბრის მდგომარეობით საორიენტაციოდ განისაზღვრება 3 287 453 [ნაცვლად ხელშეკრულებაში აღნიშნული 219 703 ლარისა] ლარით;

„რუსთავი 2-ის“ 40-პროცენტიანი წილის ღირებულება 2006 წლის 17 ნოემბრის მდგომარეობით საორიენტაციოდ განისაზღვრება 3 460 477 [ნაცვლად ხელშეკრულებაში აღნიშნული 112 742 ლარისა] ლარით.

თუმცა მოპასუხე მხარეს ექსპერტიზის დასკვნის შესახებ არაერთი კითხვა აქვს. კომპანიის წილების შეფასების მიზნით დანიშნული ექსპერტიზის სრულყოფილად ჩასატარებლად, ექსპერტიზის ეროვნულმა ბიურომ მოსარჩელე მხარისგან რვა დოკუმენტის მიწოდება მოითხოვა, მოსარჩელე მხარემ კი ექსპერტს წესდების გარდა, მიაწოდა დოკუმენტი, რომელშიც შპს „სამაუნწყებლო კომპანია რუსთავი 2-ის“ აქტივებისა და ვალდებულებების ბუღალტრული საბალანსო ნაშთებია მოცემული, 2006 წლის 17 ნოემბრის მდგომარეობით. დოკუმენტის ხელმოწერია, ასევე დოკუმენტის მიხედვით, „რუსთავი 2-ის“ ფინანსური

დირექტორი 2004-2006 წლებში, რევაზ ბერიაშვილი.

მოპასუხე მხარე მოსარჩელეს არასრულყოფილ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით მომზადებული დასკვნის გამო აკრიტიკებს.

„როცა მოსარჩელეს ვკითხეთ, „რუსთავი 2-დან“ რატომ არ გამოითხოვა დოკუმენტები, გვიპასუხა, რომ ტელეკომპანია მაინც არ მიანვიდოდა. რატომ არ დააყენეს სასამართლოს წინაშე შუამდგომლობა, რომ ეს მტკიცებულებები გამოეთხოვათ?“ – აცხადებს „ლიბერალთან“ საუბარში მოპასუხე მხარის ადვოკატი ზაზა ბიბილაშვილი.

■ არის თუ არა ივანიშვილის საჯაროდ გამოხატული დამოკიდებულება საკმარისი დასტური იმისა, რომ სარჩელის შეტანის დროს ხალვაშის მხარე ყოფილი პრემიერის მითითებით მოქმედებდა?

მოსარჩელის ადვოკატმა პაატა სალიამ „ლიბერალს“ თავისი სტრატეგია გაანდო: „გამოთხოვა რომ მეცადა და კომპანიას ოფიციალურ ბლანკზე მოეწერა ჩემთვის, რომ მონაცემები შენახული არ აქვს, ეს შესაძლოა, სანინააღმდეგო მტკიცებულება ყოფილიყო და ეთქვათ, რომ კომპანიას შენახული არ აქვს და თქვენ საიდან მოგაქვთ ეს მონაცემები?! ეს ჩემი სტრატეგია იყო; ყველა მხარე თავის სტრატეგიას აგებს; ჩვენ ვეჯობრებით ერთმანეთს. მომიგია პროცესი, მინიმალური მტკიცებულებით, აგრეთვე, ნამიგია ანალოგიურ ვითარებაში, როცა ბევრი მტკიცებულება მქონია“.

პაატა სალიას თქმით, მოსამარ-

თლემ მოპასუხე მხარეს განუმარტა, რომ მოსარჩელის მოთხოვნით მომზადებული ექსპერტიზის დასკვნის ჩაბარების შემდეგ მათ 7-დღიანი ვადა ჰქონდათ იმისათვის, რომ მტკიცებულებების შესახებ შუამდგომლობა წარედგინათ, თუმცა ამ ხნის განმავლობაში არაფერი მოუთხოვიათ და მხოლოდ ვადის გასვლის შემდეგ მთავარ სხდომაზე „რუსთავი 2-ის“ ადვოკატმა დამატებითი მტკიცებულებების წარდგენის შესახებ შუამდგომლობის დაყენება მოითხოვა. მან ექსპერტის მიერ გაცემული საექსპერტო დასკვნის შესაფასებლად სასამართლოს საერთაშორისო ფირმა Grant Thornton-თან დადებული ხელშეკრულება წარუდგინა.

„ჩვენ ვთქვით, რომ „რუსთავი 2“ ამ ნაწილში მოპასუხე მხარე არაა, დანარჩენმა მხარემ კი ხელიდან გაუშვა ეს შესაძლებლობა, რადგან არ გამოიყენეს ის 7-დღიანი ვადა, რომელიც მოსამართლემ დამატებითი მტკიცებულების წარსადგენად მისცა“, – თქვა სალიამ. მოსამართლემ მოპასუხე მხარეს დამატებითი მტკიცებულების წარდგენის საშუალება არ მისცა.

მოპასუხე მხარის ადვოკატმა, ზაზა ბიბილაშვილმა, „ლიბერალს“ უთხრა, რომ პირი პროცესში მესამე მხარედაც რომ იყოს ჩართული, რომელსაც არ აქვს დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნა, მასაც კი აქვს შეუზღუდავი უფლება, საქმის წარმოებისას წარადგინოს ყველა ტიპის მტკიცებულება.

ადვოკატი როინ მიგრიაული „ლიბერალთან“ საუბრისას განმარტავს, რომ სამოქალაქო პროცესზე მესამე მხარეს ისეთივე უფლებები აქვს, როგორც მოპასუხეს და მოსარჩელეს; მასაც აქვს შუამდგომლობების დაყენების, მტკიცებულებების წარმოდგენის უფლება, ოღონდ,


ნარმოდგენის უფლება, ოღონდ, თავის მტკიცების ტვირთის ნაწილში. თუმცა, როგორც მიგრიაული ამბობს, ამ შემთხვევაში „რუსთავი 2-ს“ ამ ნაწილში მტკიცების ტვირთი არ გადმოსცემია, რადგან ეს მისი სამტკიცებელი არ იყო. ადვოკატის თქმით, პროცესუალურად სასამართლომ მოპასუხე მხარის შუამდგომლობა ახალი დასკვნის წარმოდგენაზე იმიტომ არ დააკმაყოფილა, რომ მათ ამ ნაწილში ამის უფლება არ ჰქონდათ, ხოლო „რუსთავი 2-ის“ პარტნიორებს ვადა ჰქონდათ გაშვებული.

„არ მინდა, კატეგორიული ვიყო; მატერიალურ ნაწილში არ ვიცი, მაგრამ მოპასუხე მხარემ პროცესუალურად წააგო“, – აცხადებს მიგრიაული. მისი თქმით, მოპასუხე მხარეს უნდა ჰქონოდა მტკიცებულება, რომ წილების რეალური საბაზრო ღირებულება იმდენი არ იყო, რაც ექსპერტიზის დასკვნაში იყო მოცემული.

„ვალდებულებით სამართალში მტკიცების ტვირთს შემდეგნაირად ანაწილებენ – მე თუ ვთქვი, რომ მილიონი ღირს და შენ ამბობს, რომ არ ღირს, მტკიცების ტვირთი შენზე გადმოდის და ამტკიცებ, რომ არ ღირს“, – ამბობს მიგრიაული.

ხალვაშის ახსნა-განმარტებისა და ექსპერტიზის დასკვნასთან ერთად, მოსარჩელემ მართლსაწინააღმდეგო და ამორალური გარიგების დასადასტურებლად სასამართლო პროცესზე წარადგინა „რუსთავი 2-ის“ გასხვისების ქრონოლოგია, რომელიც 20-მდე უწესიანებან შედგება. აღნიშნულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, სასამართლომ ქიბარ ხალვაშთან დადებული ხელშეკრულებები ბათილად ცნო.

როინ მიგრიაულის თქმით, საქართველოში არ არის დადგენილი პრაქტიკა, რომ პირდაპირ ითქვას



ნიკა გვარამია თბილისის საქალაქო სასამართლოს შენობის წინ

– რადგან საბაზრო ღირებულება ხელშეკრულებაში დადგენილ ფაქტს არ შეესაბამება, ამის გამო ხელშეკრულება ბათილად იყოს ცნობილი. უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში ეს თემა გავრცობილი არ არის. „ამიტომ შეიძლება, გარემო პირობები შევადგასოთ. სასა-

მართლომ საბაზრო ღირებულებასთან ერთად, შეიძლება, ყურადღება მიაქციოს ფორმალურ გადაყიდვებს და ერთობლიობაში გამოიტანოს გადაწყვეტილება. საქართველოსგან განსხვავებით გერმანულ სასამართლო პრაქტიკაში ამორალურ გარიგებად მიიჩნევენ, თუ, დაუშ-



ვით, მილიონიან ნივთს 100 ევროდ ყიდი“, – განმარტავს მიგრიაული. ადვოკატ ირაკლი ყანდაშვილის თქმით, თუ ვიტყვით, რომ კანონით დადგენილი წესია, რომ წილების შეფასება უნდა იყოს კანონით დადგენილი სტანდარტის შესაბამისად და ამ შემთხვევაში „ცა და დედამინა“

სხვაობაა, ამ კუთხით მართლსაწინააღმდეგობა, რა თქმა უნდა, დგინდება, ხოლო ეს რამდენად ამორალურია, უკვე სასამართლომ უნდა შეაფასოს. ადვოკატის თქმით, სასამართლო გადაწყვეტილებას იღებს კანონზე დაყრდნობით, საქმეში არსებული მტკიცებულებებით და

შინაგანი რწმენით (პროცესზე, რაც გამოვლინდა: მხარეების მოსმენის, საქმეში არსებული მასალების წაკითხვის შემდეგ შინაგანი განცდა უნდა შეექმნას).

სასამართლოს მიერ დაკმაყოფილებული მეორე სასარჩელო მოთხოვნა „რუსთავი 2-ის“ 100-პროცენტის ნილის ქიბარ ხალვაშსა და მის კომპანიაზე გადაფორმებას ითვალისწინებს. აღნიშნულ გადაწყვეტილებას მოპასუხე მხარე კატეგორიულად არ იზიარებს. ადვოკატი ზაზა ბიბილაშვილი „ლიბერალთან“ საუბრისას საჯარო და სამენარმეო რეესტრების ჩანაწერების სისრულისა და უტყუარობის პრეზუმფციაზე აკეთებს აქცენტს.


როგორც ბიბილაშვილი ამბობს, კეთილსინდისიერების დასადასტურებლად შემდეგი სტანდარტი გამოიყენება: უნდა იყოს გასაჩივრებული საჯარო რეესტრის ჩანაწერი, რომლის საფუძველზეც ყარამანიშვილებმა წილი შეიძინეს. „არც ერთი ჩანაწერი არ ყოფილა გასაჩივრებული დროის არც ერთ მონაკვეთში. მეორეც, ყარამანიშვილებმა უნდა იცოდნენ, რომ ჩანაწერი არაზუსტი იყო. მაგრამ, მათ ეს არ იცოდნენ, საქმიდან გამომდინარე, არც დასტურდება, რადგან არ იცოდნენ“, – აცხადებს ბიბილაშვილი.

როინ მიგრიაულის განმარტებით, კეთილსინდისიერმა შემძენმა ნამდვილად არ უნდა იცოდეს, წინათ რა ხდებოდა და რეესტრის ამონაწერს უნდა ეყრდნობოდა. მაგრამ, როგორც მიგრიაული აცხადებს, აღნიშნულ საქმეში ურთიერთდაკავშირებულობა იკვეთება. „ვიცი, რომ ეს ყველაფერი ერთიანი გარიგების ნაწილი იყო. ესენი ერთმანეთთან დაკავშირებული, აფილირებული კომპანიები, იყვნენ და აქ კეთილსინდისიერება გამორიცხულია“, – თქვა მიგრიაულმა.

სესხში დაკარგული სახლი

ვადაგადაცილებული სესხები, მაღალი საპროცენტო განაკვეთები, გამოსახლება და ასობით გაყიდული საცხოვრებელი სახლი – სულ უფრო იზრდება იმ ადამიანების რაოდენობა, რომლებიც მძიმე სოციალური ფონის თუ სხვადასხვა პრობლემის გამო მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს მიმართავენ.

თათია ხალიანი



...საქმიანობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსების მოზიდვის მიზნით, მისი მფლობელები და მენეჯერები უზრუნველყოფენ მისი მფლობელების და მენეჯერებისთვის საჭირო რესურსების მოზიდვის მიზნით, მისი მფლობელების და მენეჯერებისთვის საჭირო რესურსების მოზიდვის მიზნით...

ხის ძველებურ სახლში, სოფელ ფარცხანაყანებში ორი ოჯახი ცხოვრობს. ბექა ნუცუბიძემ მშობლებსა და ძმასთან ერთად მთელი ცხოვრება აქ გაატარა. ძმამ ცოლი შეირთო და ორ მცირეწლოვან შვილთან ერთად ისიც აქ დასახლდა. ოჯახის წევრებს მუდმივი სამსახური არ აქვთ, ხან რა გამოჩნდება, ხან რა. ძირითადად, სოფლის მეურნეობას ეწევიან, მინას ამუშავენ და სათბურებს უვლიან.

ყოველდღე, ჭიშკართან ვინმეს დაძახებისას თუ მანქანის ჩავლისას, ფანჯრიდან შიშით იხედებიან. ელოდებიან, რომ ერთ დღესაც „აღმასრულებელი“ გამოჩნდება და სახლის დატოვებას მოსთხოვს. ვერსად წავლენ.

ცხრა თვის წინ ბექამ სესხი აიღო. 3000 დოლარის სანაცვლოდ მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „რიკო კრედიტმა“ იპოთეკური სესხის ხელშეკრულება გაუფორმა. სესხის გარანტიად ის სახლი ჩაიდო, სადაც ბექას ოჯახი ცხოვრობს, რადგან სხვა უძრავი ქონება არ გააჩნიათ. რამდენიმე თვის შემდეგ ოჯახმა სესხის გადახდა ვეღარ შეძლო. ბექა ქუთაისში წავიდა. ვალის რესტრუქტურისა და ითხოვა, მაგრამ „რიკო კრედიტის“ ოფისში ვალის გადახდის ახალ გრაფიკზე უარი უთხრეს. უფრო მეტიც, მოსთხოვეს, გაცემული 3000 დოლარი სრულად დაეფარა, წინააღმდეგ შემთხვევაში, სახლს

გაუყიდდნენ. ხელშეკრულებაში მითითებული იყო, რომ თუ სესხის დაფარვის ვადას გადააცილებდა, მიკროსაფინანსოს თანხის სრულად მოთხოვნის უფლება ჰქონდა.

„ბანკებთანაც მქონია გამოცდილება. დოლარის კურსის ცვლილების თუ სხვადასხვა პრობლემის გამო, როცა ვადაგადაცილება გვქონდა და თხოვნით მივმართავდით, ჩვენთან თანამშრომლობდნენ, ახალ გრაფიკს გვიდგენდნენ და ვიხდიდით. ასე არავინ გველაპარაკებოდა – ან სრულად შემოიტანე თანხა, ან სახლს წაგართმევთო. მაგალითად, „საქართველოს ბანკში“ ოთხი თვე ვერ გადავიხადე, მაგრამ მომცეს საშუალება, გამეგრძელებინა და გადამეხადა. გადახდაზე უარი არასდროს გვითქვამს, უბრალოდ, ვითხოვდით, მოეცათ საშუალება, ნელ-ნელა გადაგვეხადა. პირდაპირ მითხრეს ოფისში, რომ „რიკო“ ასეთ დამოებაზე არ მიდის. თუ გაქვთ სამათასი დოლარი მთლიანად, მოდით, თუ არადა აზრი არ აქვს საუბარსო,“ – გვიყვება ბექა ნუცუბიძე.

რამდენიმე თვეში უწყება მიიღეს. სახლი გაყიდულია. გააფრთხილეს, რომ ან ნებაყოფლობით დატოვებენ სახლს ან ძალას გამოიყენებენ.

როგორც ბექამ გაარკვია, „რიკო კრედიტის“ მიერ აუქციონზე გატანილი მისი სახლი შპს „ჰოლდინგი - 1-მა“ შეიძინა. ამ კომპანიის

...მფლობელები არიან მისი მფლობელების და მენეჯერებისთვის საჭირო რესურსების მოზიდვის მიზნით, მისი მფლობელების და მენეჯერებისთვის საჭირო რესურსების მოზიდვის მიზნით...

მიკროსაფინანსო საქმური

მიკროსაფინანსო ორგანიზაციების სექტორი ქართულ საფინანსო ბაზარზე 2006 წლიდან გამოჩნდა. „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ“ კანონის მიხედვით, ის არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ან სააქციო საზოგადოების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით დაფუძნებული იურიდიული პირი, რომელიც მისი განაცხადის საფუძველზე რეგისტრირებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ და ახორციელებს ამ კანონით გათვალისწინებულ საქმიანობას, ეროვნულ ბანკის ზედამხედველობით.

დღეს საქართველოში 71 მიკროსაფინანსო ორგანიზაცია მოქმედებს. ორგანიზაციების რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება. 2010 წელს მათი რიცხვი მხოლოდ 49 იყო. ასევე იზრდება მიკროსაფინანსოების ფინანსური მაჩვენებლებიც. 2014 წლის დეკემბრის მონაცემებით, მიკროსაფინანსო სექტორის მთლიანი სასესხო კაპიტალი 853 მლნ ლარს შეადგენდა.

დამფუძნებელი კი „რიკო კრედიტის“ დირექტორი და დამფუძნებელი ლაშა ნიკოლეიშვილია.

მიკროსაფინანსო ორგანიზაციაში ბექას უთხრეს, რომ მისი სა-

ბლი უკვე შპს „ჰოლდინგი - 1-ის“ საკუთრებაშია და „რიკო კრედიტ-თან“ საქმე აღარ აქვს. აღმოჩნდა, რომ „ჰოლდინგი - 1“ სახლს 12 000 დოლარად ყიდის. იურისტებმა ბექას უთხრეს, რომ კანონი არ დარღვეულა, აუქციონზე გატანილი სახლი კომპანიამ იყიდა და თავის ფასს ადებს.

„ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ იურისტ ნიკა სიმონიშვილის განმარტებით, იპოთეკური ხელშეკრულების არსი სწორედ იმაშია, რომ თუ მოვალემ ვერ გადაიხადა კონკრეტული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება და სესხის თანხა ვერ დაფარა, ორგანიზაციას აქვს სრული უფლება, უძრავი ქონების რეალიზებით ამოიღოს ეს ვალი, „თუმცა ამ უფლების გამოყენება მართლზომიერად უნდა მოხდეს“.

იურისტის თქმით, თუკი მოვალის მხრიდან არსებობს მყარი გარანტია, რომ რესტრუქტურის პირობებში ამ თანხას დაფარავს, კრედიტორის ინტერესი ვალდებულების შესრულება უნდა იყოს: „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია თანხის მიღებისკენ უნდა იყოს ორიენტირებული და არა იმისკენ, რომ ზიანი მიაყენოს მეორე მხარეს. ხელშეკრულების საწყისები თანასწორუფლებიანობას უნდა ეფუძნებოდეს და ორივე მხარის ინტერესი დაცული იყოს“.

ერთ თვის წინ უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ ერთ-ერთი მოვალის სარჩელი განიხილა. უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში ბანკმა კეთილსინდისიერების პრინციპი დაარღვია და ქონების რეალიზების უფლება ბოროტად გამოიყენა. მოქალაქემ, რომელსაც ერთ-ერთ ბანკში ქონება იპოთეკით ჰქონ-

და დატვირთული, დროულად ვერ შეძლო თანხის დაფარვა, ამიტომ ამ ვალის რესტრუქტურის რეალიზაციის თხოვნით სხვა ბანკს მიმართა. ბანკი თანახმა იყო, მისთვის სესხი მიეცა, რომ პირველ ბანკთან არსებული დავალიანება დაეფარა. ამის შესახებ მან ბანკს წერილი მისწერა, რომ მზად იყო, მოვალის

სტატისტიკა

აღსრულების ეროვნულ ბიუროში 2013 წლიდან 2015 წლის სექტემბრის ჩათვლით გამოსახლების მოთხოვნით წარდგენილი განცხადებების საფუძველზე სულ 523 საქმე აღსრულდა, 2013 წელს – 130, 2014 წელს – 246, 2015 წლის იანვარ-სექტემბერში 147 საქმე.

აღსრულების ეროვნული ბიუროს მონაცემებით, 2014 წლის ივნისიდან დეკემბრის ჩათვლით აუქციონზე რეალიზებულია 1053 ლოტი, საიდანაც, 694 ლოტი საცხოვრებელი ფართია, ხოლო 359 – სხვა ტიპის უძრავი ქონება. 2015 წლის იანვრიდან სექტემბრის ჩათვლით რეალიზებულია 1391 ლოტი, 880 ლოტი შეადგენდა საცხოვრებელ ფართს, ხოლო 511 – სხვა ტიპის უძრავ ქონებას.

თანხა დაეფარა, თუმცა პასუხს დროულად ითხოვდა, რადგან მოვალის ქონების რეალიზაციის ვადა ახლოვდებოდა და სესხის გაცემა უნდა მოესწრო. ბანკმა პასუხი არ დაუბრუნა. ამასობაში დავალიანების გადახდის ვადაც ამოიწურა და მოქალაქის ქონება სარეალიზაციოდ აუქციონზე გაიტანა.

უზენაესი სასამართლოს დადგენილებებში ნათქვამია, რომ პასუხის გაუცემლობით ბანკი არაკეთილსინდისიერად მოიქცა,

რადგან, რეალურად, მისი ინტერესი უნდა ყოფილიყო არა კონკრეტული ქონების ხელში ჩაგდება, არამედ ის, რომ მოვალეს მის წინაშე აღებული ვალდებულება შესრულებინა.

საიას იურისტის თქმით, უზენაესი სასამართლოს დადგენილება კარგი მაგალითია იმ თვალსაზრისით, რომ თუ მოვალე მყარ გარანტიას შესთავაზებს კრედიტორს და ვალის გადახდის ალტერნატიულ გზებს მოძებნის, არსებობს შესაძლებლობა, მას სახლი აღარ გაუყიდონ.

მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს, ონლაინსესხებსა და მათთან გაფორმებულ ხელშეკრულებებს რამდენიმე თვეა „სამოქალაქო ჩართულობის ცენტრი“ იკვლევს. მოკვლევა ჯერ არ დასრულებულა, თუმცა, როგორც ორგანიზაციაში ამბობენ, ზოგადი სურათით ჩანს, რომ მომხმარებლების უმეტესობა რთულ მდგომარეობაშია, ბევრ მათგანს აქვს დავალიანება და ვადაგადაცილება, ჯარიმებისა და მაღალი პროცენტის გამო კი გადახდას ვერ ახერხებენ.

„ხელშეკრულების ანალიზმა გვაჩვენა, რომ ისინი ერთმნიშვნელოვნად პრიორიტეტულია მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისთვის. ანუ იჩაგრებიან ხელშეკრულების მეორე მხარეს მყოფი პირები. მოვალეთა 90% არ იცნობს ხელშეკრულებას, სანამ პრობლემა არ შეექმნება და არ გადაუგზავნიან სარჩელს ან საარბიტრაჟო საჩივარს. ასევე მნიშვნელოვანი საკითხია მაღალი საპროცენტო განაკვეთები, რაც ძალიან აფერხებს მოვალეებისთვის ვალდებულების შესრულებას, – ამბობს „სამოქალაქო ჩართულობის ცენტრის“ წევრი შოთა როსტომაშვილი.

2013 წელს სამოქალაქო კომპანიების 625-ე მუხლში შეტანილი ცვლილებების მიხედვით, საპროცენტო განაკვეთების მაქსიმალური ზღვარი დაწესდა, თუმცა იქვე ჩაინერა, რომ ეს დათქმა მხოლოდ ფიზიკურ პირებს შორის ხელშეკრულებებს ეხებოდა და არა კომერციულ ბანკებს ან მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს.

არასამთავრობო ორგანიზაცია „საზოგადოება და ბანკების“ მიერ მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობის მიმოხილვამ აჩვენა, რომ წლიური საპროცენტო განაკვეთი სესხებზე 24-36%-ის ფარგლებში მერყეობს, ეფექტური საპროცენტო განაკვეთი კი 45%-ია. მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შემთხვევაში მომხმარებელი ფიქსირებულ პროცენტს იხდის და არა კლებადს, როგორც ეს კომერციულ ბანკებშია.

მოკვლევის მიხედვით, სასესხო პორტფელის ვადაგადაცილების მაჩვენებელზე არანაირი ინფორმაცია არ მოიპოვება, თუმცა ცნობილია მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ დასაკუთრებული უძრავი და მოძრავი ქონების მაჩვენებელი: 2014 წლის მე-4 კვარტალის მონაცემებით, დასაკუთრებულია 6 მლნ ლარის უძრავი და მოძრავი ქონება. უცნობია, უმეტესი წილი რა სახის ქონებაზე მოდის. პარალელურად იზრდება მიკროსაფინანსო ორგანიზაციების აქტივებიც, რომლის მოცულობამ 2014 წელს 1 მლრდ ლარს გადააჭარბა.

„ისინი სესხებზე ხისტი პირობებით გამოირჩევიან. მიკროსაფინანსოებთან პრობლემის წარმოშობის შემთხვევაში მოლაპარაკების წარმოება, ფაქტობრივად, შეუძლებელია, არ აკეთებენ სესხის რესტრუქტურირებას. შედეგად

მომხმარებელს ვადაგადაცილების შემთხვევაში არანაირი გამოსავალი არ რჩება გარდა იმისა, რომ ქონება ან თავად გაყიდოს, ან არა და მას ორგანიზაცია სასამართლოს გზით იძულებით აღსრულების წესით აუქციონზე გაიტანს. არსებობს ეჭვი, რომ მიკროსაფინანსოები დაინტერესებულნი

რეკომენდაციები

„საზოგადოება და ბანკების“ რეკომენდაციები მიკროსაფინანსო სექტორის რეგულირებაზე:

მიკროსაფინანსო ორგანიზაციების სესხებზე დაწესდეს საპროცენტო განაკვეთის მაქსიმალური ზღვარი; მიკროსაფინანსოების მიერ გაცემულ სესხებზე სავალდებულო წესით დაწესდეს ე.წ. ანუიტეტური გადახდის გრაფიკი, სადაც ყოველთვიურ შენატანში გათვალისწინებული იქნება როგორც საპროცენტო სარგებელი, ასევე სესხის ძირიც; მიკროსაფინანსოებისთვის სესხის მოცულობის ლიმიტი განისაზღვროს; დაწესდეს მკაცრი კონტროლი და გარკვეული შეზღუდვა მიკროსაფინანსოების მიერ გაცემულ თამასუქებზე; მოხდეს მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ სესხის გაცემის დროს რისკების შეფასების სისტემის სრულყოფა და გამკაცრება.

არიან ქონების ჩამორთმევით, რის შემდეგაც მათ რჩებათ ორჯერ მეტი კაპიტალი. შესაბამისად, გასაკვირიც არ არის, რომ ეს სექტორი წლიდან წლამდე ვითარდება და მისი ფინანსური მდგომარეობა უმჯობესდება. 2014 წლის მონაცემებით, ამ სექტორის წმინდა

მოგება 80 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წელზე 29%-ით მეტია – ნათქვამია „საზოგადოება და ბანკების“ კვლევაში.

საქართველოს კანონმდებლობით, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს, ისევე როგორც ბანკებს, თითქმის ყველა ოპერაციის შესრულების უფლება აქვთ, გარდა დეპოზიტების მიღებისა; თუმცა, როგორც კვლევაშია აღნიშნული, ბოლო პერიოდში შედარებით ცნობილია ორგანიზაციებმა გამოსავალი იპოვეს და ე.წ. თამასუქების გაცემა დაიწყეს, რაც დეპოზიტების ნაირსახეობაა; „მიკროსაფინანსოების მუშაობის ასეთი პრინციპი გამომდინარეობს იქიდან, რომ მათი საქმიანობა არ რეგულირდება არც ეროვნული ბანკის და არც სხვა სტრუქტურის მიერ. მართალია, არსებობს კანონი მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობის შესახებ, თუმცა ეს კანონი განსაზღვრავს ზოგად საქმიანობას, სამართლებრივ ფორმას და სხვა უმნიშვნელო ფაქტორებს“.

ბექა ნუცუბიძე გამოსავალს ეძებს. 12 000 დოლარს ვერ გადაიხდის. რამდენჯერმე სცადა კომპანიასთან მოლაპარაკება ფასზე, გადახდის გრაფიკზე, მაგრამ ისევ უარით გამოისტუმრეს, ბოლოს უთხრეს, რომ სახლს საერთოდ აღარ ყიდიან. სახლი ოჯახს აღარ ეკუთვნის, საქმე კი აღსრულების ბიუროშია.

აღსრულების ეროვნული ბიუროს მონაცემებით, გასულ წელს საქართველოში საცხოვრებელიდან 246 ოჯახი გაასახლეს, 2015 წლის იანვარ-სექტემბრის პერიოდში – 147. აუქციონზე კი 2015 წლის იანვრიდან სექტემბრის ჩათვლით 880 საცხოვრებელი სახლი გაიყიდა. □

მომავლის ფული – ეკონომიკა სახელმწიფოს გარეშე

ფული ინფლაციისა და სახელმწიფო კონტროლის გარეშე. ანონიმური ვალუტა, რომელიც რეალურ სივრცესა და რეალურ ეკონომიკაში არ არსებობს. 4 მილიონზე მეტი მომხმარებელი და დაურეგულირებელი სამართლებრივი გარემო. ვაჭრობა სახელმწიფოს გვერდის ავლით. ბიტკოინის გზა, რომელსაც ხშირ შემთხვევაში ონლაინ შავ ბაზრამდე მივყავართ.

სოფო გოგიშვილი



Bitfury საქართველოში უკვე მეორე მება-სერვერის მშენებლობას იწყებს და ქართულ ბაზარზე 100-მილიონიანი ინვესტიციით შემოდის. ბიტკოინის საპროცესინგო მონაცემთა ცენტრს კომპანია ამჯერად თბილისში, გლდანში, სახელმწიფო ქონების მართვის ეროვნული სააგენტოსგან შექენილ 18 ჰექტარ მიწის ნაკვეთზე გააშენებს.

ამ ეტაპზე მსოფლიოში Bitfury-ის ორი ცენტრი მოქმედებს: ისლანდიასა და საქართველოში, გორში.

კითხვაზე, თუ რით გახდა Bitfury-სთვის საქართველო ამდენად მიმზიდველი, სხვადასხვაგვარი პასუხი არსებობს. დავიდ ხოსროშვილის, Potters-ის დამფუძნებლის განმარტებით, ელექტროენერგია მაინინგის პროცესში ყველაზე ძვირადღირებულია. საქართველოში ეს რესურსი შედარებით იაფია. სწორედ ამით შეიძლება იყოს განპირობებული Bitfury-სადმი ინტერესი.

განსხვავებული ხედვა აქვს ეკონომიკის ექსპერტ დემურ გიორხელიძეს:

„ვფიქრობ, ეს სფერო საერთოდ არარეგულირებადია საქართველოში და არ არის გამორიცხული, ზუსტად ეს ფაქტორი იზიდავდეს Bitfury-ის. ჩემთვის უცნობია, ვინ დგას ამის უკან. ეს რთული, სრულიად ახალი სფეროა. საქართველოსადმი კომპანიის ინტერესს ორი ფაქტორი განაპირობებს: ერთი, რომ გავლენიანი მხარდამჭერები ჰყავთ აქ და მეორე, არ არსებობს კანონმდებლობის არც ერთი მუხლი, რომელიც ამ სფეროსთან შეხებაში მოდის. რაკი რეგულირებადი არაა, არც კანონსაწინააღმდეგო შეიძლება იყოს რამე. უცნობ გარემოში Bitfury არ შემოვიდოდა“.

Bitfury-ის გავლენიან მხარდამჭერად შეიძლება მივიჩნიოთ თანაინვესტირების ფონდი, ანუ საქართველოს მთავრობა, რომელმაც გორში ბიტკოინის ცენტრის მშენებლობისთვის კომპანიას 10 მილიონი დოლარი გამოუყო.

არსებობენ ქვეყნები, სადაც ბიტკოინი სამართლებრივად აღიარებულია, რიგ სახელმწიფოებში კი – აკრძალული. მაგალითად, კანადაში კრიპტოგრაფიული ვალუტა ფულის გათეთრების საშუალებად არის

მიჩნეული, ბანგლადეშში ვირტუალური ფულის გამოყენებისთვის ადამიანებს ციხე ემუქრებათ. ავსტრალიის ხელისუფლების განცხადებით: „ვერც ერთი ინსტიტუტი ვერ შეძლებს, დაუშალოს ქვეყნის მოქალაქეებს ბიტკოინით ვაჭრობა.“

ამჟამად, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ბიტკოინი, როგორც ვირტუალური ვალუტა, ეროვნული ბანკის რეგულირების ქვეშ არ ექცევა.

რეგულაციების შემუშავებას ეროვნული ბანკი მაშინ გეგმავს, როდესაც ქვეყანაში ბიტკოინის მოცულობა გავლენას მოახდენს მონეტარულ პოლიტიკაზე. მათი თქმით, სტრუქტურაში აკვირდებიან ბიტკოინთან დაკავშირებულ მსოფლიო ტენდენციებს და სხვა მარეგულირებლების დისკუსიას მის მონიტორინგთან დაკავშირებით.

სისტემის ანონიმურობიდან გამომდინარე, ხშირად ვირტუალურ ფულს უკავშირებენ სხვადასხვა სახის არალეგალურ ქმედებას: ბავშვთა პორნოგრაფიით, იარაღით, ნარკოტიკებით ვაჭრობას და სხვა. ამ ფაქტორების გათვალისწინებით, ბიტკოინის, როგორც ვალუტის სამართლებრივად დარეგულირება მნიშვნელოვანია, თუმცა შესაბამისი კანონმდებლობის არარსებობა Bitfury-სთვის ხელისშემშლელი ფაქტორი არ აღმოჩნდა.

დავიდ ხოსროშვილი მიიჩნევს, რომ ბიტკოინის რეგულაციები მაინინგის პროცესზე არ ვრცელდება. ეს მხოლოდ ბიტკოინის მომხმარებელს შეეხება და ნებისმიერ შემთხვევაში კომპანია საქმიანობას შეუფერხებლად შეძლებს. ასევე განმარტავს, რომ ბიტკოინის შავ ბაზართან დაკავშირება რაღაც კონტექსტში შეიძლება არარელევანტურიც იყოს:

„შავ ბაზარს უკავშირდება ქეშიც, რადგან ისიც ანონიმურია, მაგრამ ეს არ გვაძლევს საფუძველს, რომ ქალაქის ფული ხმარებიდან ამოვიღოთ. რა თქმა უნდა, ბიტკოინის გამოყენება შესაძლებელია ონლაინ შავ ბაზარზე, მაგრამ სარგებელი ამ სისტემას უფრო მეტი მოაქვს, ვიდრე უარყოფითი ფაქტორი. ვებრძოლოთ შავ ბაზარს, მაგრამ არა ვალუტას“.

Bitfury Georgia-ს წარმომადგენელი ეფრემ ურუმაშვილი მეგასერვერის მშენებლობას საქართველოსთვის სასარგებლო პროცესად აღიქვამს:

„საქართველო ამ სიახლით 3 ძირითად სარგებელს მიიღებს – 100 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის ინვესტიციას, თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების შემოსვლას ქვეყანაში და ადგილს ინოვაციური ტექნოლოგიების მსოფლიო რუკაზე“.

თანაინვესტირების ფონდის მთავარი მიზანია საქართველოში ეკონომიკური მდგომარეობისა და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება. ამ ფონდის არსებობა მისი დამაარსებლების, ანუ საქართველოს მთავრობის, განცხადებით, ქვეყნის ეკონომიკისთვის სტიმულის მიმცემი იქნება.

დემურ გიორხელიძისთვის გაუგებარია, როგორ შეიძლება ვირტუალურმა ფულმა, რომელიც ეკონომიკის გარეთ დგას, ქვეყნის კაპიტალის ზრდას შეუწყოს ხელი:

„სასაცილო და უაზრობაა, თითქოს ეს კომპანია რამე სახის პროგრესს მოუტანს საქართველოს ეკონომიკას. რას ნიშნავს მომგებიანი იქნება, როგორ? როგორ შეიძლება მომგებიანი იყოს ვირტუალური სფეროს რამე მასშტაბი, რომელიც რეალურ ეკონომიკაში არ აისახება? არ მჯერა ასეთი ზღაპრების“.

ბიტკოინი არ არის დაკავშირებული რეალურ აქტივებთან: რეალური ვალუტისაგან განსხვავებით, მის უკან არც რეალური ეკონომიკა დგას; ამდენად მისი გაცვლითი კურსი არა მარტო მოკლევადიანი, არამედ საშუალო და გრძელვადიანი პერსპექტივითაც მხოლოდ მოთხოვნა-მიწოდებაზეა დამოკიდებული. ბიტკოინების გადარიცხვა შეიძლება განხილული იყოს რეალური ეკონომიკისგან განცალკევებულ პარალელურ ფულად გზავნილად, შესაბამისად, სხვადასხვა სახელმწიფოს მონეტარული პოლიტიკა ვერ ახდენს გავლენას ვირტუალურ ვალუტაზე, სახელმწიფოს არ გააჩნია კონტროლის მექანიზმი:

„შენ არ იცი, რა მოუვა შენს ფულს ჯიბეში. ბიტკოინის შემთხვევაში კი ეს საშიშ-

რობა არ გაქვს, მიუხედავად იმისა, რომ ვირტუალური ფული არამდგრადია და მონეტის ფასი წლის განმავლობაში 400%-ით შეიძლება გაიზარდოს. როცა ბიტკოინის მომხმარებლის რაოდენობა გახდება „სტაბილური, მაშინ შეწყვეტს ფასი მერყეობას“, – ამბობს დავიდ ხოსროშვილი.

ანრი ლომია 19 წლის მუსიკოსი და ხმის ინჟინერია. მისი dijital rekord leibl ლონდონშია რეგისტრირებული. რელიზები ოცდაათზე მეტ ინტერნეტმაღაზიაში ვრცელდება. ანრი ამ საქმისთვის ანაზღაურებას ვირტუალური ვალუტით, ბიტკოინით იღებს.

„ბიტკოინით გადარიცხვა მოსახერხებელი და ყველაზე სწრაფია. 10 წუთში შემიძლია მივიღო, დავაკონვერტირო, ვიშოპინგო, გადავიხადო გადასახადები და გავანადლო ფული. რაც ჩემთვის მთავარია, ბიტკოინი სანდოა და დაბალი საკომისიო გადასახადი აქვს. ვალუტის ერთ-ერთი მთავარი ღირებულება არის ის, რომ ბიტკოინი დამოუკიდებელი, დეცენტრალიზებული სისტემაა. ლარისა და სხვა ეროვნული ვალუტებისგან განსხვავებით, ბიტკოინის შემთხვევაში არ გვეშინია ინფლაციის“, – ეს იმ მიზეზების ჩამონათვალია, რატომაც ანრი კრიპტოგრაფიულ ვალუტას ანიჭებს უპირატესობას.

ბიტკოინი 2008 წელს ანონიმურმა პროგრამისტმა, მეტსახელით, სატომი ნაკა-მოტომ შექმნა. მისი კვალი ვირტუალური სივრციდან 2010 წელს გაქრა და ვინაობა დღემდე უცნობია. ბიტკოინი კომპიუტერული ქსელის საშუალებით და რთული მათემატიკური პროცესების შედეგად ფუნქციონირებს.

ბიტკოინის მიღების ორი საშუალება არსებობს: მოპოვება (მინინგ) და ყიდვა. ორივე შემთხვევაში თავდაპირველად საჭიროა საკუთარ კომპიუტერზე ბიტკოინის პროტოკოლთან თავსებადი პროგრამული უზრუნველყოფის დაყენება და მომხმარებლის სახელის შექმნა.

ბიტკოინზე დარეგისტრირებისას სისტემა მომხმარებელს უნიკალურ კოდს ანიჭებს. ამ ვირტუალური ფულით განხორციე-

ლებული ტრანზაქციები დაშიფრულია. ბიტკოინის გადარიცხვისას, საბანკო სისტემისგან განსხვავებით, არ არსებობს სანდო მესამე პირი. ტრანზაქციები ერთიანდება ბლოკებში, ბლოკები კი – ბლოკჩეინში, ბლოკჩეინები ქმნის ნოუდს. ნოუდი არის ყველა ტრანზაქციის ერთობლიობა, მათი ისტორია. ტრანზაქციების დროს ბიტკოინის მომხმარებლის „საფულე“ უკავშირდება ნოუდს, ამონებს ბიტკოინის რაოდენობას და ვალუტას რიცხავს მითითებულ მისამართზე.

ბიტკოინის ყიდვა შესაძლებელია როგორც სპეციალიზებულ ბიტკოინის სავაჭრო პლატფორმებზე, ასევე ბიტკოინის მქონე ნებისმიერი პირისაგან. საფასურის გადახდა შესაძლებელია საბანკო გადარიცხვით, ბარათით ან ელექტრონული ფულით.

მაინინგის, ანუ ბიტკოინის მოპოვების პროცესში მონაწილეობს კონკრეტულ პირებს შორის ტრანზაქციის ვალიდურობა, ხდება მომხმარებლის გასაღების დეშიფრაცია, მონაწილეობს ბლოკჩეინში მონაცემები და ისევ იშიფრება გასაღებები. მაინინგის 16%-ს კომპანია Bitfury ახორციელებს.

„ეს ვირტუალური ვალუტა სრულიად ანონიმური და თვითრეგულირებადი სისტემაა, რომლიდანაც ადამიანის პირადი ინფორმაციის მიღება შეუძლებელია. აქ კოდის გარდა სხვა ინფორმაცია არ ფიგურირებს. თუ ვინმე მოახერხა ბიტკოინით პირის იდენტიფიცირება, ეს მომხმარებლის ბრალი იქნება და არა სისტემის. ბიტკოინის „საფულის“ შექმნა შეიძლება პირის იდენტიფიცირების გარეშე. რომც ჰქონდეს სახელმწიფოს ბიტკოინის ტრანზაქციის ავტორის იდენტიფიცირებას მცდელობა, მას მხოლოდ კოდების ერთობლიობის ნახვის შესაძლებლობა ექნება. და რას გააკრვევს ამით? თუ მომხმარებელმა არსად აჩვენა, რომ ბიტკოინის რომელიმე ანგარიშის მფლობელია, ვერავინ იპოვის,“ – ამბობს დავიდ ხოსროშვილი.

დავიდი აღნიშნავს, რომ ბიტკოინის მაინინგის პროცესის გაშვება ყველას შეუძლია, თუნდაც საკუთარ ლეპტოპში,

■ სისტემის ანონიმურობიდან გამომდინარე, ხშირად ვირტუალურ ფულს უკავშირებენ სხვადასხვა სახის არალეგალურ ქმედებას.

თუმცა არსებობს სპეციალური მონეობილობებიც:

„დროთა განმავლობაში ძველდება ეს მონეობილობა და ზოგჯერ უფრო მეტ ელექტრონენერგიას ნვავს, ვიდრე ფულს გამოიმუშავებს. ხშირად სჭირდება განახლება იმიტომ, რომ მაინინგი უფრო და უფრო რთული ხდება, ვირტუალური ფულის მომხმარებლის რაოდენობა კი დღით დღე იზრდება“.

საქართველოში ბიტკოინებით სარგებლობა ხელმისაწვდომი ელექტრონული საფულე eMoney-ის მეშვეობით გახდა შესაძლებელი, რომელიც პირველია, ვინც მომხმარებელს ეს სერვისი შესთავაზა. მას ბიტკოინის ყიდვა და გაყიდვა მომენტალურად შეუძლია, რაც შეეხება მის გარე მისამართზე გაგზავნას, ამ შემთხვევაში მოხმარებული ვერიფიკაციის პროცესს გადის.

eMoney-ში საუბრობენ ბიტკოინის უპირატესობებზე სხვა ვალუტებთან შედარებით:

„გადარიცხვის სისწრაფე არის საკმაოდ მაღალი; ტრანზაქციის დასრულებას მხოლოდ რამდენიმე საათი სჭირდება (ტრანზაქციის პროცესი გულისხმობს, ბიტკოინის პროგრამაში ჩართული ყველა მომხმარებლის მიერ ამ ტრანზაქციის დადასტურებას, ზოგადად, ასეთი ტრანზაქციებისას მხოლოდ 5 დადასტურებას ელოდებიან); მესამე პირისგან დამოუკიდებლობა; გადარიცხვის დაბალი ხარჯი (სხვა საერთაშორისო ფულადი გზავნილის კომპანიებთან შედარებით)“.

კითხვის ნიშნებს ბადებს ის ფაქტი, რომ სახელმწიფო აფინანსებს სფეროს, რომელიც მისი კონტროლის ფარგლებს სცდება. ბიტკოინს კი მსოფლიოს ნაწილი აღიქვამს, როგორც მომავლის ვალუტას, რომელიც არ ეფუძნება ოქროს, ბიტკოინი ეფუძნება მათემატიკას. ■

პატიმრობა წინასწარ

მიუხედავად იმისა, რომ ქართული კანონმდებლობა აღკვეთის რამდენიმე სახეს იცნობს, პრაქტიკაში პატიმრობა ყველაზე ხშირად გამოიყენება. ეს ტენდენცია რიგით და გახმაურებულ საქმეებს თითქმის თანაბრად ეხება, თუმცა საზოგადოებისთვის გახმაურებული საქმეები უფრო თვალსაჩინოა და პოლიტიკური სარჩულის არსებობის შესახებ ეჭვს წინასწარი პატიმრობის ასეთი ხშირი გამოყენება კიდევ უფრო ამძაფრებს. უზენაესი სასამართლოს მონაცემებით, ბოლო პერიოდში წინასწარი პატიმრობის გამოყენებამ იკლო, თუმცა გახმაურებული საქმეების შემთხვევაში არაფერი შეცვლილა.

ქეთევან ღვედაშვილი



გარდა აღკვეთის ღონისძიებად პატიმრობის ხშირი გამოყენებისა, პრობლემა ვადის ხანგრძლივობაც. ხშირია შემთხვევები, როდესაც პროკურატურა წინასწარი პატიმრობის დროს მაქსიმალურად იყენებს. ეს განსაკუთრებით ე.წ. გახმაურებულ საქმეებს ეხება, სადაც ხელისუფლების შესაძლო ინტერესის შესახებ ეჭვები არსებობს. თითქმის ყველა ასეთ საქმეში ბრალდების მხარე წინასწარ პატიმრობას მოითხოვს. სასამართლო მის შუამდგომლობას აკმაყოფილებს. თუკი ბრალი დროულად ვერ დამტკიცდა, როგორც წესი, პროკურატურა პირს ახალ ბრალდებას უყენებს და აღკვეთის ღონისძიებად კვლავ პატიმრობას მოითხოვს. პროკურატურის ამგვარი ქმედება კი საზოგადოებას ამ ეჭვს კიდევ უფრო უმძაფრებს. მით უფრო სასამართლოს დაუსაბუთებელი გადაწყვეტილებების ფონზე.

მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-8 პუნქტით წინასწარი პატიმრობის მაქსიმალური ვადა 9 თვეა, კანონმდებლობა უმჯობესად, რომ სხვა ბრალის წარდგენისა და აღკვეთად კვლავ პატიმრობის მისჯის შემთხვევაში, ის კიდევ ერთი 9 თვე ყოფილიყო წინასწარ პატიმრობაში, ეს კი კანონმდებლობისა და წინასწარი პატიმრობის პოლიტიკურ იარაღად გამოყენების შესაძლებლობას იძლეოდა.

წინასწარი პატიმრობის 9-თვიანი ვადის გადაჭარბების ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო შემთხვევა ბაჩო ახალაიას საქმეა. 2012 წლის 6 ნოემბერს დაკავებულ თავდაცვის ყოფილ მინისტრს პირველი გამამტყუნებელი განაჩენი სასამართლომ 2013 წლის 28 ოქტომბერს გამოუტანა, ანუ მან წინასწარ პატიმრობაში თითქმის ერთი წელი გაატარა.

სახალხო დამცველისა და არასამთავრობო სექტორის კრიტიკა დაიმ-

სახურა მოსამართლე ნათია ბარბაქაძის გადაწყვეტილებამაც, რომელმაც 5 ოქტომბერს „რუსთავი 2-ის“ მხარდამჭერი აქციის მონაწილეებს: ნიკა ნარსიას, მირიან დეისაძესა და კახა გაბუნას აღკვეთის ღონისძიებად 2-თვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა.

სახალხო დამცველის შეფასებით, აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდება დაუსაბუთებელია და შერჩევითი მართლმსაჯულების შესახებ ეჭვს აჩენს.

უჩა ნანუაშვილი პასუხისმგებლობას პროკურატურასთან ერთად საერთო სასამართლოებსაც აკისრებს და მოუწოდებს, პირთა მიმართ პასუხისმგებლობები ინდივიდუალურად და დასაბუთებულად განსაზღვროს.

ბაჩო ახალაიას მსგავსია გიგი უგულავას საქმეც. მისი წინასწარი პატიმრობის ვადა 2015 წლის 2 აპრილს იწურებოდა, თუმცა 14 მარტს პროკურატურამ თბილისის ყოფილ მერს ბრალი დაუმძიმა, სასამართლომ კი აღკვეთის ღონისძიებად კვლავ პატიმრობა შეუფარდა.

სწორედ ამიტომ, გიგი უგულავამ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელი შეიტანა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის რიგი ნორმების არაკონსტიტუციურად ცნობა მოითხოვა. სასამართლომ მისი სარჩელი ნაწილობრივ დააკმაყოფილა და არაკონსტიტუციურად გამოაცხადა ნორმატიული შინაარსი, რომლის მიხედვითაც, 9-თვიანი წინასწარი პატიმრობის მაქსიმალური ვადის ათვლა ყოველი ახალი ბრალის წარდგენიდან იწყებოდა. ახლა კი, თუ პირს ერთ საქმეზე წარდგენილი აქვს ბრალი და აღკვეთად პატიმრობა აქვს მისჯილი, მეორე ბრალის წარდგენის შემთხვევაში, 9-თვიანი ვადის ათვლის წერტილი მაინც პირველი აღკვეთის მისჯის თარიღი იქნება.

თუმცა „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივის“ გამგეობის წევრი გიორგი მშვენიერაძე მიიჩნევს, რომ ნების ქონის შემთხვევაში, პროკურატურას ამ ნორმის პოლიტიკური ბრძოლის იარაღად გამოყენება მაინც შეეძლება. ბრალდების მხარე წინასწარი პატიმრობის 9 თვეს ვეღარ გადააჭარბებს, მაგრამ ახალ-ახალი ბრალის წყენებით ვადის ბოლომდე ამონურვის შესაძლებლობა კვლავ რჩება.

„თუ პროკურატურას ამის სურვილი ექნება, მას ყოველთვის შეეძლება, მართლმსაჯულება ბოროტად გამოიყენოს“.

გიორგი მშვენიერაძე მიიჩნევს, რომ გახმაურებული საქმეები თვალსაჩინო მაგალითია, თუ როგორ იყენებს პროკურატურა წინასწარ პატიმრობას არამიზნობრივად.

„თუკი შევხედავთ რამდენიმე გახმაურებულ საქმეს, თვალნათლივ დავინახავთ, რომ პროკურატურა სწორედ პოლიტიკური მიზნებიდან გამომდინარე ცდილობს, ამ პირების პატიმრობა შეინარჩუნოს. ეს კარგად გამოჩნდა არა მხოლოდ პროკურატურის, არამედ სასამართლოს ქმედებებში, როცა სასამართლოს გადაწყვეტილებით, უგულავას აღკვეთის ღონისძიების შეცვლის შემდეგ მას გამამტყუნებელი განაჩენი გამოუტანეს და დააბრუნეს სასჯელალსრულების დაწესებულებაში. ბუნებრივია, ეს საფუძვლიან ეჭვს აჩენს იმასთან დაკავშირებით, რომ ამ თამაშში ჩართულია არა მხოლოდ პროკურატურა, არამედ სასამართლო ხელისუფლებაც“.

მშვენიერაძის განმარტებით, ამ შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას უკუძალა აქვს და ის აღკვეთის ღონისძიების გადასინჯვის საფუძველი ყველა იმ პირის შემთხვევაში შეიძლება იყოს, ვისაც წინასწარი პატიმრობა აქვს შეფარებული.

საქართველოში წინასწარი პატიმრობის გამოყენების არასწორ პრაქტიკაზე საუბარია ეუთოს 2014 წლის სასამართლო მონიტორინგის ანგარიშშიც.

მასში ნათქვამია, რომ თავისუფლება ჯეროვანი დასაბუთების გარეშე არავის არ უნდა წაერთვას და 9-თვიანი ვადის ბოლომდე გამოყენება თავისუფლების პრეზუმციის დარღვევაა. ორგანიზაცია სასამართლოს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შემთხვევაში უფრო მალალი სტანდარტის დაწესებისკენ მოუწოდებს. ამასთან, ეუთო საქართველოს პარლამენტს მოუწოდებს, წინასწარი პატიმრობის პერიოდული გადახედვის მექანიზმები კანონმდებლობაში ასახოს. ამგვარად თავიდან იქნება აცილებული იმგვარი პრაქტიკა, როცა პატიმრობა ავტომატურად გრძელდება მაქსიმალურ ვადამდე.

წინასწარი პატიმრობის ხანგრძლივობასა და ხშირად გამოყენების თაობაზე შეფოთებას გამოთქვამს ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაც (SAP). SAP მიუთითებს იმაზე, რომ პატიმრობა უკიდურესი ღონისძიება უნდა იყოს და მისი პოლიტიკური მიზნებისთვის გამოყენება დაუშვებელია.

ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეა უფლებამოსილ პირებს ურჩევს, წინასწარი პატიმრობის გამოყენების თაობაზე პროკურატურისა და სასამართლოსთვის მკაფიოდ განერილი სახელმძღვანელო პრინციპები შექმნას.

ადვოკატ ზვიად კორძაძის აზრით, საერთაშორისო ორგანიზაციების კრიტიკა ამ თემაზე დისკუსიის დასაწყებად საკმარისი საფუძველია. მისი შეფასებით, ეს არა ცალკე პროკურატურის ან ადვოკატების, არამედ მთლიანად სამართლებრივი სივრცის პრობლემაა.

„სასამართლოებმა თავიანთ თავზე უნდა აიღონ პასუხისმგებლობა და დაამკვიდრონ სხვა სტანდარტი, ანუ გამოიყენონ აღკვეთის ღონისძიების სხვა სახეები. რაღაც ტენდენცია უნდა ჩამოყალიბდეს და ამის პასუხისმგებლობა საბოლოო ჯამში სასამართლოს პრეროგატივაა, რადგან პროკურატურაც და ადვოკატურაც მაინც მხარეები“.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზანი მიმალვის, სასამართლოში გამოუცხადებლობის, გამოძიებისთვის

**■ გიორგი მშვენიერაძე
მიიჩნევს, რომ
გახმაურებული
საქმეები თვალსაჩინო
მაგალითია, თუ როგორ
იყენებს პროკურატურა
წინასწარ პატიმრობას
არამიზნობრივად.**

ხელის შეშლის, მონმეებზე ზეწოლისა და მტკიცებულებების განადგურების შესაძლებლობის პრევენციაა. სასამართლო გადაწყვეტილებას ბრალის წარდგენიდან 24 საათის განმავლობაში იღებს. ქართული კანონმდებლობით, აღკვეთის ღონისძიებად შეიძლება გამოიყენებოდეს გირაო, შინაპატიმრობა, შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ, პირადი თავდებობდა და პატიმრობა.

ადვოკატ ზვიად კორძაძის შეფასებით, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში კარგადაა განერილი, რა დროს უნდა გამოიყენოს მოსამარ-

თლემ აღკვეთის ღონისძიებად პატიმრობა. თუმცა ადვოკატი აღნიშნავს, რომ, როგორც წესი, მოსამართლეები გადაწყვეტილებაში მშრალ ფაქტებს წერენ და არ ასაბუთებენ, რა მტკიცებულებების საფუძველზე ასკვნიან ამას.

კორძაძის თქმით, წინასწარი პატიმრობის იმაზე ხშირად გამოყენებას, ვიდრე რეალურად საჭიროა, პროკურატურაც და სასამართლოც კომფორტულად მიიჩნევს. ადვოკატის განცხადებით, ისინი ინერციით მიდიან.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სტატისტიკური მონაცემების თანახმად, აღკვეთის ღონისძიებად პატიმრობის გამოყენების ყველაზე მალალი მაჩვენებელი 2009-2010 წლებში ფიქსირდება, 16 043 და 14 959 საქმიდან სასამართლომ პატიმრობა, შესაბამისად, 51,1% და 54,2%-ზე გამოიყენა.

ბოლო რამდენიმე წლის მონაცემებით კი, მეტ-ნაკლები კლების ტენდენცია შეინიშნება. 2011 წელს სასამართლომ აღკვეთის ღონისძიებად პატიმრობა საქმეთა 49,3%-ზე გამოიყენა. 2012 წელს ეს მაჩვენებელი 41,9%-მდე შემცირდა, 2013 – 26,8%-მდე, 2014 წელს – 32%-მდე, ხოლო 2015 წლის 8 თვის მონაცემებით, 31% იყო.

თუკი კლების ტენდენცია გაგრძელდება და პატიმრობის ნაცვლად სასამართლო ალტერნატიულ ღონისძიებებს გამოიყენებს, თუკი წინასწარ პატიმრობასთან დაკავშირებით მოსამართლის გადაწყვეტილება უფრო დასაბუთებული იქნება, შესაძლოა, აღკვეთის ღონისძიების ირგვლივ წლების განმავლობაში არსებული კრიტიკა და კითხვის ნიშნები ნელ-ნელა გაქრეს, თავისუფლების კონსტიტუციით გარანტირებული უფლება კი უფრო მეტად იყოს დაცული. ■



ახალი ამბები 1/5


ამერიკის საკარგადმო კომიტეტი

საქართველოს მთავრობის მიერ დაკავშირებული პირების შესახებ ინფორმაციის გაცემა

კოსტა-რიკის მთავრობის განცხადებით, რომ მთავრობის მხარე არ არის დაკავშირებული ამ ინციდენტთან

TorqueBox

ზარალიანი მოქალაქეების პროტესტი



ინტერვიუსები

შემოგვიერთდი განახლებულ
www.liberali.ge _ზე



იალური ინჟინერია
 რეთში და RMG-ის
 აღმდეგ პროფკავშირების
 მოგებული სასამართლო
 ეცესი



რთველს
 გართულებული
 არითმეტიკა

The Econ
 ეკონომიკაში
 თავმესაფ
 მაძიებულ
 მიგრანტს
 რამდენია
 ლტოლვი



თსუ-ს სამი წელი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსის ეზოსთვის სტუდენტური აქციები უჩვეულო არ არის. უკვე რამდენიმე წელია, უნივერსიტეტში სასწავლო წელი სტუდენტების პროტესტით იწყება. პროტესტის მიზეზი და სტუდენტების მოთხოვნები წლიდან წლამდე არ იცვლება. წელს პირველად საპროტესტო გამოსვლებაში უნივერსიტეტის თვითმმართველობაც ჩაება.

სალომე გორგოძე

20-21 ოქტომბერს აქციები გაიმართა რადიკალური მოთხოვნით – რექტორის გადადგომა, რისთვისაც თვითმმართველობის ოცდახუთმა წევრმა შიმშილობა დაიწყო. თითქმის ერთდღიანი შიმშილობა განათლებისა და მეცნიერების მინისტრთან შეხვედრის შემდგომ შეწყდა. მხარეები სამუშაო ჯგუფის შექმნაზე შეთანხმდნენ – თვითმმართველობის წევრები, უნივერსიტეტის ადმინისტრაცია და სამინისტროს წარმომადგენლები სამინისტროში რეგულარულ შეხვედრებს გამართავენ და უნივერსიტეტის პრობლემებს ეტაპობრივად მოაგვარებენ.

უნივერსიტეტს ორ წელზე მეტია, ახალი რექტორი ჰყავს. 2013 წლის 16 აგვისტოდან ამ თანამდებობას აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა იკავებს. ახალი ადმინისტრაციის პირობებში სტუდენტები პოზიტიურად აფასებენ იმ ფაქტს, რომ განსხვავებული აზრის გამო უნივერსიტეტში სტუდენტები არ იდევნებიან, არ აღინიშნება მათზე მუქარა და ძალადობის ფაქტები. საპირწონედ 2011-2012 წლებში უნივერსიტეტში განვითარებული მოვლენები მოაქვთ, როცა უნივერსიტეტის თვითმმართველობასა და სტუდენტთა ნაწილს შორის, განსხვავებული აზრის გამო, დაპირისპირება მოხდა, როგორც

სტუდენტები იხსენებენ, იყო დაშინების, მუქარისა და ფიზიკური ძალადობის შემთხვევებიც. სტუდენტები დადებითად აფასებენ რექტორის მოთხოვნას უნივერსიტეტის პირდაპირი საბიუჯეტო წესით დაფინანსების შესახებ, რაც, მათი აზრით, უნივერსიტეტს მისცემს სათანადო ფინანსურ რესურსს საიმისოდ, რომ არსებული პრობლემები გადაწყდეს. თუმცა, სტუდენტების შეფასებით, ახალი ადმინისტრაციის პირობებში, ბოლო სამი წლის განმავლობაში რადიკალური ცვლილებები უნივერსიტეტში არ მომხდარა, პრობლემები, რომლებიც სტუდენტებს წლების განმავ-

ვლობაში აწუხებდათ, კვლავ დღის წესრიგში დგას.

„სტუდენტებისთვის საგნების არჩევა უკვე წლებია, გადაულახავ ბარიერს წარმოადგენს. მდგომარეობა არ შეცვლილა და არც გაუმჯობესებულა ბოლო სამი წლის განმავლობაში. სასწავლო კურსებზე სტუდენტებისთვის დასარეგისტრირებლად საჭირო ადგილებისა და სტუდენტების რაოდენობასთან კვლავ არაფარდობითია, აქედან გამომდინარე, სასწავლო კურსს იმაზე მეტი სტუდენტი ესწრება, ვიდრე საერთაშორისო სტანდარტით არის მიღებული, ამიტომ აუდიტორიები გადაჭედებულია. მოუწესრიგებელია ინფრასტრუქტურაც – პირველი კორპუსის გარდა, ყველა კორპუსს სჭირდება რემონტი. კვლავ პრობლემურია სასწავლო ლიტერატურის თარგმნის საკითხი. ადმინისტრაციის მხრიდან მუდმივად ისმის დაპირება, რომ ლიტერატურის თარგმნა მიმდინარეობს, რასაც დრო სჭირდება, თუმცა ეს პრობლემა დღის წესრიგში კვლავ დგას“, – ამბობს თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტი გიორგი არობელიძე.

არობელიძე სტუდენტური თვითმმართველობის თემასაც ეხება და ამბობს, რომ თვითმმართველობის სისტემამ, რომელიც ბოლო წლების პროცესის დაწყებისას ჩამოყალიბდა უნივერსიტეტში, რეალურად, დროთა განმავლობაში, სულ სხვა სახე მიიღო, ვიდრე ამას პროცესი ითვალისწინებდა. მისი თქმით, სტუდენტური თვითმმართველობა სტუდენტებში დღემდე წარმოადგენს ელიტურ ჯგუფს, რომელსაც სხვა სტუდენტებისგან განსხვავებით გარკვეულ რესურსებზე წვდომა აქვს. ამდენად,

უნივერსიტეტის ბიუჯეტს ხშირად არაფრისმომცემი, მაგალითად, გასართობი ღონისძიებებისა და კონცერტების დასაფინანსებლად იყენებენ. არობელიძე ადმინისტრაციის პასუხისმგებლობაზე ამახვილებს ყურადღებას და განმარტავს, რომ, როცა თვითმმართველობა პროექტების დაფინანსებას მოითხოვს, სწორედ ადმინისტრაცია განსაზღვრავს ამ თანხის მიზანშეწონილობას, რის შემდეგაც თანხას გამოყოფს. ამდენად, თვითმმართველობის ხარჯი სწორედ ადმინისტრაციის მიერაა ხელმძღვანელი და დაფინანსებული.

კიდევ ერთ მოუგვარებელ პრობლემად სტუდენტები საკადრო პოლიტიკას ასახელებენ. იურიდიული ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტი ირაკლი კუპრაძე განმარტავს, რომ ახალი რექტორის პირობებში აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის თანაფარდობა კვლავ შეუსაბამოა. „გაბერილია“ ადმინისტრაციული კადრები, მათ შორის – რექტორის გარშემო ადმინისტრაციული პერსონალი. კუპრაძის თქმით, სტუდენტების მხრიდან არაერთი პროტესტის მიუხედავად, ადმინისტრაციას საკადრო პოლიტიკისათვის დღემდე არ გადაუხედავს. მისივე თქმით, ადმინისტრაციაში არსებული პრობლემები კადრების ნაკლებობით კი არ არის განპირობებული, არამედ მათი სიჭარბით და არაკვალიფიციურობით.

თსუ-ს პერსონალის მართვის დეპარტამენტის ცნობით, 2015 წლის პირველი ოქტომბრის მდგომარეობით აკადემიურ და სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობაში ჩართული პერსონალი უნივერსიტეტში შეადგენს 3979 კაცს, რომლის სახელფასო

ფონდი (შტატი+ხელშეკრულება) 42078588 (74%) ლარია, ხოლო ადმინისტრაციული და ადმინისტრაციული-დამხმარე საქმიანობით დაკავებული პერსონალი – 1619 კაცს, სახელფასო ფონდით (საშტატო+ხელშეკრულება) 14771049 (26%) ლარი.

განვლილი სამი წლის შეფასებისას რექტორი, აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა ყურადღებას პოზიტიურ ცვლილებებზე ამახვილებს.

უნივერსიტეტში ორი ახალი ფაკულტეტი შეიქმნა. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტს გამოეყო ფსიქოლოგია, ხოლო ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტს – პედაგოგიკა.

რექტორის განმარტებით, ფაკულტეტების შექმნა განაპირობა იმან, რომ აღნიშნული მიმართულებები „დევნილ მდგომარეობაში“ აღმოჩნდნენ. 2015 წელს ფაკულტეტზე პირველი მიღება გამოცხადდა. რექტორის თქმით, მიუხედავად სიახლისა, უნივერსიტეტის ხუთ ყველაზე პოპულარულ ფაკულტეტს შორის წელს ფსიქოლოგიაც მოხვდა.

უნივერსიტეტში ამოქმედდა პოსტდოქტორანტურის ინსტიტუტი. სპეციალურად ახალგაზრდებისთვის, რომლებმაც უკვე დაიცვეს დისერტაცია, სამეცნიერო კვლევის გაგრძელების სურვილი აქვთ, მაგრამ აკადემიური საქმიანობა, ვაკანსიის არარსებობის გამო, ვერ დაიწყეს. ამდენად, პროგრამა ხელს უწყობს დოქტორის ხარისხის მქონე მკვლევარების დასაქმებასა და სამეცნიერო მუშაობის გაგრძელებას. თსუ-ში აღნიშნული პროგრამით გასულ სასწავლო წელს 5 კაცი მიიღეს, წელს კონკურსი 7 ვაკანტურ ადგილზეა გამოცხადებული. გარდა

ამისა, რექტორის თქმით, მიმდინარე წლის ზაფხულში უნივერსიტეტში მიიღეს რეგულაცია, რომელიც შემოდგომის სემესტრიდანვე ამოქმედდა. ახალი რეგულაციის მიხედვით, უნივერსიტეტი ფაკულტეტებს უფინანსებს 5-5 დოქტორანტის სწავლის ქირას. 7 ფაკულტეტიდან 35 საუკეთესო დოქტორანტს, რომელსაც სახელმწიფო გრანტი არ აქვს მოპოვებული, უნივერსიტეტი დააფინანსებს.

უნივერსიტეტში შეიქმნა სამეცნიერო კვლევითი პროგრამები. პროექტი 2015 წელს ამოქმედდა და მისთვის უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან 525 000 ლარი გამოიყო, რაც 7 ფაკულტეტზე თანაბრად (თითო ფაკულტეტი - 75 000 ლარი) გადანაწილდება. პროგრამის პირობაა, რომ მასში პროფესორმა სულ მცირე 2 სტუდენტი ჩართოს - ბაკალავრიატის, დოქტორანტურისა და მაგისტრატურის მაღალი აკადემიური მოსწრების სტუდენტები. პროგრამაში კიდევ ერთი ლიმიტია, პროფესორის ანაზღაურება საერთო დაფინანსების 30%-ს არ უნდა აღემატებოდეს, დანარჩენი 70% კი უნდა დაიხარჯოს სტუდენტების ანაზღაურებაზე, საჭირო ტექნიკასა და ლიტერატურაზე.

„ასეთი პროგრამა დღემდე უნივერსიტეტში არ ყოფილა. პროგრამის დასაფინანსებლად უნივერსიტეტმა თანხა საკუთარი ბიუჯეტიდან გაიღო. ამგვარად, სტუდენტები თავიანთ ხელმძღვანელებთან ერთად არიან ჩართულები კვლევით საქმიანობაში. ეს ქმნის საფუძველს, რომ სტუდენტმა არა უბრალოდ, პასიურად ისწავლოს საგანი, არამედ სამეცნიერო საქმიანობა პროფესორთან ერთად განაგრძოს. მნიშვნელოვანია, რომ სტუდენტი მუქთა რესურსი არაა

კვლევისთვის, ის თავისი შრომისთვის ანაზღაურებას იღებს“, - ამბობს ვლადიმერ პაპავა.

2014 წლის დეკემბრის მიწურულს უნივერსიტეტში დამტკიცდა ახალი რეგულაცია, რომელიც მინიმალური სამეცნიერო სტანდარტის შემოღებას ითვალისწინებს. კონტრაქტის მიხედვით, პროფესორის დატვირთვა ორი ნაწილისგან შედგება - 50% სასწავლო, 50% - სამეცნიერო. რექტორის თქმით, სასწავლო კომპონენტი ადვილად კონტროლდება, ვინაიდან ადვილი დასათვლელია, რამდენ სააუდიტორიო მეცადინეობას ატარებს ლექტორი, ხოლო მეორე კომპონენტის შესრულება „ჰაერში იყო გამოკიდებული“, ვინაიდან

ბა. სტანდარტი 2017 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდება. რექტორის შეფასებით, ეს გონივრული ვადაა საიმისოდ, რომ პროფესორმა სამეცნიერო სტატია დაწეროს და შემდგომ სამეცნიერო ჟურნალში გამოაქვეყნოს.

„ამგვარად, სტანდარტი ყველა პროფესორს აქცევს გარკვეულ ჩარჩოში, თუ როგორ უნდა აწარმოონ სამეცნიერო კვლევითი საქმიანობა. ეს არის ბერკეტი, რომელმაც პროფესორები უნდა აიძულოს, რომ იმუშაონ, თუ არადა სამუშაოს დაკარგავენ. აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსის დროს ისინი ამ კრიტერიუმით შეფასდებიან“, - განმარტავს პაპავა. რაც შეეხება სახელმძღვანე-

■ უნივერსიტეტში ორი ახალი ფაკულტეტი შეიქმნა. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტს გამოეყო ფსიქოლოგია, ხოლო ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტს - პედაგოგია.

დამოკიდებული იყო იმაზე, თუ რამდენად დაინტერესებული იყო პროფესორი მეცნიერებით, მონაწილეობდა თუ არა კონფერენციებში, წერდა თუ არა სამეცნიერო სტატიებს, აქვეყნებდა თუ არა მათ სამეცნიერო ჟურნალებში, მოიპოვებდა თუ არა სამეცნიერო გრანტებს. ახალი სტანდარტი პროფესორისგან ამგვარ სამეცნიერო აქტივობას მოითხოვს.

სტანდარტი ითვალისწინებს პროფესორის, ასოცირებული პროფესორისა და ასისტენტ პროფესორის სამეცნიერო საქმიანობის შეფასებას 100 ქულით, სადაც მკაფიოდ არის განერილი, თუ რამდენი ქულით ფასდება სხვადასხვა სამეცნიერო აქტივო-

ლოების პრობლემას, რექტორის თქმით, უნივერსიტეტში სახელმძღვანელოების თარგმნა უკვე დაიწყო. ფაკულტეტებთან კონსულტაციით გადაწყდა, რომ საჭიროა მსოფლიოში აპრობირებული და აღიარებული სახელმძღვანელოების თარგმნა, სტუდენტმა ქართულ ენაზე მიიღოს ის ინფორმაცია, რასაც მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში ასწავლიან.

სათარგმნი სახელმძღვანელოების შესარჩევად ფაკულტეტების შიგნით მოკვლევა დაიწყო. დარგის სპეციალისტებმა თავად შეარჩიეს საჭირო სახელმძღვანელოების ნუსხა. საავტორო უფლებები, ძირითადად, უნივერსიტეტის ბიუჯეტის ხარჯზე შევიძინეთ.

ფაკულტეტის აბსოლუტური უმრავლესობის გადანყვეტილებით შერჩეულ სახელმძღვანელოებს თავადვე თარგმნიან და დაარდაქტირებენ. ამჟამად უნივერსიტეტს 20-ზე მეტი სახელმძღვანელოს ლიცენზია აქვს ნაყიდი. 5 უკვე გამოვიდა. წლის ბოლომდე კიდევ 4 დაიბეჭდება. ყველა ფაკულტეტს ამ საქმიანობისთვის 45 000 ლარი გამოეყო. როგორც რექტორი განმარტავს, საჭიროების შემთხვევაში დამატებით სახსრებიც გამოინახება.

„ცვლის თუ არა ეს 10 სახელმძღვანელო ამინდს? რა თქმა უნდა, არ და ვერ შეცვლის, მაგრამ ოდესღაც ხომ უნდა დაიწყოს უნივერსიტეტმა

სხვადასხვა ღონისძიების დაფინანსებაზე, ყველაფერი მინიმუმამდე შევამცირეთ, რომ რესურსები მაქსიმალურად დაგვეზოგა“, – ამბობს ვლადიმერ პაპავა.

რექტორმა ყურადღება გაამახვილა ბოლო პერიოდში თსუ-ს საერთაშორისო რეიტინგებში პოზიციების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით.

თსუ პირველად მოხვდა ტომსონ როიტერის საერთაშორისო რანჟირების სისტემაში. კერძოდ, მიმართულებების მიხედვით რანჟირებაში. ფიზიკური მეცნიერებების მიმართულებით თსუ 187-ე ადგილზეა მსოფლიოს 248 უნივერსიტეტს შორის.

■ არსებობს სტუდენტთა მცირე ჯგუფები უნივერსიტეტში, რომლებიც ცვლილებებს მოითხოვენ, მაგრამ უნივერსიტეტის სტუდენტური კონტინგენტის რაოდენობასთან (22 000) შეფარდებით, იმდენად მცირერიცხოვანი არიან, რომ ძირეულ ცვლილებებს ვერ ახდენენ.

ეს საქმიანობა. ეს ჩვენთვის პრიორიტეტულია, ამიტომ ბიუჯეტიდან თანხა გავიღეთ, შიდა რესურსები გადავანაწილეთ, თანხის გამოსათვისუფლებლად, ეკონომიის ხარჯზე. პირველი ნაბიჯი რაც გადავდგინ, რექტორად არჩევის შემდეგ – გავაუქმე რექტორის ხელფასზე დანამატი და პრემია, ამით გარკვეულწილად მივეცი მაგალითი მთელ კოლექტივს, შევზღუდეთ პრემიები და ხელფასზე დანამატები. დაეტოვეთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, სადაც მართლაც გამართლებულია. ამან საკმაოდ სერიოზული ეკონომია მოგვცა. ამასთანავე კონტროლი დავამყარეთ მივლინებებზე,

უნივერსიტეტების რანჟირების (University Ranking by Academic Performance (URAP) რეიტინგებში მსოფლიოს 1000 საუკეთესო უნივერსიტეტს შორის თსუ-მ აკადემიური აქტიურობით 985-ე ადგილი დაიკავა, ხოლო კავკასიაში ლიდერია.

WEBOMETRICS-ის მონაცემების მიხედვით, რომელიც უნივერსიტეტის ვებგვერდის პოპულარობას ადგენს, 2015 წლის სექტემბერში თსუ 830-ე ადგილზეა (5%-ში), ევროპის უნივერსიტეტთა ჩამონათვალი 349-ეზე (10%-ში), ხოლო კავკასიასა და საქართველოში – პირველ ადგილზე.

„განათლებაში ჩადებული ინვესტიცია შედეგს მყისიერს ვერსად ვერ იძლევა. ამას სჭირდება გარკვეული დრო. არ მაქვს ილუზია, რომ წელიწადსა და 9 თვეში, რაც პირველი ვადის ამონაწერამდე დამრჩა, უნივერსიტეტი ამ რეიტინგებში ლიდერის პოზიციებს დაიკავებს, თუმცა შემოიძლია, გულწრფელად გითხრათ, რომ შედეგები უკვე შეიმჩნევა. ნებისმიერ რეიტინგს, ეკონომიკა იქნება თუ საუნივერსიტეტო განათლება, სკეპტიკურად ვუყურებ, რადგან რეიტინგი ეფუძნება გარკვეულ მეთოდოლოგიას, რომელსაც, როგორც შეცვლი, ისე გეცვლება საბოლოო შედეგი, მაგრამ სხვა უკეთესი საზომი უნივერსიტეტებისთვის მსოფლიოში, უბრალოდ, არ არსებობს. თუ შენ ამ სფეროში ხარ, უნდა მიიღოს თამაშის ის წესი, რაც მსოფლიოშია დადგენილი“, – ამბობს პაპავა.

უნივერსიტეტს დღეს 22 000-მდე სტუდენტი ჰყავს. რექტორის თქმით, მათი რაოდენობის 17 000-მდე შემცირება უფრო ხარისხიანი განათლების შესაძლებლობას გაზრდიდა, მაგრამ ეს ნიშნავს, რომ უნივერსიტეტის ბიუჯეტმა 12 მილიონი უნდა დაკარგოს. მისივე განმარტებით, უნივერსიტეტის ხარჯი დიდია, ამიტომ ამ ნაბიჯის ადმინისტრაცია ვერ გადადგამს, – „ამიტომ ვითხოვ, რომ აუცილებელია, უნივერსიტეტს პირდაპირი საბიუჯეტო დაფინანსება ჰქონდეს. არა მარტო ჩვენს, არამედ ნებისმიერ სახელმწიფო უნივერსიტეტს უნდა ჰქონდეს საბიუჯეტო დაფინანსება. არაფერს არ ვითხოვთ განსაკუთრებულს. ეს არის უნივერსიტეტის საბიუჯეტო დაფინანსების ევროპული მოდელი, არ ვიღებ გერმანულ მოდელს,

სადაც სწავლა საერთოდ უფასოა, ავიღოთ თუნდაც აღმოსავლეთ ევროპული მოდელი, თუმცა ეჭვი მეპარება, ეს საკითხი უახლოეს პერიოდში უნივერსიტეტების სასარგებლოდ გადაწყდეს”.

მიმდინარე სამ წელს უძრაობად აფასებს განათლების სპეციალისტი ლიკა ლლონტი. მისი შეფასებით, უნივერსიტეტში ახალი რექტორის პირობებში რადიკალური, რევოლუციური ცვლილებები არ მომხდარა, – „ვერ ვიტყვი, რომ უნივერსიტეტში სტაგნაციაა. არც გაუმჯობესებულა მდგომარეობა და არც გაუარესებულა. უნივერსიტეტში უძრაობაა, არაფერი ქმედითი არ ხდება“.

ლიკა ლლონტი სწორედ ამ უძრაობას მიიჩნევს პრობლემად და ამბობს, რომ თავად რექტორი არ იჩენს ინიციატივას ცვლილებების განსახორციელებლად, თუმცა მეორე მხრივ ცვლილებების დაკვეთა არც პროფესორებისგანაა, – „პაპავას ენთუზიაზმის ნაკლებობა ძალიან

ნაყოფიერ ნიადაგს ქმნის პროფესორის ინდიფერენტულობისათვის. არანაირი მოტივაცია არ მოდის ქვედა რგოლიდან, პროფესორ-მასწავლებლებიდან იმისათვის, რომ პროცესები დაიძრას და ძირეული ცვლილებები მოხდეს, თუმცა ვერ ვიტყვი, რომ ამ უძრაობით ვინმე უკმაყოფილოა. ინდივიდუალურ დონეზე ყველას მოთხოვნა სრულდება, იქნება ეს კონფერენციის გამართვა თუ მივლინების დაფინანსება. ინდივიდუალურად განაწყენებული კადრები არ არსებობს, ამიტომ ცვლილებებისთვის ინიციატივას არავინ იჩენს“.

რაც შეეხება სტუდენტებს, სპეციალისტი მიიჩნევს, რომ ერთსულოვნება არც აქაა. სტუდენტთა მცირე ჯგუფები ცვლილებებს მოითხოვენ, მაგრამ უნივერსიტეტის სტუდენტური კონტინგენტის რაოდენობასთან (22 000) შეფარდებით, იმდენად მცირერიცხოვანი არიან, ძირეულ ცვლილებებს ვერ ახდენენ. ამასთანავე, ხშირად

ჩნდება ეჭვი, რა ამოძრავებთ მათ, ხომ არ არიან პოლიტიკურად ან-გაუთრებულები.

ლიკა ლლონტი იზიარებს რექტორის პოზიციას, რომ თსუს ბიუჯეტი მცირეა და საჭიროა პირდაპირი წესით ბიუჯეტიდან დაფინანსება, მაგრამ მუდმივად არასაკმარის თანხებზე საუბარიც არასწორია. მისი თქმით, როცა გარედან არ ხდება დაჭინანსება, ამ შემთხვევაში გამოსავალი შიდა ოპტიმიზაციაა, რაც პირველ რიგში ადმინისტრაციული პერსონალის შემცირების ხარჯზე უნდა მოხდეს. ამ გზით გამოთავისუფლებული ფინანსური რესურსი კი სტუდენტების ხარისხიანი განათლებისკენ უნდა მიიმართოს, იქნება ეს სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის დაფინანსება, ინფრასტრუქტურის მოწესრიგება თუ ლიტერატურის თარგმნა, თუმცა ყოველივე ეს მას შემდეგ – რაც ძირეულად გადაიხედება საკადრო პოლიტიკა. □

2015 წლის ღვინოები გამორჩეული იქნება

მიმდინარე წლის რთველის სეზონზე 145 ათას ტონამდე ყურძენი გადაამუშავდა – მათ შორის, 78 400 ტონა რქაწითე-რი, 45 100 ტონა საფერავი, 3 030 ტონა კახური მწვანე და 1 500 ტონა ალექსანდროული და მუჯურეთული.

სეზონი მოსავლის გარდა, რთველი-2015 მაღალი ხარისხის ყურძენის მოსავლითაც გამოირჩეოდა, რის გამოც, წელს მსაკუთრებული გემოვნური თვისებების მქონე ღვინოები მიიღება.

ყურძენის მაღალი ხარისხი განაპირობა იმ ფაქტორმაც, რომ წელს კარგად მოვლილი ვენახები ჰქონდათ ფერმე-რებს.

ამასთან, სეზონზე კარგი ამინდების გამო, ყურძენი კარგად დამწიფდა და შესაბამისად, წლევიანდელი ღვინოც გამორჩეული იქნება – ზაფხული ცხელი იყო, აგვისტოს წვიმები კი ვაზს კარგად წაადგა. სექტემბერსა და ოქტომბრის დასაწყისში მზიანი, მაგრამ გრილი ამინდი იყო, რის გამოც ყურძენი კარგად დამწიფდა როგორც კახეთში, ასევე რაჭაში, სადაც სიმწიფის პრობლემა არ შექმნია „ხვანჭკარის“ ჯიშებს – ალექსანდროულსა და მუჯურეთულს.

www.georgianwine.gov.ge
www.facebook.com/Wines.of.Georgia



ქართული ღვინო

8000 რთველი





...მეტივედ ამიტომ, ანუ ადამიანები
...მეტივედ ამიტომ, ანუ ადამიანები
...მეტივედ ამიტომ, ანუ ადამიანები
...მეტივედ ამიტომ, ანუ ადამიანები
...მეტივედ ამიტომ, ანუ ადამიანები
...მეტივედ ამიტომ, ანუ ადამიანები
...მეტივედ ამიტომ, ანუ ადამიანები
...მეტივედ ამიტომ, ანუ ადამიანები
...მეტივედ ამიტომ, ანუ ადამიანები
...მეტივედ ამიტომ, ანუ ადამიანები

სათამაშოები ნარჩენებით

უკვე ოთხი თვეა, „პირველი ნაბიჯი საქართველოს“ დღის ცენტრის ეზოში მეორადი ნივთებისგან ცენტრის თანამშრომლები და მოხალისეები ადაპტირებულ სათამაშო მოედანს აწყობენ. დღის ცენტრში დაახლოებით 45 შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვი დადის, აქვეა ორგანიზაციის ადრეული განვითარების პროგრამაში ჩართული ასი არასრულწლოვანიც, რომლებსაც, სავარაუდოდ, მომავალი გაზაფხულისთვის ეზოში ახალი სათამაშო მოედანი ექნებათ.

ავტორი და ფოტო:
სოფო აფციაური

სენსორული ოთახი, მუსიკალური ყუთი, აქეთ-იქით მიყრილ-
მოყრილი საბურავები და სასრიკალოები – მალე ამ ეზოში მეორადი
ნივთებისგან ადაპტირებული სათამაშო მოედანი მოეწყობა.

ხე დალბა, რკინა დაჟანგდა, საქანელები აჭრიალდა, – ბავშვების სათამაშო მოედანი მოძველდა.

ახლის ყიდვას ბევრი ფული სჭირდებოდა.

ამიტომ „პირველი ნაბიჯი საქართველოს“ დღის ცენტრის ხელმძღვანელმა, გიორგი დემეტრაშვილმა გამოსავალზე ფიქრი დაიწყო – როგორ შეიძლებოდა იაფად და მარტივად ახალი და განსხვავებული, ბავშვების საჭიროებებს მორგებული ადაპტირებული სათამაშო მოედნის მონყოლა.

გადაწყდა, რომ სათამაშო მოედანი მეორადი ნივთებისგან უნდა გაკეთებულიყო. იდეა მეტ ენერჯიას და მოტივაციას, სამაგიეროდ – ნაკლებ თანხას მოითხოვდა. დემეტრაშვილმა მოხალისეების ძებნა დაიწყო.

პროექტს თავდაპირველად ორმოცამდე ახალგაზრდა გამოეხმაურა, ძირითადად,

მოედანი სავარაუდოდ გაზაფხულისთვის დასრულდება. იქამდე კი, მოხალისეები დღის ცენტრის თანამშრომლებთან ერთად ლეზავენ, ალაგებენ და ახალ-ახალ სათამაშო კონსტრუქციებზე ფიქრობენ.

თადად, სტუდენტები. ყველას თავისი იდეა ჰქონდა, ეძებდნენ საერთაშორისო გამოცდილების მაგალითებს ინტერნეტში, ფოტო და ვიდეომასალას, სადაც მარტივად და იაფად, სხვადასხვა სათამაშოს აწყობის ინსტრუქციები იყო მოცემული.

იდეის შემდეგ ფულის შოვნის გზებზე დაიწყეს ფიქრი. თავდაპირველად დღის ცენტრის ბავშვების მიერ გაკეთებულ ხელნაკეთ ნივთებს ყიდდნენ, შემდეგ ertad.ge – ში შეიტანეს პროექტი, მაგრამ ვერ გაიმარჯვეს. თუმცა წაგების მიუხედავად, მათ შესახებ უფრო მეტმა ადამიანმა გაიგო. საბოლოოდ ერთ-ერთმა ბანკმა პროექტი დააფინანსა.

ძველი საბურავები, ჯართში ჩასაბარებლად გამზადებული სამარშრუტო ტაქსი, ცარიელი წყლის ბოთლები, უფუნქციოდ დარჩენილი რკინის კონსტრუქციები, რკინის მილები, ქვიშა, ხის



საყრდენებით, გადაღებული რკინის კონსტრუქციითა და რამდენიმე სხვადასხვაფერის თოკით გაკეთებული საკატო.



გიორგი ელიავას ბაზრობაზე დღის ცენტრის სათამაშო მოედნისთვის რკინის მრგვალ, დაუნაგულ კონსტრუქციას ყიდულობს.

ყუთები და ათასი წვრილმანი ნივთი – ეს ის საჭირო მასალაა, რომლითაც გიორგიმ და მოხალისეებმა დღის ცენტრის ეზოში საბოლოოდ რვა სათამაშო კონსტრუქცია უნდა ააწყონ. თითოეული მათგანი ბავშვების საჭიროებებზე იქნება მორგებული, რომელიც ბავშვებს სენსორულ, მოტორულ, სმენით და სხვა უნარების განვითარებაში დაეხმარება. მეორად მასალებს, ძირითადად, ელიავას ბაზრობაზე ყიდულობენ:

„ისეთ უცნაურ რაღაცებს ვეძებთ ხოლმე ელიავაზე. უკვე ყველა გვცნობს. არავის სჯეროდა, რომ მაგალითად მანქანების სასაფლაოზე გადასადგებად გამზადებული სამარშუტო ტაქსის ყიდვა გვინდოდა, ეს რად გინდა, რა უნდა გააკეთო – კითხვები ხშირია, მაგრამ ესაა ყველაზე საინტერესო პროცესი, როცა უხსნი და გარკვეულწილად ცნობიერების ამალგების კუთხითაც მუშაობ“, – ამბობს გიორგი.

სამარშუტო ტაქსი, რომელზეც გიორგი საუბრობს, უკვე დღის ცენტრის ეზოში დგას, ძველია და ნაავარიები, წინა ნაწილი მთლიანად გამონ-

გრეული აქვს, საბურავები მოცლილი. შიგნით ნაგავია. გიორგი და ერთ-ერთი მოხალისე, 23 წლის ჯაბა იატაკიდან შავი მასის ახევას ცდილობენ და მიყვებიან, საბოლოოდ რა ფუნქცია ექნება.

სამარშუტო ტაქსი გამოსუფთავდება, იატაკსა და კედლებზე მწვანე საფარი გადაეკვრება, ცალკე ექნება მძლოლის ნაწილი, სადაც ბავშვებს მანქანის ტარების ასოციაცია შეექმნებათ, ზემოდანაც მყარი საფარი გადაფარება და მანქანა გვერდზე მდგარ კონსტრუქციას თოკის ხიდით დაუკავშირდება. აქვე იქნება სასრიალოც. გიორგიმ მისი ანალოგი ინტერნეტში ნახა, ზომბაზე-ში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის სასწრაფო დახმარების მანქანით მრავალფუნქციური სათამაშო კონსტრუქცია გააკეთეს.

მანქანის გვერდით სენსორული ოთახი მოეწყობა. ისევ ელიავადან წამოღებული ძველი საბურავებით. საბურავები ერთმანეთზეა დანყობილი, ქვემოთ ქვიშა იქნება, სადაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებს წამონოლის და მოძრაობის საშუალება ექნებათ:

„ეტლით მოსარგებლე ბავშვებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია წამოწოლა და მოძრაობა, ასეთი საშუალება სათამაშო მოედნებზე თითქმის არ აქვთ“, – ამბობს გიორგი დემეტრაშვილი.

მოხალისე ჯაბა ჩხეტიანი ილიას უნივერსიტეტში სწავლობს, თავისუფალ დროს დღის ცენტრშია. სენსორული ოთახის გადახურვა მას ყვავილება. პლასტმასის ცარიელ ბოთლებს აგროვებს, რომლებსაც ერთმანეთზე მჭიდროდ დააწყობს, რომ წვიმა არ ჩავიდეს. სულ ბოლო საბურავზე კი ყვავილებს დარგავენ.

სენსორული ოთახის წინ მუსიკალური ყუთი დევს. ჯერ მუსიკასთან კავშირი არ აქვს, მაგრამ მალე შიგნით პიანინოდან ამოღებულ გულს ჩაუდებენ, წინ ზანზალაკებს და რკინის ნივთებს დაკიდებენ, რომ ბავშვებმა რაც შეიძლება მეტი ხმაური გამოიწვიონ.

„ეს ნოდარმა გაგვიკეთა“, – მეუბნება გიორგი და ერთ-ერთ საქანელასთან მივყავარ. ხის ძელებზე ჩამოკიდებული მრგვალი რკინის გულში, სქლად დაწნული სხვადასხვა ფერის თოკებია გაბმული. გიორგი ამბობს, რომ ასეთი ახალი სათამაშო 300 ლარად ნახეს, მეორადი ნივთებით კი 80 ლარი დაუჯდათ:

„ზოგადად, რკინის გადაღუნვა რთული პროცესია. ელიავაზე ნოდართან გავაგზავნეს, მაგრამ სქელი რკინა რომ დაინახა, უარი გვითხრა. მერე მკითხა, რად გინდაო. გაოცდა, ბავშვები ამაზე როგორ უნდა აქანაოო. რამდენიმე დღეში მივედი და რკინა გადაღუნული დამახვედრა, თან მომაცახა – მარტივი იყო, ფული არ მინდაო“, – იხსენებს გიორგი.

მეორადი ნივთებისგან სათამაშო მოედნის იდეა საქართველოში პირველია. აქამდე არსად გამოუყენებიათ იგივე პრინციპი, ამიტომ პროექტის ფარგლებში დაგეგმილია, რომ თითოეული სათამაშოს აწყობის შესახებ პატარა მასალაც დაწერონ, რომელიც დღის

ცენტრის ვებგვერდზე აიტვირთება და ნებისმიერ მსურველს მისი გამოყენების შესაძლებლობა ექნება:

„მაგალითად, ზუგდიდში ვინმეს იმავე სახის მოედნის გაკეთება რომ მოუნდეს, შეუძლია, ჩვენი სახელმძღვანელოთი ისარგებლოს და მარტივად და იაფად



ბავშვებს განსხვავებული მომსახურება მიანდოს“.

მოედანი სავარაუდოდ გაზაფხულისთვის დასრულდება. მანამდე კი, მოხალისეები დღის ცენტრის თანამშრომლებთან ერთად აქტიურად ლებავენ, ალაგებენ და ახალ-ახალ სათამაშო

კონსტრუქციებზე ფიქრობენ. რამდენიმე თვეში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის ამ ეზოში ძველი, ბევრისთვის გამოუსადეგარი და ხანდახან გადასაგდებად გამზადებული ნივთებისგან პირველი მოედანი მოეწყობა. **□**

ჯართში ჩასაბარებლად გამზადებული ფორდის სამარბურტო ტაქსი, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის გასართობ სივრცედ გადაიქცევა.




ურბანული მეტაფიზიკა



ანდრო ერაძე


ქალაქში სეირნობა ღამლამობით ხანდახან უფრო საინტერესო მნიშვნელობას იძენს, ვიდრე მარტო სეირნობაა. ღამის ქალაქი ცარიელდება ხალხისგან, ფერები ბევრად მკვეთრი და აღქმადი ხდება, მცირდება ხმაური. ამ ყველაფრის გამო, სხვადასხვა ჩვეულებრივი, ყოფითი ადგილი იდუმალებას იძენს, სეირნობა ერთგვარ თამაშს ემსგავსება, როდესაც უბრალოდ უნდა იარო, იარო იმისთვის რომ ჩვეულ, კარგად ნაცნობ ადგილებში აღმოაჩინო ის, რაც ადრე არასდროს შეგიმჩნევია. უეცრად ხვდები, რომ დღისით არასდროს გაჩერებულხარ იქ, რადგან არ შეგიმჩნევია ის დეტალები, რომლებიც ღამე ასე გამოკვეთილად ჩანს. ყოველთვის, როდესაც ღამით ვსეირნობ, ისეთი შეგრძნება მეუფლება, რომ ჩვენს ქალაქს თავისი მახასიათებელი აქვს, მახასიათებელი, რომელიც უჩვენოდ, ჩვენამდე და ჩვენს გარეშე არსებობს. ამ დროს მგონია, რომ ქალაქის მახასიათებელიდან პატარა ამონარიდების, ფრაგმენტების ილუსტრირებაა საჭირო. ეს ერთგვარი ვნებაა, რომელიც ინტუიციურად მაკვლევინებს გზას ქალაქში.

ღამის ქალაქში სიარულისას, ჩემდაუნებურად, დავიწყე ამ ფოტოსერიის გადაღება და რაღაც მომენტში მივხვდი, რომ გამიჩნდა გადაღებულის გაზიარების სურვილი. ჩემთვის როგორც ფოტოგრაფისთვის ყოველთვის მნიშვნელოვანია იმ პროცესებში მონაწილეობა, რომელსაც გარემოპირობები პირდაპირ ან ჩემგან დამოუკიდებლად მთავაზობს. მაგარია, როდესაც სეირნობისას გინდა გაჩერდე იქ, სადაც ადრე არასდროს გაჩერებულხარ და ახლიდან შეიმეცნო და შეიგრძნო თითქოს უკვე კარგად ნაცნობი და ნანახი... ყველაფერი იწყება თავიდან... გაჩერდით...









24 დღე და 8 საათი ფესტივალის ცხოვრებიდან

...და უამრავი ნუთი დიმიტრი კრიმოვის
შეუსრულებელ „ბლიუზამდე“

ავტორი: დავით ბუხრიკიძე
ფოტო: გია გოგატიშვილი



„დღიური 1, რვას აკლია ოცი ნუთი“,
ქორეოგრაფი სამა ვალცი



ძნელია, ნებისმიერი არტმოვლენა თუ გრძელვადიანი სახელოვნებო ფესტივალი ბექდური გამოცემის კონკრეტულ და ულმობელ დედლაინს მოარგო. ამიტომ მიხეილ თუმანიშვილის სახელობის საერთაშორისო ფესტივალი „საჩუქარი“, რომელიც წელს 17 ოქტომბრიდან 17 ნოემბრამდე გაიმართება, ბოლომდე ვერ აისახა ჟურნალ „ლიბერალში“. თუმცა ის, რაც ნოემბრის ნომერში დაიბეჭდა, ანუ საფესტივალო ცხოვრების 24 დღესა და 8 საათში ჩაეტია, უკვე საკმარისია თუნდაც მოკლევადიანი შეფასების, ან სუბიექტური შთაბეჭდილების გასაზიარებლად.

მაყურებელსაც და კრიტიკოსებსაც მრავალფეროვანი არჩევანი ჰქონდათ: სახელოვანი გერმანელი ქორეოგრაფის, საშა ვალცის ქორეო-ოპუსი „მოგზაურის დღიური I, რვას უკლია ოცი წუთი“; არანაკლები მასშტაბისა და სახელის მქონე ლიტველი რეჟისორის, რიმას ტუმინასის ორი სპექტაკლი – „მადაგასკარი“ ვილნიუსის მცირე თეატრში და „ევეგენი ონეგინი“ მოსკოვის, ვახტანგოვის სახელობის თეატრში; რიგის რუსული დრამატული თეატრის „ხანუმა“ (რომელიც ქორეოგრაფმა და რეჟისორმა ალა სიგალოვამ დადგა, გია ყანჩელმა ხელახლა „გააჯაზა“ და გოგი ალექსი-მესხიშვილმა საოცარი ფერებით შემოსა);

სანკტ-პეტერბურგის თოჯინების დიდი თეატრის მიერ წარმოდგენილი „ქებათა ქება“ (რეჟისორი რუსლან კუდაშოვი) და ვილნიუსის მცირე თეატრის სპექტაკლი „ბიძები და დედები“ (რეჟისორი გაბრიელე ტუმინაიტე)...

ფესტივალ „საჩუქარის“ ლამის ყოველწლიური სტუმარი, რეჟისორი, მხატვარი და სცენოგრაფი, დიმიტრი კრიმოვი ამჯერადაც ახალი სპექტაკლით ეწვია თბილისს. თუ-



„ბიძები და დედები“
რეჟისორი გაბრიელე ტუმინაიტე

მცა „რუსული ბლუზით“ მიღებულ შთაბეჭდილებას მოგვიანებით, „ლიბერალის“ ვებგვერდზე გაგიზიარებთ ისევე, როგორც, ავანგარდისტულ, „დადა-კარმენულ“ ცეცხლოვან განწყობას, რომელსაც 26 წლის თავგადაპარსული სამხრეთ აფრიკელი მოცეკვავე და ავანგარდისტი ქორე-

ოგრაფი – დადა მაზილო სცენაზე ქმნის... და ვიდრე დიმიტრი კრიმოვის ჯერ კიდევ შეუსრულებელ „რუსულ ბლუზამდე“ უამრავი წუთი რჩება, სოლო-მონის სიბრძნით, ანუ სპექტაკლ „ქებათა ქებით“ დაგინყოთ. მით უმეტეს, რომ სანკტ-პეტერბურგის თოჯინე-

რომელიც მაყურებელს ლოცვისა და პოეზიის უცნობ ლაბირინთებში ეპატიუება. ამავე დროს, ის ხელშესახები სიბრძნისა და სიყვარულის აუცილებლობაზე ქადაგებს, რადგან ხსნა მხოლოდ სიყვარულშია. თუ ამის ძალა მაინც არ შერჩება ადამიანს, რა გადაარჩენს ცოდვილ სამყაროს? ამგვარი გლობალურ-კეთილშობილური სურვილის მიუხედავად, ძველი აღთქმის ყველაზე იდუმალი და პოეტური ტექსტით შთაგონებული წარმოდგენა მალე დიდაქტიური და მოსაბეზრებელი ხდება, თუმცა რაღაც იდუმალი, გასხივოსნებული პოეზიისა თუ განცდების შენაკადები ბოლომდე მაინც მიგყვებათ.

სამაგიეროდ, ალა სიგალოვას მიერ დადგმულ „ხანუმაში“ (მიხეილ ჩეხოვის სახელობის რიგის რუსული სახელმწიფო თეატრი) აექსენტი ცაგარელის უკვე არქეტოპულ პერსონაჟებს სასიყვარულო ჭმუნვისა და იდუმალბებისთვის დრო არ რჩებათ. მათ ბევრი რამ უნდა მოასწრონ, სცენაზე ცოცხლად შესრულებული ჯაზის თანხლებით (გია ყანჩელმა ამ სპექტაკლისთვის მუსიკა ხელახლა დაწერა, ხოლო გოგი ალექსი-მესხიშვილმა საოცარი ფერადოვანი სცენოგრაფია და კოსტიუმები შექმნა) – კარგად იმღერონ და ცუდად იცეკვონ, ან პირიქით, მსუბუქად ინავარდონ, ერთმანეთი მზაკვრულად გააცურონ, ბაზარში ივაჭრონ და თან იჩხუბონ, უკბილო თუ ბასრი იუმორით მაყურებელი გაართონ...

ტოვსტონოგოვისა და სტურუას კლასიკური ვერსიებისგან განსხვავებით, სიგალოვას „ხანუმაში“ არ აქვს, ასე ვთქვათ, რეჟისორულ-სიღრმისეული პრეტენზია. პირველივე სცენიდან ფინალამდე წარმოდგენას რაღაც კარნავალური შეგრძნების მსგავსი თუ უმიზეზო ოპტიმიზმი გასდევს, რომელიც მსახიობების ვერონიკა პლოტნიკოვას, ნატალია

ბის დიდი თეატრის ახალგაზრდულმა დასმა (სამხატვრო ხელმძღვანელი რუსლან კუდაშოვი) თბილისში გამოსამგზავრებული ფული, თურმე, ინტერნეტითა და მეგობრების დახმარებით შეაგროვა.

მხატვარ მარინა ზავიალოვას შექმნილი საგნები და თოჯინები ოდნავ

ჯადოსნურ, უფრო მეტად კი აღმოსავლური სილამაზით შთაგონებულ სამყაროს ქმნის, საიდანაც ორიოდ ნაბიჯია სერგო ფარაჯანოვისა და ნიკალა ფიროსმანის ფერწერულ „კადრებამდე“.

კუდაშოვის სპექტაკლი ბიბლიის ოდნავ ნაიფურ ილუსტრაციას ჰგავს,



„ხანუმა“, რეჟისორი ალა სიგალოვა

ჟივეცის, იაკობ რაფალსონის, მაქსიმ ბესულის, ევგენი კორნეევისა და ა.შ. – წყალობით, ბოლომდე უშრეტია და არ ქრება.

ბორის კონსტანტინოვი და ბორის რაცერი ხშირ შემთხვევაში პიესის აქცენტებს საგანგებოდ ცვლიან და ამბავს ათანამედროვებენ. ამას გარდა, მათ მიერ „ჩამატებული“ ტექსტი და იუმორი ალაგ-ალაგ უადგილო, ან უხამსი შეიძლება მოგეჩვენოთ, მაგრამ უცვლელი რჩება მთავარი – ვოდევილისთვის დამახასიათებელი სიმსუბუქე, ცოცხალი და ლამის აღმგზნები „საკონცერტო“ ატმოსფერო, სახასიათო პერსონაჟების გადამდები ტემპერამენტი და სცენური ენერჯია. ამ ყველაფერს „დრაივს“ მატებს ყანჩელის ცოცხლად შესრულებული ჯაზური მუსიკა, რომელსაც ჰაერში გამოკიდებული ფერადი

ბატკნები და მუყაოსგან გამოჭრილი, ლამის ბავშვური, აპლიკაციური თბილისი ერთმება. მიხატული ფერადი აივნებითა და ტაძრების გუმბათებით. მოკლედ, რიგაში დადგმულმა რუსულენოვანმა „ხანუმა“ მაყურებელს ქართული ვოდევილის ეგზოტიკა ახალ განზომილებაში შეახსენა.

საშა ვალცი – უკაიოსი, ვიღრა ვალსი

ცნობილი გერმანელი ქორეოგრაფის, საშა ვალცის ჩამოსვლა ფესტივალზე და მისი ორდღიანი წარმოდგენა რუსთაველის თეატრში ცხადია, განსაკუთრებულ მოვლენად იქცა. „მოგზაურის დღიური I, რვას უკლია ოცი წუთი“ – ასე ეწოდება სპექტაკლს, რომელიც მან დაახლოებით თხუთმეტი წლის წინ დადგა, თუმცა 2012 წელს აღადგინა და განახლე-

ბულმა შემადგენლობამ გარკვეული სიახლის, იმპროვიზაციის სურვილი შთაბერა.

ალბათ, ბედის ირონიაა, რომ საქართველოს ცნობილი გერმანელი თეატრალური რეჟისორის, ტომას ოსტერმაიერის შემდეგ (მისი სპექტაკლი „ხალხის მტერი“ თბილისის საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე იყო წარმოდგენილი) თანამედროვეობის ერთ-ერთი გამოჩენილი ქორეოგრაფი, საშა ვალცი ეწვია. საქმე ისაა, რომ ჯერ კიდევ 2000-2004 წლებში ისინი ერთობლივად განაგებდნენ ბერლინის ცნობილი თეატრის, „შაუბიუნეს“ ბედს – ორივენი ამ თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელები იყვნენ. შემდგომში მათი გზები გაიყო და დღეს ორივე დამოუკიდებლად მუშაობს. ოსტერმაიერი „შაუბიუნეში“ დარჩა, საშა ვალცმა კი ახალი



„მადაგასკარი“, რეჟისორი რიმას ტუმინასი

საცეკვაო კომპანია, „საშა ვალცი და სტუმრები“ დააარსა და აღმოსავლეთ ბერლინში ახალი თეატრალური სივრცე, სახელწოდებით – „რადიალური სისტემა“ შექმნა.

...ორი კაცი და სამი ქალი ერთი საათის განმავლობაში ამოუხსნელი, მიუნჯდომელი ურთიერთობის დამყარებას ცეკვით ცდილობს. მათი მოძრაობები წარმოუდგენლად დაძაბული, სხარტი, მაგრამ ავტომატიზმამდე სრულყოფილია; სხეულის ენა და შესტები – გასაგები, დატვირთული და ირონიული გზავნილებით სავსე. ფინალში თავს შეგვახსენებს შავი იუმორიც და მუნჯი კინოსათვის დამახასიათებელი ექსცენტრიკაც („მოგზაურის დღიურში“ გამოყენებულია ჟან-მარკ ზელვერის ცნობილი მუსიკალური კომპოზიცია *Le Tourment de Vassilisa la belle*“).

საშა ვალცი განუწყვეტლივ და რადიკალურად ცვლის ცეკვისადმი მიდგომას, დამოკიდებულებას და ამიტომაც დროს მუდამ უსწრებს. მის მიერ შეთხზული მოძრაობები, შესტები, ფრაგმენტები, სურათები, დიზაინი, ირონიული მინიშნებები და ინსტრუქციები – გვიბძვებს სრულიად სხვაგვარად შევხედოთ დღევანდელი „ცეკვის თეატრის“ ლამის უსაზღვრო შესაძლებლობას. მოკლედ რომ ვთქვათ, დღევანდელი საშა ვალცი გუშინდელ ვალსზე უკეთესია!

ლილი და პატარა ლიტვა

ვილინიუსის სახელმწიფო მცირე თეატრმა ფესტივალზე ორი კამერული და ძალიან დახვეწილი სპექტაკლი წარმოადგინა: ლიტვური ლიტერატურის კლასიკოსის, იუზას ტუმას-ვაიჟანტასის მოთხრობის მიხედვით

დადგმული „ბიძიები და დეიდები“ (რეჟისორი გაბრიელე ტუმინაიტე) და უკვე სახელოვანი რეჟისორის, რიმას ტუმინასის „მადაგასკარი“, რომელმაც თანამედროვე ლიტველი დრამატურგის, მარიუს ივაშკიავიჩუსის პიესას ისტორიული, პოეტური და ირონიული განზომილება შესძინა.

პიესა „მადაგასკარი“ რამდენიმე წლის წინ, ერევანში, პოსტსაბჭოთა დრამატურგიის სემინარზე აღმოვაჩინე, ავტორთან ერთად. მაშინ ივაშკიავიჩუსი უკვე ცნობილი დრამატურგი იყო და არამხოლოდ ბედკრულ პოსტსაბჭოეთში. ის მრავალი საერთაშორისო თეატრალური პრემიისა და კონკურსის გამარჯვებულია. კარგა ხანია, ლონდონში ცხოვრობს, თუმცა თითქმის ყველა პიესაში ჯიუტად უბრუნდება სამშობლოს, ლიტვის ევროპული იდენტი-

ფიკაციის მტკივნეულ თემას.

დრამატურგი ერთდროულად მძაფრად, ტკივილითა და ირონიული დისტანციით განიცდის თავისი ქვეყნის ბედს, მის წარსულსა და დღევანდელობას. ლიტვა ხომ ორ დიდ გეოგრაფიულ სივრცეს – ევროპასა და რუსეთს შორის მუდმივად „გაჩხერილი“ პატარა, მაგრამ დრამატული წარსულის მქონე ქვეყანაა. ივაშკიავიჩუსის პიესაში იგრძნობა პოეტუ-

რი უსასოობა, ისტორიის უცნაური, მე ვიტყვოდი სექსუალურ-ტრავმატული განცდა და ამავედროულად, ამ განცდიდან თავდახსნის მძაფრი, ირონიული და თვითირონიული სურვილი.

...პროფესორი პაკშტასი მეოცე საუკუნის 30-იან წლებში ცდილობდა, სადღაც შორს, დედამიწაზე „სათადარიგო სამშობლო“ გამოეძებნა ლიტველებისათვის; ერთგვარი

ნანატრი სამოთხე, რომლის აღმოჩენის შემდეგ შეეძლებოდათ საბოლოოდ ჩამოშორებოდნენ რუსეთის, გერმანიის, პოლონეთის გავლენას... ეს ნანატრი კუნძული მადაგასკარია. სწორედ იქ, იცხოვრებენ მომავალში მისი თანამემამულეები.

ტუმინასი ახერხებს, პიესის კანცელარიულ-ირონიულ-პოეტურ სტილს გამომსახველობითი უბრალოება, სისადავე და სარკაზმი მოარგოს.

სპექტაკლის მთავარი მეტაფორაა უხილავი ზღვა, რომელსაც მაყურებელი მუდმივად შეიგრძნობს, უსმენს და უყურებს. ამ დრამატულ, ისტორიულ და ირონიულ სანახაობას შესანიშნავად აცოცხლებენ მსახიობები – რამუნას ციცენასი, ეგლე გაბრენაიტე, ვაიდა ბოუტიტე...

რაც შეეხება პატარა ლიტვის კიდევ ერთ დიდ შთაბეჭდილებას, ის გაბრილე ტუმინაიტეს სპექტაკლს

უკავშირდება. იუზას ტუმას-ვაიჟგანტასის პიესა „ბიძები და დედები“ მიკოლასისა და სევერიუტეს სასიყვარულო-სევდიან ისტორიაზე მოგვითხრობს. ერთი მხრივ, ეს არის XIX საუკუნის ლიტვური ბატონყმურ-პასტორალური ყოფის ამსახველი სპექტაკლი და მეორე მხრივ, საკმაოდ დახვეწილი და უპრეტენზიო რეჟისურით გამორჩეული ნამუშევარი.

ცეკვაზი დათვითან


ვისაც გასული წლის „საჩუქარი“ ახსოვს, ცხადია, რიმას ტუმინასის მკაცრი კლასიკური ფორმითა და დეკონსტრუქციული სულისკვეთებით გამორჩეული „ძია ვანიაც“ ემახსოვრება. ამჯერად ვახტანგოვის თეატრის დასმა და მისმა სამხატვრო ხელმძღვანელმა გრიბოედოვის სცენაზე ორმოქმედებიანი სამსაათნახევრიანი „ეგგენი ონეგინი“ წარმოადგინა (აღომას იაცოვსკის შესანიშნავი მხატვრობა-სცენოგრაფია და ფაუსტას ლატენასის შთამბეჭდავი მუსიკა).

სხვათა შორის, „ეგგენი ონეგინი“ ფორმით, განათებით, სცენოგრაფიით, შავ-ვერცხლისფერი ტონებით ძალიან გავს „ძია ვანიას“. უჩვეულო თეატრალური მეტაფორებისა და ირონიული გამოცანების დიდოსტატი ძველებურად გულწრფელია მაყურებელთან მიმართებაში. მკაცრად მონესრიგებული თეატრალური გროტესკით, სამსახიობო ნამუშევრებით და ამაღლებული განწყობით „ეგგენი ონეგინმა“ 2013 წლიდან არა მხოლოდ რუსული კრიტიკის გული დაიპყრო და ლამის ყველა მთავარი თეატრალური პრიზის მფლობელი გახდა, არამედ ტრიუმფალური მსოფლიო ტურნე გამართა ნიუ-იორკიდან ლონდონის ბარბიკანის სცენამდე (სადაც 2015 წლის დასაწყისში თეატრალური სეზონის მთავარ მოვლენად დაახელეს).

პუშკინის უკვდავი პოემა ტუმინასის ინტერპრეტაციით ცოტა მისტიკურად, ცოტა დამცინავად, უფრო მეტად კი შთამაგონებლად და მელოდიურად ჟღერს. რეჟისორი ლიტერატურის შედევისადმი თითქმის გასაოცარ ერთგულებას იჩენს, თუმცა მუსიკალური ფრაზების დანაკუნებით, მთავარი პერსონაჟების „ორეულების შექმნით“ (ორი ონეგინი, ორი ლენსკი, ორი ტატიანა), რიტმის შეგნებული დარღვევითა და ნაწარმოებისადმი ირონიულ-დისტანციური მიდგომით, სრულიად ახლებურად განმარტავს პუშკინის პოემას.

მიუხედავად იმისა, რომ მთლიანობაში სპექტაკლი ემოციურია და თითქმის პათეტიკურიც, რეჟისორისთვის უცხოა ყალბი პოეტური პათოსი. ვახტანგოვის თეატრის ვარსკვლავები – სერგეი მაკოვეციკი, ალექსეი გუსკოვი, ვლადიმერ სიმონოვი, იულია ბორისოვა, ეგგენია კრეგჟედე, ირინა კუპჩკო და ა.შ. ახერხებენ შტამპებსა და გაცვეთილ სტერეოტიპებს სადა, ბუნებრივი და ოდნავ გაუცხოებული თამაშის მანერა დაუპირისპირონ.

კლასიკური ბალეტის, სასიკვდილოდ განწირული პოეტებისა და მელანქოლიური რუსი მემამულეების სამყაროს რეჟისორი საოცრად ირონიულ და მგძნობარე მეტაფორებს უძებნის. რეალობაც და მოჩვენებებიც სცენის სიღმეში, გიგანტურ შავ სარკეში აირეკლება, რომლის მიღმა რალაც სხვა ცხოვრება იგულისხმება. რეჟისორი გასაგებ ირონიას ამჟღავნებს რუსული კულტურის შაბლონური აღქმის მიმართ, თუმცა უნივერსალურ, დახვეწილ, არტისტულ და ოდნავ სიურრეალისტურ სამყაროს ქმნის...

იქ საშინელი სიზმრები უფრო საშიშ რეალობად იქცევა; იქ დათვები ზამთრის ნამქერში ქალებთან ცეკვავენ! 



„ეგგენი ონეგინი“, რეჟისორი რიმას ტუმინასი

საბჭოთა ნემესისის ფარი და მახვილი

საიმედო შვილო სერგო.

გილოცავ ახალ წელს ღმერთმა მრავალს დაგასწროს თქვენი ცოლ-შვილით ვიცი მკითხავ – ვაი ამისთანა სიცოცხლეს ჩემი შვილების დედის.

სერგო დედაშვილობამ თუ რამე იცი ჩემი შვილების შამომითვალე ან გეიგე რამე როდის იქნება მაგათი საშველი რომ გამოძიება როდის იქნება მიშველე სერგო თუ რამე შეგიძლია ხომ იცი ღმერთის მეტი არავინ ყავს მომხმარე ჩემ შვილებს მადლია იმათი მოხმარება შენი ჭირიმე გაფიცებ შენს პატარა ქალს. აპა შენ იცი სერგო. გწერს კარგის მდომი ვერიკო ახვლედიანი.

ირაკლი ხვადაგიანი

ნაჩქარევად ნაწერი და დაჭმუჭ-ნილი წერილი უპასუხოდ დარჩა – 1923 წლის 7 თებერვლის ღამეს საქართველოს ჩეკას მორიგე კომენდანტმა უხალისოდ და ცოტა დარცხვენით გაჩხრიკა მტკიცედ გათოკილი და ნაცემი უკვე ყოფილი კოლეგის ხალათისა და შარვლის ჯიბეები; ქალაქის უფორმო ნაგლეჯი მაგიდაზე დანყობილ, ახალი პატიმრისთვის ჩამორთმეულ მთელ არსენალთან – მაუზერის, ბრაუნინგისა და პარაბელუმის პისტოლეტებთან მიაგდო და ოქმის გაფორმებას შეუდგა.

92 წლის განმავლობაში წერილს უცხო თვალი არ შეჰხებია; ადრესატიც უკვალოდ გაქრა და ერთი ოჯახის ტრაგედიასთან ერთად თან გაიყოლა ასეულ ათასობით ადამიანის სიკვდილის, დიდი პოლიტიკის ინტრიგისა და ადამიანების დაუნდობლობის სიმწარეში გადახლართული დიდი პოლიტიკური მკვლელის საიდუმლო, რომლის

ფინალური აკორდიც, დიდი ალბათობით, მაგიდაზე დანყობილი ერთ-ერთი იარაღიდან გასროლა იყო.

1922 წლის 21 ივლისის ღამით, ტროცკის №22-ში ის ის იყო, კამოს საეჭვო ავტოკატასტროფის საქმე დახურეს და არქივს მიაბარეს, რომ ასიოდე მეტრის მოშორებით ქუჩა ხშირმა სროლამ გააყრუა და ქალაქის შუაგული პანიკამ შეანრიალა. მაძებარ ჯგუფს ჩაიკოვსკისა და ჟუკოვსკის ქუჩების გაყოლებაზე ოთხი გვამი და ერთი დაჭრილი დახვდა.

მეორე დღით უკვე მთელმა ქალაქმა იცოდა თბილისში ინკოგნიტოდ ჩამოსული აჰმედ ჯემალ-ფაშას და მისი მხლებლების მკვლელობის ამბავი; მოქალაქეთა ნაწილს დიდადაც უხაროდა ოსმალეთის მრისხანე „ტრიუმფიტის“ წევრის, სომეხთა მასობრივ განადგურებაში დამნაშავეს ასეთი უსახელო დასასრული, თუმცა ემოციის აშკარად გამოხატვა საშარო

საქმე გახლდათ – კომუნისტები დიდ რევერანსებს არ იშურებდნენ ოსმალეთის საფუძველზე გაჩენილი თურქეთის რესპუბლიკისადმი და „ახალგაზრდა თურქების“ ერთ-ერთი მამის ბოლშევიკური რეჟიმის ფხიზელი დარაჯის – ჩეკას სახლთან ახლოს თავისუფალი სეირნობა და უცაბედი სიკვდილი ბევრ აუხსნელ კითხვას აჩენდა, რაც მოქალაქეებს სიფრთხილისკენ უბიძგებდა.

თუმცა თავად ჩეკას ხელმძღვანელობას პასუხები მზად აღმოაჩნდა – მეორე დღესვე საქართველოს კომპარტიის ცეკას ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა, ვასილი პანკრატოვმა დარწმუნებით განუცხადა, რომ მკვლელობაში სომხურ რევოლუციური ფედერაციის – დაშნაკ-ცუტიუნის თბილისური ორგანიზაციის ხელი ერია და მასობრივ დაპატიმრებების სანქცია პოსტ-ფაქტუმ ითხოვა; გაუბედავი და კანტიკუნტი შეკითხვები დასკვნის

მამტიცივებული ფაქტების შესახებ ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის მდივნის, სერგო ორჯონიკიძის თვალების ბრიალმა ჩაახშო და სალამოს საქართველოსა და ამიერკავკასიის ჩეკას საკნები ახლად დაპატიმრებული თბილისელი სომხებით გადაივსო.

ერთი წლით ადრე ბერლინში „ტრიუმფირატის“ ნევრის – თალათ-ფაშას სოგომონ ტეიღი-რიანის მოკვლისა და სხვა წვრილი მკვლელობების ფონზე, მართლაც, ცხადი ჩანდა, რომ ჯემალ-ფაშასაც თბილისში შურისმაძიებლის ტყვიამ უნია, თუმცა ძიება გაჭიანურდა და ჩიხში შევიდა – არც დაპატიმრებულმა თბილისელმა დაშნაკებმა და არც პოლიტიკურმა ლიდერებმა მკვლელობაზე (ბრალის ერთგვარი პრესტიჟისა და მიმზიდველობის მიუხედავად) პასუხისმგებლობა არ აიღეს და მისი რეალური გარემოებები უცნობი დარჩა; ძიებას თავი დიდადაც არ გამოუდია – დაშნაკების 1922 წლის ზაფხულის მასობრივი წმენდა ჰარმონიულად გადავიდა წლის ბოლოს ყველა მონინალმდეგე პარტიაზე მასობრივად შეტევის კამპანიაში – უკომპრომისობის, როგორც შეურიგებლების და სახიფათო მონინალმდეგეების გაციმბირებასა და შედარებით სუსტების ნეიტრალიზაცია-გადაბირებაში. ამ კამპანიაში კი კონკრეტული ფაქტების დაზუსტების დრო და სურვილი არავის რჩებოდა.

მკვლელობის გახსნას დამნაშავეთა თავზეხელაღებული უტიფრობა და თვითმხილველთა, ფაქტობრივად, არარსებობა უღებდა ბოლოს. ნაფლეთ-ნაფლეთ შეკრებილი ცნობებით 21 ივლისის ღამის თავდასხ-

მის რეკონსტრუქცია შემდეგნაირად გამოიყურებოდა:

ჯემალ-ფაშა თბილისში მოსკოვიდან 11 ივლისს ჩამოვიდა. ბოლო წლებში, რაც ოსმალეთში პოლიტიკურ თამაშში დაიჩაგრა და მსოფლიო ომში მარცხის შემდეგ გერმანიაში გაიქცა, ბოლშევიკებთან შეთანხმებით, ავლანეთში გადაბარგდა მთავრობის სამხედრო



ამჟამად ჯემალ-ფაშა

მრჩევლად და საბჭოთა რუსეთთან სამხედრო და პოლიტიკური ალიანსის შესაკრავად. ავლანეთიდან იგი მოსკოვში გაემგზავრა და მცირე ხნის მოლაპარაკებების შემდეგ თბილისში ჩამოვიდა, საიდანაც ერთთვიანი დასვენებისა და კონსულტაციების შემდეგ ანგორაში (ანკარაში) უნდა გამგზავრებულიყო მუსტაფა ქემალთან მოლაპარაკებების გასამართავად და ახალი თურქეთის პოლიტიკაში ჩასაბმელად.

1922 წლის 21 ივლისის თერთმეტის ნახევრისათვის სამოქალა-

ქო ტანსაცმელში გამოწყობილი ჯემალ-ფაშა თავის მდივანთან, საზღვაო კაპიტან ნუსრეთ-ბეისთან ხელკავით მისეირნობდა სავარაუდოდ ჯულაშვილის (ამჟამინდელი იაშვილის) ქუჩაზე მდებარე თურქეთის საკონსულოდან, ჩაიკოვსკისა და ტროცკის (ამჟამინდელი ინგოროყვას) ქუჩების გადაკვეთისაკენ, რამდენიმე ნაბიჯით წინ კი მისი ადიუტანტი, ოფიცერი სურია-ბეი მიდიოდა. სროლა მოულოდნელად ატყდა, ჯემალს და ნუსრეთს ზურგიდან მიჯრით ესროლეს და ორივე მათგანი დაეცა, სურია-ბეი კი ყვირილით გაიქცა, მაგრამ მკვლელების ტყვია მალევე მისწვდა და მძიმედ დაჭრილი რამდენიმე ათეული ნაბიჯის მოშორებით დავარდა. სროლის ხმაზე მიმდებარე ქუჩებში მოსიარულე მოქალაქეები მიიმალნენ; თავდამსხმელების ბრმა ტყვიამ მოშორებით მდგომი ქალი – პონომარენკო დაჭრა. მკვლელები აღმა – ყუკოვსკის ქუჩისაკენ გაიქცნენ, სახანძრო სადგურიდან გამოსული მცველი – დალანინიც მოკლეს და უკვალოდ გაქრნენ, ყუკოვსკის ქუჩიდან ადევნებულმა შემთხვევით გამვლელმა ორმა წითელარმიელმა დევნა მალევე შეწყვიტა, სპარსეთის საკონსულოს დარაჯმა კი, რომელმაც თვალის შეასწრო თავდამსხმელებს, სროლით გამოდევნებას ეზოში მიმალვა არჩია.

10 ნუთში შემთხვევის ადგილზე ჩეკას თანამშრომლები, თურქეთის საკონსულოს წარმომადგენელი და ექიმთა ჯგუფი ერთდროულად მივიდა. ჯემალ-ფაშას სამი ტყვია ჰქონდა მოხვედრილი ზურგსა და კეფაში, ნუსრეთს ხუთი ტყვია, სურია-ბეის კი – ერთი. ექსპერ-

ტების დასკვნით ცხადი იყო, რომ ახლო მანძილიდან სროლის შემდეგ ნაქცეულ ჯემალს და მის მდივანს დამატებით – საკონტროლოდ ესროლეს. ჯემალს ხელში გადატყეხილი ტროსტი შერჩენოდა.

შემთხვევის ადგილის სიახლოვეს მყოფმა მოწმეებმა ვერ შეძლეს თავდასხმელების გარეგნობის აღწერა – ყველა აღნიშნავდა, რომ სროლა მოულოდნელად ატყდა და ყველამ მიმალვა არჩია, ასე რომ, დამნაშავეები უკვალოდ გაქრნენ და მკვლელობის საქმე თაროზე შემოდეს.

ჩეკას ვერსიამ, მკვლელობის დაშნაკების მიერ ორგანიზების შესახებ, იმოქმედა და დამაჯერებლად გადაფარა მომდევნო წლებში გაჟონილი ინფორმაცია: მკვლელობიდან მალევე პარიზში მყოფ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტმა თბილისიდან საიდუმლოდ აცნობა მკვლელობის გარემოებები. რამდენიმე წლის შემდეგ საქართველოს პროფკავშირების ერთ-ერთი კომუნისტი ლიდერი – კირილე კაკაბაძე სამუშაო მივლინებიდან აღარ დაბრუნდა და გერმანიაში დარჩა ემიგრანტად – მისმა წერილებმა 1920-იანი წლების საქართველოს სსრ კომპარტიის მოქმედების ბევრ ბნელ ეპიზოდს ახადა ფარდა, მათ შორის ჯემალ-ფაშას მკვლელობასაც, რაც მალევე ასევე საზღვარგარეთ გაქცეულმა ქართველმა ჩეკისტმა – დუმბაძემაც დაადასტურა; ყველა მათგანი ქართველ ჩეკისტს – სერგო თადეოზის ძე ლაბაძეს ადებდა ხელს.

სერგო ლაბაძე კი 1923 წლის 7 თებერვლის ღამის შემდეგ საქარ-

თველოს ჩეკას შენობიდან გამოსული არავის უნახავს.

სერგო ყმანვილობიდან ჩვეულ – ნახევრადლეგალურ მდგომარეობას მოულოდნელად, მოულოდნელდროში დაუბრუნდა; საქართველოს სსრ საგანგებო კომისიის თანამშრომელს, რომლის შიშიც ყველას ზარავდა და ყველა ჩეკას კლანჭებიდან ნათესავეების გამოსახსნელად დახმარებას და წყალობას სთხოვდა, თავად მოუწია ძველი ხელობის გახსენება – ოქტომბერში, ბათუმში მივლინებით გაგზავნილს, 20 რიცხვში, ღამის ცხრის ნახევარზე, შუა ქალაქში – მარიის პროსპექტზე ნაცნობ-მეგობრებმა



აჰმედ ჯემალ-ფაშას გვამი

და კოლეგებმა ტყვიები დააყარეს. აქ სერგოს იღბალმა და სწრაფმარეაქციამ შეუწყო ხელი და დაჭრილი და გაოგნებული მიიმალა. მალვით ჩააღწია თბილისში და საიმედო კაცის ხელით კომპარტიის ცეკას საჩივრით მიმართა, რომ მას – ჩეკისტს, ამავე სამსახურში შეფარებული ბნელი ელემენტები დაესხნენ თავს და 3 ტყვით დაჭრეს და დახმარება ითხოვა.

ლაბაძის საუბედუროდ, აღშფოთებულმა ცენტრალური კომიტეტის წევრმა, პარმენ საბაშვილმა სერგოს განცხადება გამოძიების მოთხოვნის რეზოლუციით, საქართველოს ჩეკას თავმჯდომარეს გაუგზავნა. საქარ-

თველოს ჩეკას თავმჯდომარის მოადგილემ და საიდუმლო-ოპერატიული სამმართველოს უფროსმა, ლავრენტი პავლეს ძე ბერიამ კი განცხადება ბანდიტიზმთან მებრძოლი განყოფილების გამომძიებელს – ძველ ბოლშევიკ-ტერორისტ ტიტე ლორთქიფანიძეს დაანერა გესლიანი რეზოლუციით – „უცნაურია, რომ ჩეკას თანამშრომელმა მის წინააღმდეგ ჩეკისტის თავდასხმაზე საჩივრულად საკუთარ ორგანოს გვერდი აუარა და პარტიისაგან მოელის გამოძიებას?!“.

ერთ თვეში გაჭიანურებული გაურკვევლობით და სიჩუმით გაბეზრებულმა ლაბაძემ გარისკა და სამსახურში გამოცხადდა საქმის გასარკვევად, სადაც უცერემონიოდ გაანეიტრალეს და საკანში გამოკეტეს. ფორმალურ დაკითხვებზე ლაბაძე ამოდ ცდილობდა მისი მკვლელობის მცდელობაში ძველი ტერორისტის – ალექსანდრე ჩეჩელაშვილის დადანაშაულებას და

მის ბნელ წარსულზე ეჭვების აღძვრას – ყველაფერი პირიქით შეტრიალდა; გამომძიებელი, ტიტე ლორთქიფანიძე ბრალმდებლად იქცა და ლაბაძის რევოლუციურ ტერორში მონაწილეობა ბანდიტიზმად მონათლა, 1921 წლიდან ჩეკაში მუშაობა კი აფერისტობად გამოიყვანა.

ლაბაძემ საფრთხე იგრძნო და გარისკა – ჩვენებაში მან ფრთხილად მიანიშნა, რომ ბათუმში მასზე თავდასხმის ორგანიზატორებში ჩეკას მეორე თანამშრომელი, შალვა ოთარის ძე წერეთელიც იყო გარეული, თუმცა ეს მცდელობა ამო იყო; მის გარშემო მოქსოვილი შეთქმულების

ქსელი სწორედ ლაბაძე-წერეთლის საერთო წარსულსა და ბოლო ოპერაციაზე გადიოდა.

1914 წელს პირველი მსოფლიო ომის სუსხმა კავკასიაშიც მოაღწია და სამხრეთის ფრონტი გაიშალა ოსმალეთსა და რუსეთის იმპერიას შორის; ამ მასობრივ ზღვრასა და არეულობაში ორი განსხვავებული ახალგაზრდის ბედი გადაიკვეთა – ფოსტაზე წარუმატებელი თავდასხმის შემდეგ გაბანდიტებული რევოლუციონერი ტერორისტი სერგო ლაბაძე ოსმალეთში გაძვრა, სადაც ქართველი ემიგრანტებისა და რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ მებრძოლი პოლიტიკოსების მიერ დაკომპლექტებულ ქართულ ლეგიონში ჩაენერა. მალე მეტყვეამფრქვევეთა რაზმის უფროსობასაც მიაღწია და რანგით ომის ტყვეს, რუსეთის იმპერიის არმიის ყოფილ უმცროს ოფიცერს – შალვა წერეთელს გაუთანაბრდა. ომის დასასრულს, ფრონტის დაშლისა და მტერ-მოყვრის არევის შემდეგ სერგო და შალვა ლეგიონს ჩამოსცილდნენ – სერგომ ძველი ხელობა გაიხსენა უკვე დამოუკიდებელ საქართველოში და მეტეხის ციხეში ამოყო თავი, სადაც მალევე შალვაც შეასახლეს, ბოლშევიკების თანაგრძნობის გამო. 1921

წლის თებერვალ-მარტში საბჭოთა რუსეთის წითელი არმიის მიერ საქართველოს ოკუპირების შემდეგ კი მათი თანამშრომლობა და მეგობრობა საქართველოს საგანგებო კომისიაში გაგრძელდა.

ლოგიკურია, თუკი ვიფიქრებთ, რომ 1922 წლის ზაფხულში, თბილისში საიდუმლოდ ჩამოსული ჯემალ აჰმედ-ფაშა 10 დღის განმავლობაში სომხური მოსახლეობით გაჯერებულ ქალაქში საკუთარი დაცვის იმედად არ ივლი-

და, მით უმეტეს სტუმარი მაღალი რანგის პოლიტიკოსი გახლდათ და მასპინძლებს მისი უსაფრთხოება ყოველნუთიერად უნდა უზრუნველყოთ. ასევე ლოგიკურია, თუკი ვიფიქრებთ, რომ პირად დაცვად მას ოსმალეთში ნამსახური და თურქი ოფიცრობის მცოდნეები – სერგო ლაბაძე და შალვა წერეთელი მიუჩინეს, რომელთაც ასევე ლოგიკურად, ხელსაყრელ დროს,

გამო, რომ ნაკლები მოწმე – ნაკლები საფრთხეა. მისი ოჯახი და ნათესავები ათწლეულები ამაოდ ცდილობდნენ სერგოს ბედის გარკვევას – საბოლოოდ, მათ მხოლოდ 1967 წელს აღირსეს პასუხი ცნობით, რომ სერგო ციხეში გარდაიცვალა.

1923 წლის 10 თებერვალს გურიაში ბოლშევიკური სადამსჯელო ექსპედიციის ხელმძღვანელი – ასევე ძველი ტერორისტი და გაბოლშევი-



ქართული ლეგიონის წევრები თურქეთში, 1914-1918 წწ.
ცენტრში – ლეო კერესელიძე, მარჯვნიდან პირველი – სერგო ლაბაძე.

მონმეების გარეშე, დაიმედებულნი მსხვერპლი ზურგიდან დაცხრილეს და დაიმედებულები მიიმალნენ.

კითხვა კი – რატომ მოუსწრაფეს ჯემალ-ფაშას სიცოცხლე მაინცდამაინც თბილისში, მუსტაფა-ქემალსა და ლენინს შორის შეთანხმების ვარაუდს აღვივებს.

ძნელი სათქმელია, რატომ შებრუნდა ტრაგიკულად სერგო ლაბაძის ბედი – წარსულიდან გამომდინარე არასაიმედოობის, ლაყბობის სიყვარულის, თუ მარტივი ლოგიკის

კვებული ჩეკისტი – საშა ობოლაძე მოკლეს. შურისძიების მიზნით ბოლშევიკებმა ციხეებში მყოფი პატიმრების მასობრივი დახვრეტა მოაწყვეს და 18 თებერვალს გაზეთ „კომუნისტი“ 14 თებერვლისღამით დახვრეტილი 92 პატიმრის – „მკვლელების და ბანდიტების“ სია გამოაქვეყნეს, სადაც მხოლოდ დაკვირვებული თვალი თუ მიაქცევდა ყურადღებას 56-ე ნომრად დაბეჭდილ სახელსა და გვარს – ლაბაძე სერგო ტატიოსის ძე. ■

ფოტო: საბინაძელის კარავანში, არჩილზე, კალიტონისა და სომხური უმჯობესების, მხარე მასობრივი-გაზაფრთხი, კოლონია


ანტიმოზის ხიდი

გიორგი კეკელიძე

ო, მეგობარო, იყიდე ეს ყვავილი, რომ წინ ეკალი არ დაგხედეს – დაახლოებით ასე მითარგმნეს ერთი რუმინელი ბოშას სიტყვები, რომელიც სადღაც მიმავალთ წინ გადაგვეღობა. ბოშა ჩვეულებრივი იყო, ისეთი, როგორც მისი ათასობით საოცარი თანატომელი, სიტყვები – არა, გარდა წყევლანარევი დაძალებისა, მერე, როცა დაფიქრდი, ისეთი მეტაფორა ამოვიკითხე – მთლიანად რუმინეთს რომ დაიტევს. პარადოქსების ქვეყანაა, უფრო უკეთ – გაორებული ქვეყანა – კვაზისოციალურ წარსულად და ევროპულ მისწრაფებებად გახლეჩილი. ეს არის მისი ეკალი და ვარდი. ზოგი მოუხმენს ბოშას და ვარდს იყიდის, ზოგსაც ფული დაენანება – მერე რა, რომ წინ ეკალია.

ხოლო ქვეყნები, ქალაქები, გენებავთ სოფლები, სადაც კი ფეხი ჩამიცდა, სულ რამდენიმე სახედ მრჩება. ეს სახეები მერე მხოლოდ მათ ეკუთვნით, სადაც არ უნდა გადამეყარონ და რაოდენ უფრო დიდი მასშტაბითაც, ბუქარესტი ასე წამომყვა – სახლები, სასაფლაოები, ბოშები, ჩაუშესკუ.

ჩაუშესკუ, ჩაუშესკუ, ჩაუშესკუ – თითქოს მატარებელიც ამას იმეორებს, რელსებზე უნდა დააჭყლიტოს, მაგრამ ამაოდ. და გაისმის – ჩაუშესკუ, ჩაუშესკუ... მოურჩენელი წყევლაა. გამეღვლელებს რომ ჩაეკითხოთ, თავს გადააქნევენ კეთილი ღიმილით და გეტყვიან, რომ რცხვენიათ დიქტატორისა და მისი მეუღლის დემონსტრაციული დახვრე-



ტის გამო. და ეს მიუხედავად იმისა, თუ რაც დამართა მან ხალხს. «ეჰ, ნიკოლაე, ძალივით მოკლეს» ამბობენ ადამიანზე, რომელიც ათიათასობით მოქალაქეს აშიშპილებდა. ესეც ერთგვარი ორმაგობაა, მაგრამ აქ სიცხადეა მეტი – როცა „იმ საშინელ დღეს“ იხსენებენ, როგორც წესი, პირველს გადაისახავენ ხოლმე. სწორედ რელიგია „აიძულებთ“ ჩაუშესკუს შებრალებას. სიტყვამ მოიტანა და რუმინეთში მართლმადიდებლური კონფესიის ნამდვილი რენესანსი. დედაქალაქის თითქმის ყველა ქუჩაზე შეხვდებით ტაძარს, მოქმედს ან მშენებარეს. ადამიანებს, სალოცავად რომ მიიქარიან, ხელში სკვნილი უჭირავთ

და ბუტბუტებენ. იქვე ბოშა ბიჭი აეკიდება, ცდილობს, რამე აწაწინოს, თუ ვერ მოახერხა, მათხოვრად იქცევა: ერთი ლეი მომეცით, ლამაზო ძია.

ბარემ ესეც ვთქვათ, აქ ჰობრიდების ისეთი წყებაა, პოსტ-მოდერნულ დასავლეთსაც რომ ძნელად დაესიზმრება – SEX SHOP, რაღაც კომუნისტურ ემბლემაშემორჩენილი სადარბაზო, კედელზე სოციალისტური ჩუქურთმებით და საეკლესიო მალაზია ერთ რიგზე შემოგხედებათ.

არქიტექტურაზე ხმამალა უნდა გითხრათ: შესანიშნავია, ჩათვალეთ, რომ ცერა თითიც ავნიეთ. თვით ჩაუშესკუს აშენებული სასახლე, ამჟამინდელი პარლამენტის შენობა – ბაბილონის გოდოლის რეინკარნაცია – ჰიპერპომპეზურობის მიუხედავად, განუმეორებელ შთაბეჭდილებას ტოვებს.

სახლები – ბუქარესტის ცენტრალურ ნაწილში ერთმანეთს ტოლს არ უღებს, უცნაური სიფართოვით, სხვადასხვაგვარი ნიუანსით განწყობილი ერთიანი ანსამბლი. თუმცა საკუთარი, არქიტექტურული გლდანი და ნახალოვკა ყველა ამ ყაიდის ქალაქს აქვს, ამას ვერ გავეცევით. ხოლო „კარგ ადგილებს“ ერთი შესამჩნევი და ჩემთვის მომხიბვლელი თვისება შეენიშნე – ნაძალადევი მოდერნიზაცია, ხელოვნური სიჭრელე არ ეტყობა – ძველი იერით და ზოგანტანქერცილილი შენობები სრულიად სხვაგვარ განწყობას ქმნის, მით უფრო

ოდნავ მბჟუტავი, იქაური საფირმო ლამპიონების ფონზე. ჰო, ელექტროგადამცემი მავთულები ბუქარესტის სისუსტეა, მისი ცა მათითაა დაძარღვული – ზოგან ათიათასობით ელ-სადინარი დაგბნელებთ მზეს.

ამბობენ, რომ კორუფცია, პროტექცია და ძმანი მისნი ძველი ძღვევამოსილებით მძვინვარებს. არის ბაცაცობაც და მთელი ამბავი. თუმცა აქვე ველოსიპედებისთვის საგანგებო ბილიკებიცაა და წითელზე გადამსვლელთა საზოგადოებაც – ნაკლები. არის ტოლერანტობაც და მტრობაც (განსაკუთრებით რუმინელთა და ბოშათა ქიშპობა ყოველ ნაბიჯზე).

გარდა სახეებისა, ხმებიც მომყვება ხოლმე – გნებათ, ნაღდადმოსენილი, გნებათ, ჩემგან შეთხზული. ორივე გამომყვა – მატარებელს „ჩაუშესკუ“ მე დავაბრალე და ის, მეორე, ბოშას მოძახილი – -ო, მეგობარო, იყიდე ეს ყვავილი, რომ წინ ეკალი არ დაგვდეს.

ვფიქრობ, როცა ჩახვალთ, „ვარდებიც“ უნდა იყიდოთ და არც „ეკლიან“ გზას მოერიდოთ, ბუქარესტის ხიბლიც ესაა.

რაც შეეხება მესამე შთაბეჭდილებას: ეროვნული ან პროფესიული ნიშნით – იტალიელების სასაფლაო, თურქების სასაფლაო, მეომართა სასაფლაო და ვინ მოთვლის – უზარმაზარი ჭიშკრები აქეთ – გეგონება იმქვეყნიურ სამყაროში შედიოდნენ. თვითონ სამარეებმა, ქართულ ამბებსაც გადააჭარბეს, იყო ერთი სასაფლაო, კიბეებით უნდა ჩასულიყავი მიწაში და იქ შეგეძლო პატარა კამპანიაც გაგემართა. მოკლედ, ეს ჩვენებურ საქმესავით.

მაგრამ კავშირი ამაზე უფრო დიდი და ძველია. იყო ერთი კაცი, მერვედ-

მეტე საუკუნეში. ჩვენსას. როგორც იმ დროის წესი გახლდათ, გაიტაცეს და მონად გაყიდეს. ვლახეთში. მერე შესანიშნავი, თუმცა დრამატული ბიოგრაფია განვითარდა — თანამედროვე ავტორები გარდაუვალ ბესტსელერებს გამოაცხოზდნენ. ეგრე დაემთხვა, რომ ვლახეთს კულტურული რენესანსი ხანა იდგა. ბრინკოვიანუს ეპოქა. ხოლო ჩვენს გმირს, ანთიმოზს შესაბამისი ნიჭი უხვად აღმოაჩნდა. ბევრი შრომისა და ცოტა გამართლების შედეგად უპირველეს მესტამბედ იქცა. პარალელურად რუმინული ენის სადარაჯოზე დადგა და იმდროინდელი რეფორმები

მერე გააძვევს. მოკლეს იგი 1716 წელს, სინას მთისკენ მიმავალი. შერაცხულია წმინდანად.

ეროვნულ ბიბლიოთეკაში, გარდა მისი სახელობის ელექტრონული ბიბლიოთეკისა (ახლა რომ ეცხოვრა, უთუოდ პირველი აიტაცებდა ციფრულ ტექნოლოგიებს), უმნიშვნელოვანესი გამოცემების ციფრული ვერსიები ინახება.


მაგალითად: 66 თავი ბერძენთა თვითმყრობელის ბასილი. მაკედონელის შეგონებათა (1691) ფსალმუნი წინასწარ მეტყველისა და მეფისა დავითისა (1700) ბიბლია (1703) მეფე ალექსი კომნენოსის სამხედრო დოგმატიკა

(1710) ძველ ბერძენ მასწავლებელთა გამოთქმები, ყველაზე უფრო მოხდენილი და სასარგებლო, რომლებიც დახმარებას აღმოუჩინენ ქვეყნის მართვა-გამგეობის საქმეში (1715) და სხვანი: სულ 40 გამოცემა.

თუმცა ეს გადამწყვეტი საქმე როდია. არსებობენ ადამიანი-ხიდები. ასეთ ადამიანებს არა კონკრეტულ დროში კარგი საქმეების კეთება, არამედ ქვეყნების სამუდამო კავშირის შენარჩუნება შეუძლიათ. მსგავსი კაცია — და-

და საძირკვლის გამყარების საქმეები დიდწილად ამ კაცის სახელს უნდა მივანეროთ. რუმინეთი იქით იყოს და თუ ვინმეს ეკუთვნის საქართველოს საუკეთესო, ჰა, სია გავაფართოოთ და ოცეულში ადგილი — ეს ანთიმოზ ივერიელია. სწორედ მისმა განვრთნილმა კაცმა, მიხაილ იმტვანოვიჩმა გამართა თბილისის სტამბა. პარალელურად კი ანთიმოზი რუმინეთის დამოუკიდებლობისთვის ბრძოლას შეუდგა. ოსმალეთი მაშინ ჯერ კიდევ ძლიერი მოჩანდა. ადგილობრივ მთავარზეც, სულ მცირე, ირიბი გავლენა ჰქონდა. ამიტომაც, როგორც დიდი კაცების ხვედრია, ანთიმოზს სასულიერო ღირსება აპყარეს და

ვით გურამიშვილი, ანთიმოზ ივერიელი. მაგრამ მივინებულები ხიდი შეიძლება გაიბზაროს და ჩაინგრეს. ამიტომაც სულ უნდა გვახსოვდეს, სულ უნდა გავამაგროთ. პათეტიკური მონოდებაა? შეიძლება, მაგრამ ეს ის ველია, სადაც პათეტიკის ნაღმებმა არ უნდა შეგვაშინოს. კარგია, რომ ანთიმოზის თასი არსებობს, უფრო უკეთესი იქნება, თუ საქართველოსა და რუმინეთის რაგბის გუნდების გამო, ხუთი ერის ტურნირი შვიდი ერის პირველობად გადაიქცევა, თუმცა არანაკლებ მნიშვნელოვანია გვახსოვდეს — ის, რომ ახლა თქვენ ამ ბეჭდურ გამოცემას კითხულობთ, ამ კაცის დამასხურებაა. ამ ქართველ-რუმინელი კაცის. ■



წართმეული ტროტუარი



ერაკლე ურუშაძე

ტროტუარი ქალაქის სახეა. ან ქალაქის სარკე. ტროტუარის მდგომარეობა ყველაზე კარგად ასახავს ქალაქის საერთო მდგომარეობას და მის პრობლემებს. რას გვეუბნება თბილისის ტროტუარები თბილისის შესახებ?

უკუ მოჩილაძე

ასი
მეცხრე
გვიანაჲ
სახეცინგით
შოხს

შეიძინეთ
„ლიბერალის ბიბლიოთეკის“
პირველი წიგნი



გამომცემლობა „არტანუჯი“



ლიბეჩანი

„სჯს ორგანიზაციული სტრუქტურები“

დაგეხმარებათ

მენარმეებს, საშუალო და
მსხვილი ორგანიზაციების
მენეჯერებს

სწორად
სტრუქტურირებული
ორგანიზაციით

მიიღოთ
სიამოვნება
მართვისგან